



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზა

გვირაბის მონაკვეთი (ლოტი 1)

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
(LARP)

ივლისი 2019 წ

შინაარსი

რეზიუმე	8
1 ზოგადი ინფორმაცია	21
1.1 შესავალი და მიზანი	21
1.2 LAR- თან დაკავშირებული პროექტის დამუშავების პირობები	22
2 აღწერა და ზემოქმედების შეფასება	24
2.1 ზემოქმედების შეფასება	24
2.1.1 ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე	26
2.1.2 ზემოქმედება მოსავალზე	27
2.1.3 ზემოქმედება ხეებზე	27
2.1.4 ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე	27
2.1.5 მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ და მოწყვლად შინამეურნეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედება	28
2.1.6 მკვიდრი მოსახლეობა	30
2.2 საარსებო წყაროს აღდგენა	30
3 ინფორმაცია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.....	33
3.1 სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები.....	34
3.2 გენდერი და შინამეურნეობის შემადგენლობა	37
3.3 ასაკი და ოჯახური მდგომარეობა.....	37
3.4 განათლება	39
3.5 დასაქმება, შემოსავლის წყარო და ხარჯები.....	39
3.6 საპროექტო სოფლებში მცხოვრები ქალები	42
3.7 გამოკითხული შინამეურნეობების აზრი პროექტი ზემოქმედებასთან დაკავშირებით.....	43
4 სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა	44
4.1 ზოგადი ინფორმაცია	44
4.2 სამართლებრივი ჩარჩო	44
4.2.1 საქართველოს კანონმდებლობა და ნორმები მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ.....	44
4.2.2 აზიის განვითარების ბანკის (ADB) არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა.....	45
4.3 ADB SPS 2009 და EBRD PR 5- ის შედარება საქართველოს კანონებთან და ნორმებთან	48
4.4 EBRD-ის შესრულების მოთხოვნა PR 5.....	48
4.5 EBRD-ის პოლიტიკის შედარება ქართულ კანონთან და კანონმდებლობასთან.....	50
4.6 მიწის შესყიდვის პროცესი.....	51
4.7 ექსპროპრიაცია.....	52
4.8 დაკანონება.....	53
4.9 უფლებამოსილება კომპენსაციაზე და საკომპენსაციო პაკეტი.....	53
4.9.1 უფლებამოსილება კომპენსაციაზე.....	53
4.9.2 უფლებამოსილებათა განსაზღვრა	54
4.9.3 შეფასების და კომპენსაციის ტარიფები.....	61
4.9.4 მიწის ნაკვეთის შეფასება	61
4.9.5 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენობა-ნაგებობების შეფასება	62
4.9.6 ერთწლიანი კულტურების შეფასების მეთოდი.....	62
4.9.7 ნაყოფიერი ხეების შეფასების მეთოდი	62
5 ინსტიტუციონალური ღონისძიებები	64
5.1 შესავალი	64

5.2	<i>მიწის შესყიდვა და განსახლების ორგანიზება</i>	64
5.2.1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	64
5.2.2	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (ETCIC)	66
5.2.3	მუნიციპალური LAR ჯგუფი	66
5.2.4	ადგილობრივი თვითმართველობა.....	66
5.3	<i>მიწის რეგისტრაციის ორგანიზაციები</i>	67
5.3.1	მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	67
5.3.2	საკრებულო	67
5.3.3	საკუთრების უფლების აღიარების კომისია	67
5.4	<i>ორგანიზაციები და უწყებები</i>	68
5.4.1	სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი.....	68
5.4.2	კონსულტანტები და აუდიტორები	68
5.4.3	საქართველოს სასამართლო	69
5.4.4	ფინანსთა სამინისტრო	69
5.4.5	იუსტიციის სამინისტრო.....	69
5.4.6	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.....	70
5.4.7	დონორი ADB-ი და EBRD-ი	70
5.4.8	სამონიტორინგო უწყება.....	70
6	საჯარო კონსულტაციები, ჩართულობა და დოკუმენტაციის გასაჯაროება	72
6.1	<i>საჯარო კონსულტაციების მიზანი</i>	72
6.2	<i>საჯარო კონსულტაციები LARP-ის მომზადების და განხორციელების პროცესში</i>	72
6.3	<i>საინფორმაციო ბუკლეტი</i>	75
6.4	<i>გასაჯაროება</i>	76
7	საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი	77
7.1	<i>საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში</i> . 78	
7.2	<i>საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი დუშეთის მუნიციპალიტეტში</i> 79	
7.3	<i>საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია საავტომობილო გზების დეპარტამენტში</i>	79
7.4	<i>საჩივრის განხილვის პროცესი</i>	80
7.5	<i>GRC-ის ჩანაწერები და დოკუმენტაცია</i>	82
7.6	<i>რეკომენდაციები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის მიწის ნაკვეთების დაკანონების შესახებ</i>	83
8	მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის განხორციელების პროცესი	84
8.1	<i>ზოგადი ნაწილი</i>	84
8.2	<i>დეტალური პროექტირების ეტაპი</i>	84
8.3	<i>LARP-ის დამტკიცება და საწყისი სამუშაოები</i>	85
8.4	<i>LARP-ის განხორციელების ეტაპი</i>	85
8.5	<i>LARP-ის მონიტორინგის ეტაპი</i>	86
8.6	<i>LARP-ის შესრულების გრაფიკი</i>	86
9	განსახლების ბიუჯეტი და ფინანსები	88
9.1	<i>კომპენსაცია მიწის ნაკვეთებზე</i>	88
9.2	<i>კომპენსაცია შენობა-ნაგებობებზე</i>	89
9.3	<i>კომპენსაცია მოსავლის დაკარგვაზე</i>	89
9.4	<i>კომპენსაცია ხე-მცენარეებისთვის</i>	89
9.5	<i>განსახლების საკომპენსაციო დახმარება</i>	90
9.6	<i>განსახლების მართვის ხარჯები</i>	91

9.7	განსახლებასთან დაკავშირებული ხარჯები.....	92
10	მონიტორინგი და შეფასება	93
10.1	შიდა მონიტორინგი.....	93
10.2	გარე მონიტორინგი.....	93
10.3	LARP-ის განხორციელების შემდგომი პერიოდის შეფასება.....	95
	დანართი 1 LARP-თან დაკავშირებული საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოკლე მიმოხილვა.....	97
დანართი 2	შეხვედრების ოქმი.....	104
დანართი 3	პროექტის საინფორმაციო ბუკლეტი	138
დანართი 4	შეფასების მეთოდოლოგია	150
დანართი 5	სიტუაციური რუკა	159

აბრევიატურების ჩამონათვალი

ACS	შესყიდვისა და კომპენსაციის პროგრამა
ACM	შესყიდვისა და კომპენსაციის მატრიცა
ADB	აზიის განვითარების ბანკი
AH	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა
AP	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი
CBO	სათემო ორგანიზაცია
CSC	მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი
DD	დეტალური პროექტი
DMS	დეტალური აზომვითი კვლევები
EMA	გარე მონიტორინგის ორგანო
EA	აღმასრულებელი ორგანო
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ETCIC	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EWHCIP	აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი
FS	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
GoG	საქართველოს მთავრობა
GPS	გლობალური პოზიციონირების სისტემა
GRCE	საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტები
GRCN	საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია
GRM	საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი
HH	ოჯახი (შინამეურნეობა)
IA	პროექტის განმახორციელებელი ორგანო
IP	მკვიდრი მოსახლეობა
Km	კილომეტრი
LAR	მიწის შესყიდვისა და განსახლება
LARP	მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
LARC	მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისია
MOES	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MTFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი
MOF	ფინანსთა სამინისტრო
MPR	პროექტის ყოველთვიური ანგარიში
MRDI	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
PIB	საჯარო ინფორმაციის ბუკლეტი
PR	საზოგადოებასთან ურთიერთობა
PRRC	საკუთრების უფლების აღიარების კომისია
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RD	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ROW	გასხვისების ზოლი
SES	სოციალურ-ეკონომიკური კვლევა
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

წინამდებარე ანგარიშში აშშ დოლარი აღინიშნება შემდეგი ნიშნით - \$

1\$=2.43 ლარს (2018 წლის 20 აპრილის მდგომარეობით)

(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng>)

ტერმინთა განმარტებები

<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა (AH)</p>	<p>ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახის ყველა პირი, რომელიც ერთ ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენს და ზარალდება პროექტის უარყოფითი გავლენის შედეგად. ის შესაძლოა ერთი ოჯახისგან ან ოჯახების ჯგუფისაგან შედგებოდეს.</p>
<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი (AP)</p>	<p>პირები, რომლებიც ექცვიან პროექტით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ</p>
<p>კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება</p>	<p>ნებისმიერი პირი, რომელიც ათვლის თარიღისთვის (კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილების განსაზღვრის ბოლო ვადა, ანუ “Cut-off Date”) იმყოფებოდა პროექტის, მისი ქვე-კომპონენტების ან სხვა ქვე-პროექტების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის ფარგლებში და მოქცეულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ. კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება (ა) მიწაზე იურიდიული უფლების სტატუსის ქონის ან (ბ) მიწაზე ან ქონებაზე უფლების პრეტენზიის განაცხადის, ან (გ) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ დაკავებულ მიწაზე უფლების ქონის რაიმე იურიდიული საფუძველის ან პრეტენზიის არ არსებობის მიუხედავად.</p>
<p>საკუთრების უფლება</p>	<p>ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ფულად ან არაფულად კომპენსაციას, ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას, შემოსავლების შენარჩუნებას, დახმარებას გადაადგილების პროცესში, შემოსავლის წყაროს ჩანაცვლებას და გადატანას, მათი დანაკარგების ტიპის, ხარისხის და ხასიათის გათვალისწინებით, მათივე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>მიწის შესყიდვა</p>	<p>პროცესი, რომლის თანახმად სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულს ხდის პიროვნებას, საკუთარი ან მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას საკუთრებაში ან მფლობელობაში საზოგადოებრივი მიზნით გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ.</p>
<p>ჩანაცვლებითი ღირებულება</p>	<p>აქტივების შეფასების მეთოდი დანაკარგის საბაზრო ღირებულების ან მასთან მიახლოებული ღირებულების ჩასანაცვლებლად, მასში შედის ტრანზაქციის ხარჯები როგორცაა, ადმინისტრაციული ხარჯები, გადასახადები, რეგისტრაციისა და უფლების მოპოვების ხარჯები. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობით აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, ჩანაცვლებითი ღირებულების შევსება მოხდება საჭიროების მიხედვით. ჩანაცვლების ღირებულება ეფუძნება საბაზრო ღირებულებას პროექტამდე ან ქონებაზე უფლების ჩამორთმევამდე, რომელიც უფრო მაღალი იქნება. მოქმედი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აუცილებელია საკომპენსაციო მექანიზმის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები შეძლებენ საარსებო წყაროების აღდგენას საკუთრების ჩამორთმევის, გადაადგილების ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვამდე არსებულ თავდაპირველ მდგომარეობასთან მიახლოებულ დონემდე. იმ დანაკარგისთვის, რომლის შეფასებაც არ არის ადვილი ან მასზე ფულადი კომპენსაციის გაცემა გართულებულია (მაგ: საზოგადოებრივი სერვისების, მომხმარებლების და მარაგების ხელმისაწვდომობა, ან სათევზაო ადგილების, საძოვრების და ტყიანი ადგილების ხელმისაწვდომობა), ასეთი დანაკარგის კომპენსაციისთვის ყველა ზომა უნდა იყოს</p>

	მიღებული, რათა მათი ჩანაცვლება მოხდეს ექვივალენტური ან კულტურულად მისაღები რესურსებითა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებით.
რეაბილიტაცია	ზომები, რომლებიც აუცილებელია (i) სახელმწიფო საშუალებებზე, ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის აღსადგენად; (ii) კულტურული მნიშვნელობის ქონებაზე და საზოგადოებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის აღსადგენად; (iii) კულტურულად მნიშვნელოვან ადგილებზე, საჯარო მომსახურებებზე, წყლის რესურსებზე, სათიბ-სახნავ ან სატყეო რესურსებზე, მათ შორის ექვივალენტურ და კულტურულად მისაღებ რესურსებზე და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის აღსადგენად; და (iv) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ ადამიანების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის აღსადგენად, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობაც მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოექცა ქონების, შემოსავლის და დასაქმების დაკარგვით. ყველა ასეთ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სარეაბილიტაციო დახმარება, რათა აღადგინოს შემოსავლები და ცხოვრების დონე. ასეთი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე, მათ შორის იმ ადამიანებთანაც, რომელთა უფლებებიც ოფიციალურად არ იყო აღიარებული.
განსახლება	სრული ან ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი ფიზიკური ადგილმონაცვლეობა (გადაადგილება, საცხოვრებელი მიწის ან თავშესაფრის დაკარგვა) და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (მიწის, ქონების, ქონების ხელმისაწვდომობის დაკარგვა, შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვა), რაც გამოწვეულია (i) მიწის იძულების წესით შესყიდვით, ან (ii) მიწის გამოყენების ან პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე თავისუფლად შესვლის იძულებითი წესით შეზღუდვით. ეს განმარტება ეხება ზემოქმედებათა განხილულ სპექტრს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ადგილი ფაქტიურ (ფიზიკურ) გადაადგილებას.
მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა	დროში გაწერილი გეგმა, რომელიც მომზადდა განსახლებით გამოწვეული ზემოქმედების საკომპენსაციოდ და/ან შესარბილებლად.
გადაადგილება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ფიზიკური გადაადგილება მათი პროექტამდე არსებული სახცოვრებელი ადგილიდან, სამუშაო ადგილიდან, ბიზნესის ან კომერციული საქმიანობისათვის გამოყენებული შენობა-ნაგებობებიდან.
საკრებულო	აღნიშნული უწყება არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. ადგილობრივი მთავრობის საშუალო დონე მოიცავს 67 რაიონს და ექვს ქალაქს საქართველოში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი და სოხუმი. რაიონულ დონეზე წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს ადგილობრივი საბჭო (რაიონის საკრებულო) და აღმსარულებელი შტო, რომელიც წარმოდგენილია რაიონის მერის წარმომადგენლის (გამგებელი) სახით. თვითმმართველობის დონე შედგება დასახლებებისგან (თვითმმართველი ქალაქები) ან დასახლებათა ჯგუფებისგან (მუნიციპალიტეტები). დასახლებები შესაძლოა მოიცავდეს სოფლებს, პატარა ქალაქებს (მინიმუმ 3 000 მაცხოვრებელი) და ქალაქებს (მინიმუმ 5 000 მაცხოვრებელი). მუნიციპალურ დონეზე თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი შტოები წარმოდგენილია ადგილობრივი საბჭოს (საკრებულო) და მერის წარმომადგენლის სახით. თვითმმართველობის ექსკლუზიურ

	<p>პასუხისმგებლობაში შედის მიწით სარგებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარება, ზონების მიხედვით განაწილება, სამშენებლო ნებართვები და ზედამხედველობა, საცხოვრებლების მშენებლობისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.</p>
<p>მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა</p>	<p>მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებს განეკუთვნებიან ის შინამეურნეობები, რომლებმაც (i) დაკარგეს პროდუქტიული, შემოსავლის მომტანი აქტივების/მიწის 10% ან მეტი, (ii) ფიზიკურად გადაადგილებული ოჯახები და (iii) კომერციული / ბიზნეს ფართების მფლობელი ოჯახები.</p>
<p>უკანონოდ/თვითნებურად დასახლებულები</p>	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული არალეგალიზებული შინამეურნეობები, რომელთაც დაკარგეს არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც წარმოადგენს მათი შემოსავლის წყაროს.</p>
<p>მოწყვლადი შინამეურნეობა</p>	<p>ყველა ის ადამიანი, რომელიც შეიძლება მოექცეს დისპროპორციულად მწვავე ზემოქმედების ქვეშ განსახლების პროცესებთან დაკავშირებით ან რომელსაც შეიძლება დაემუქროს განსახლების ზემოქმედებით გამოწვეული მარგინალიზების რისკი. ესენი შეიძლება იყვნენ (i) ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან მარტოხელა, მარჩენალის გარეშე დარჩენილი ქალები; (ii) ოჯახები, რომელთა უფროსები შშმ პირები არიან; (iii) ღარიბი/უმწეო ოჯახები, ოფიციალურად დადგენილი სიდარების ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები; (iv) მარტოხელა მოხუცების ოჯახები (v) ოჯახი, რომელსაც არ აქვს მუდმივი უვადო სარგებლობის უფლება, (vi) კულტურული ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, (vii) ლტოლვილები ან ადგილობრივად გადაადგილებული/ადგილმონაცვლე პირები.</p>

რეზიუმე

1 ზოგადი ინფორმაცია

1. ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობა დაყოფილია 2 ლოტად. ლოტი 1 იწყება პკ12+720-ზე და მთავრდება პკ 22+751-ზე. გზის აღნიშნული მონაკვეთი გადის წკერეს გვირაბის პორტალიდან კობის კვეთამდე, სადაც ის უერთდება არსებულ საავტომობილო გზას. აღნიშნული მონაკვეთის მნიშვნელოვანი ელემენტია 9 კმ-იანი გვირაბი (გვირაბი №5). პროექტის ლოტი 1 ითვალისწინებს საავარიო გალერეის მოწყობას გვირაბის პარალელურად, ასევე ტექნიკური შენობების მოწყობას როგორც ჩრდილოეთ ისე სამხრეთ პორტალებში და მასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

2. ლოტი 2-ის მონაკვეთი ქვეშეთიდან წკერემდე მოიცავს ოთხი გვირაბის მშენებლობას, საერთო სიგრძით 2.5 კმ და ექვსი ხიდით. ლოტი 2 იწყება პკ0 000-ზე და მთავრდება პკ12 700 -ზე. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ელემენტებია:

- (i) ქვეშეთის შემოვლითი გზა (სიგრძე - 3.2 კმ)
- (ii) ექვსი ხიდი, დაწყებული 27.8 მ-ი სიგრძიდან 435.28 მ-ის სიგრძემდე
- (iii) ოთხი გვირაბი, 193.42 - 1,540.64 მ სიგრძის
- (iv) ხუთი კვეთი (პკ 0+300, პკ 1+700, პკ 3+100, პკ 7+700, პკ 10+500), და
- (v) სამი დროებითი გზა სამშენებლო სამუშაოებისთვის.

3. თითოეული ლოტისთვის ცალკე მომზადდება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP). წინამდებარე LARP-ში განხილულია პროექტის ლოტი 1. წინამდებარე მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქვეშეთი-კობის 10 კმ-ი სიგრძის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობის პროექტისთვის (შემდგომში "პროექტი"), რომელიც სავარაუდოდ დაფინანსდება აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ შემოთავაზებული სესხის ფარგლებში. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტი - პროექტის განმახორციელებელ ორგანოს.

4. წინამდებარე მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა წარმოადგენს საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება გზის საბოლოო პროექტს. ის სრულად ასახავს საქართველოს შესაბამის კანონებს, ADB- ის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებს 2009 (SPS 2009) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა 2014-ის შესრულების მოთხოვნას (EBRD PR 5).

5. წინამდებარე LARP- ის მომზადების პროცესში განხორციელებული ზემოქმედების შეფასების და ლოტი 2-ის LARP- ის წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, SPS 2009-ით განსაზღვრული ზემოქმედების კატეგორიების მიხედვით, პროექტი მიეკუთვნება „A კატეგორიის“ პროექტს იძულებითი განსახლებისთვის, და "C კატეგორიის" პროექტს - მკვიდრი მოსახლეობისთვის (IP).

2 აღწერა და ზემოქმედების შეფასება

6. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების/პირების აღწერა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა აქტივის დეტალური აზომვითი კვლევები ჩატარდა 2018 წლის აპრილში

და განახლდა 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში¹. აღწერის შედეგად გამოვლინდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 17 შინამეურნეობა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 67 პირი. კვლევისას გათვალისწინებულ იქნა მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კულტურებისა და ხეხილის მესაკუთრენი და მოსარგებლენი, ასევე ზემოქმედების სიმძიმე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მოწყვლადობა.

7. ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 17 შინამეურნეობა:

- 20 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი
- 3 საკარმიდამო მიწის ნაკვეთი
- 12 ხილის ხე
- 3 საცხოვრებელი სახლი
- 8 ჭიშკარი და ღობე
- ბოსტნეული 5 მიწის ნაკვეთზე (3,004 მ²)
- ფურაჟი 18 მიწის ნაკვეთზე (27,746 მ²)

8. მწვავე ზემოქმედების ქვეშ ექცევა 14 შინამეურნეობა, მათ შორის 5 მოწყვლადია და 3 ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას. ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული აღნიშნული სამი ოჯახიდან ერთი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ოჯახიდან 14 მათგანი დაკარგავს სასოფლო-სამეურნეო მიწის და /ან საკარმიდამო მიწის 10%-ს. ხუთი მათგანი მიეკუთვნება მოწყვლად ჯგუფს, ხოლო სამი მათგანი კარგავს საზაფხულო სახლს.

9. პროექტი გავლენას არ ახდენს რაიმე ბიზნესზე ან სამუშაოებზე.

10. ინფორმაცია ზემოქმედების და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების რაოდენობის შესახებ მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 0-1 ზემოქმედების შეჯამება

ზემოქმედების კატეგორია	AHs რაოდენობა	APs რაოდენობა	შენიშვნა
A. მიწა			
A1. სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწის ნაკვეთი	3	11	3 მიწის ნაკვეთი
A2 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	14	56	20 მიწის ნაკვეთი
სულ (A) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	17	67	
B. კულტურები / ხეები			
B1. კულტურების დანაკარგი	17	67	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
B2. ხეების დანაკარგი	2	12	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში
სულ (B) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	17	67	
C. მუდმივი ნაგებობა			
C1. საცხოვრებელი ნაგებობა	3	11	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში

¹ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების რაოდენობა არ შეცვლილა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხოლოდ ერთი პირი, რომელთან დაკავშირება ვერ მოხერხდა 2018 წლის აპრილში, გამოკითხულ იქნა სექტემბერში.

C2. დამხმარე ნაგებობები (ჭიშკრები და ლობები)	8	23	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
სულ (C) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	8	23	
D. მოწყვლადი AHs	5	21	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
E. მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული AHs			
E1. 10%-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო / საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დანაკარგი	14	51	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
E2. ადგილმონაცვლობას დაქვემდებარებული შინამეურნეობა	3	11	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში
სულ (E) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	14	51	
ჯამი	17 (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	67 (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	

11. აღწერის შედეგად გამოვლინდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 5 შინამეურნეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფს. აღნიშნული AHs-ები მიიღებენ შემწეობას, რომელიც უტოლდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 5 წევრიანი ოჯახებისთვის განსაზღვრული საარსებო მინიმუმის შემოსავალს 3 თვის ოდენობით. 2018 წლის 1 აპრილს, Cut-of-date-ის მომენტისთვის, საარსებო მინიმუმი შეადგენდა 352.5 ლარს თვეში. მოწყვლადი ოჯახები შემწეობის სახით მიიღებენ 1,057.5 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ საარსებო მინიმუმი გაიზრდება კომპენსაციის გადახდამდე, მოწყვლადობის და სხვა სახის შემწეობის გადახდა მოხდება შეცვლილი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

3 ინფორმაცია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

12. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური კვლევა (SES) და მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 2018 წლის 20-30 აპრილს და განახლდა 2018 წლის სექტემბერში. გამოკითხულ იქნა ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა 17-ივე შინამეურნეობა. 2018 წლის სექტემბერში გამოკითხულ შინამეურნეობათა რაოდენობა უცვლელია.

13. საერთო ჯამში, კვლევამ მოიცვა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 17 შინამეურნეობა და 67 ადამიანი. გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობისთვის (14 AHs / 62APs) საპროექტო სოფლები არ წარმოადგენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. როგორც წესი, ზამთარის პერიოდში, როდესაც აღნიშნული სოფლები შესაძლოა მიუდგომელი იყოს 7 თვის განმავლობაში, მათ სახლებს და პირუტყვს ძირითადად უვლიან ხანდაზმული ადამიანები. ზაფხულის თვეებში, როდესაც ბავშვებს არდადეგები აქვთ, მაცხოვრებლები ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში.

14. აღნიშნული სოფლების მუდმივ მაცხოვრებლებს (3 AHs/5 APs), როგორც წესი, ყავთ პირუტყვი და მოყავთ კარტოფილი, ნიორი და სტაფილო. ეს ბოსტნეული კარგად იზრდება მაღალმთიან რაიონებში. სოფლის მოსახლეობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს თივა, რომლითაც კვებავენ პირუტყვს ან ყიდნიან. თივის გაყიდვით მიღებული შემოსავალი თითო შინამეურნეობაზე შეადგენს დაახლოებით 50 ლარს თვეში (როგორც ეს დადგინდა სოციალურ-ეკონომიკური კვლევის დროს).

15. ორ საპროექტო სოფელს, წკერეს და კობს მიეწოდება ელექტროენერგია და გაზი, მოსახლეობა სატელევიზიო სიგნალს სატელიტური თეფშით იღებს, კარგად მუშაობს მობილური ქსელები. სოფლებში არ არის სკოლა და სამედიცინო დაწესებულება. აღნიშნულ დაწესებულებებამდე მანძილი დაახლოებით 10 კმ-ია და მოსახლეობა

ძირითადად ფეხით გადის აღნიშნულ მანძილს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის, რადგან აღნიშნული სოფლები საკმაოდ რთულად მისადგომია.

16. გამოკითხულთა აზრით, პროექტის მთავარ სარგებელს გზის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ყველა საჭირო დაწესებულების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, როგორცა სკოლები, სამედიცინო პუნქტები, მაღაზიები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ასევე უსაფრთხოება (მგლები ხშირად ესხმიან თავს ბოსელს) და მეტი სოციალიზება. პროექტის მთავარ უარყოფით მხარედ დასახელდა ხმაურის გავრცელება, ჰაერის დაბინძურება და გარკვეულ შემთხვევებში განსახლების საკითხები.

4 სამართლებრივი ბაზა

17. პროექტის სამართლებრივი ჩარჩოები და პოლიტიკა ეფუძნება საქართველოში მოქმედ ეროვნულ კანონებსა და კანონმდებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან (LAR), ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადთან (2009) და EBRD ESP 2014: PR5. პროექტთან დაკავშირებული LAR-ის პრინციპები მიღებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობისა და პოლიტიკის და ADB-ის პოლიტიკის მოთხოვნების საფუძველზე.

18. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ასახავს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადს (2009) და EBRD-ის შესრულების მე-5 მოთხოვნას. ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობები დაკავშირებულია ხალხის საარსებო საშუალებების ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან, კომპენსაციასთან და ფორმალური საკუთრების უფლების დეფინიციასთან, ასევე საზოგადოებრივი მიზნებისთვის საკუთრების შექმნასთან. ADB-ის SPS 2009 და EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 5 წარმოადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია (i) AP/AH-ების ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან (მათ შორის, ვისაც არ აქვს იურიდიული / ფორმალური უფლებები პროექტის ფარგლებში შექმნილ აქტივებზე); (ii) დაკარგული ბიზნესის და შემოსავლების ანაზღაურებასთან, და (iii) განსახლების პროცესში AP/AH-ების ხარჯების ან მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი და მოწყვლადი AP/AHs-ების განსაკუთრებული საჭიროებების დასაფარად გაღებულ ფულად შემწეობასთან. საქართველოს კანონმდებლობას/რეგულაციებს, ADB-ის პოლიტიკასა (ADB-ის SPS 2009) და EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 5-ს შორის არსებული განსხვავებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით RDMRDI-მა პროექტთან დაკავშირებით მიიღო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციის გაცემას სრული ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით, უკანონოდ/თვითნებურად დასახლებულების რეაბილიტაციას და სუბსიდიების ან შემწეობების გაცემას ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ ოჯახებისთვის, რომლებიც დაექვემდებარნენ ადგილმონაცვლეობას/გადაადგილებას, რომლებმაც დაკარგეს ბიზნესი ან რომლებიც მოექცევიან მწვავე ზემოქმედების ქვეშ.

19. RD-ის მიერ შემუშავებულ იქნა კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილების და საკუთრების უფლების პროექტზე მორგებული მატრიცა, რომლის მიხედვით დგინდება კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება პროექტის ათვლის თარიღისთვის (Cut-off-date) (1 აპრილი, 2018 წ.). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება ენიჭებათ შემდეგი კატეგორიის AP-ებს.

- ყველა AP-ი, რომელთაც დაკარგეს იურიდიულ მფლობელობაში/ტრადიციულ სარგებლობაში არსებული მიწა, ლეგალიზებადი ან კანონიერი სტატუსის გარეშე არსებული მიწები;

- მოიჯარე ან სანახევრო მფლობელობაში არსებული მიწები, მიუხედავად მათი რეგისტრაციის სტატუსისა;
- მიწაზე არსებული ნაგებობების, ნათესების, ნერგების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა; და
- AP-ები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასებს.

5 ინსტიტუციონალური დონისძიებები

20. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტი - პროექტის განმახორციელებელ ორგანოს. RD-ი პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე, ისევე როგორც მიწის შესყიდვასა და LARP-ის შესრულებაზე. საგზაო დეპარტამენტს დახმარებას გაუწევს რამდენიმე სხვა სამთავრობო დეპარტამენტი და კერძო სააგენტო დეტალური პროექტის შედგენაში, მშენებლობასა და ექსპლუატაციაში. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, პასუხისმგებელია საკუთრების უფლებების აღიარებაზე და მიწის მფლობელობის რეგისტრაციაზე კანონიერი მესაკუთრეებისათვის. ამასთან პროცესს ამოწმებენ და ადასტურებენ სოფლის თემები, სანოტარო ბიუროები, საკუთრების უფლების აღიარების კომისია და საკრებულო. რაიონულ დონეზე საჯარო რეესტრის სააგენტო ასევე პასუხისმგებელია მიწათმფლობელებისგან შესყიდული მიწის საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის გადაცემაზე. ადგილობრივი მთავრობები რაიონულ და სასოფლო დონეზე ჩართულნი არიან დაკანონებადი მიწის ნაკვეთების დაკანონებასა და მათ მომდევნო შესყიდვაზე, აგრეთვე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების განსახლებაზე. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებზე.

6 საჯარო კონსულტაციები, ჩართულობა და დოკუმენტების გასაჯაროება

21. აღნიშნული ლოტისთვის შემუშავდა და განხორციელდა საჯარო კონსულტაციების და ჩართულობის გეგმა. კონსულტაციების მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა, განსაკუთრებით იმ პირების, რომლებიც უშუალო სარგებელს იღებენ ან ზემოქმედების ქვეშ ექცვიან პროექტის განხორციელების შედეგად. კომუნიკაცია ძირითადად ქართულ ენაზე მყარდებოდა. საერთო ჯამში, სულ 144 AP-მა (99 მამაკაცი და 46 ქალბატონი) მიიღო მონაწილეობა ოთხ კონსულტაციაში, რომლებიც გაიმართა ქვეშეთში, კობში, ბეგონში, წკერეში, ზაქათკარში, მულურში, ბედონში და არახვეთში. დეტალური აზომვითი კვლევების და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის პროცესში მოხდა თითოეული AP-ის დამატებითი ინფორმირება LAR-ის პროცესთან, კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილებასთან და საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. საჯარო კონსულტაციები AP-ის მონაწილეობით იმართება პროექტის ყველა ეტაპზე. AP-თან კონსულტაციები ასევე გაგრძელდება LARP-ის დასრულების შემდეგ, LARP-ის და პროექტის განხორციელების პროცესში და ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროება იქნება. კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 15 შინამეურნეობის წარმომადგენელმა, ხოლო პროექტის შესახებ ინფორმირებული იყო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა შინამეურნეობა.

22. LARP-ის მომზადების პროცესში, კონსულტანტმა შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

-

- პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, როგორცაა პროექტის აღწერა, cut-off-date-ი, პროექტით და GRM-ით განსაზღვრული უფლებამოსილებები კომპენსაციის მისაღებად, ყველა AP-ისთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით, რომლებიც გაიმართება დეტალური აზომვითი კვლევების და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების დროს;
- დაადგინა ტარიფები / ერთეულის ფასები, რომლის საფუძველზე გაიცემა კომპენსაციები;
- AP-ებთან კონსულტაციების გზით დაადასტურა მიწის შესყიდვა და დეტალური აზომვითი კვლევების/აღწერის საშუალებით გამოვლენილ ქონებაზე ზემოქმედება, ასევე დემარკაცია და ინვენტარიზაცია;
- განახორციელა სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, როგორც LAR-ის პროცესის შემადგენელი ნაწილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას: (i) AP-ების ინფორმირება განსახლების შესაძლო ვარიანტებთან დაკავშირებით; (ii) AP- სგან ინფორმაციის მიღება იმ მომსახურებების შესახებ, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, მაგალითად, როგორცაა განათლება და ჯანდაცვა, და ასევე ინფორმაცია აღნიშნულ სერვისებამდე არსებული მანძილის შესახებ, და ასევე მათი საარსებო წყაროების შესახებ;
- მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ და მოწყვლად პირებს კონსულტაცია ჩაუტარეს საარსებო პირობების სტაბილიზაციისთვის მათთვის სასურველი ვარიანტის და / ან რეაბილიტაციის შესახებ (საჭიროებისამებრ).

23. LARP- ის საბოლოო ასლი ინგლისურ ენაზე განთავსდება ADB-ის და EBRD-ის ვებ-გვერდებზე, ხოლო LARP- ის საბოლოო ასლი ქართულ ენაზე განთავსდება საგზაო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომი იქნება საგზაო დეპარტამენტის ოფისებში. LARP-ის ქართული ვერსია AP-ისთვის ასევე ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში.

24. საინფორმაციო ბუკლეტი ინგლისურ ენაზე დანართის სახით ერთვის ინგლისურენოვან მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმას, ხოლო საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ ენაზე - ქართულენოვან მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმას. LARP-ის დასრულების შემდეგ საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ ენაზე გადაიგზავნება ყველა AP-ისთან მათ მიერ დარეგისტრირებულ ელექტრონულ მისამართზე.

7 საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი

25. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა მოიცავს საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის (GRM) შემუშავებას. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს საშუალებას გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ საქმიანობა, რომელიც მათი ქონების ან შემოსავლის წყაროს დროებით ან მუდმივ დაკარგვას გამოიწვევს და მოითხოვონ შესაბამისი კომპენსაცია. GRM-ის ფარგლებში განიხილება იძულებით განსახლებასთან, სოციალურ და გარემოსდაცვით მაჩვენებლებთან და ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული საკითხები. საჯარო კონსულტაციების, ფოკუს ჯგუფების განხილვების და პირისპირ შეხვედრების დროს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია (წერილობითი სახით ან სიტყვიერად) GRM-ის პროცედურების შესახებ. საჩივრებზე რეაგირების კომიტეტები (GRCEs) შეიქმნა მუნიციპალურ დონეზე და დაკომპლექტებულია მერის და სოფლის მმართველი

ორგანოების წარმომადგენლებისა და AP- ის /უფრო დიდი თემის წარმომადგენლებით (მათ შორის არიან ქალბატონები).

26. საჩივრების განხილვა, პირველ რიგში, მოხდება მუნიციპალიტეტის დონეზე საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე AP-ი უკმაყოფილო იქნება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით, საჩივარი განსახილველად გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს GRCE-ისგან გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი ხელს არ შეუშლის ქვეყნის მართლმსაჯულების ან ადმინისტრაციული საშუალებების ხელმისაწვდომობას. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ დროს საჩივრების განხილვის პროცესისგან დამოუკიდებლად.

27. აქტივებისა და შემოსავლების დაკარგვა, ასევე პროექტის უარყოფითი ზემოქმედება საარსებო წყაროზე კომპენსირებული იქნება ამ პროექტისთვის შეთანხმებული დებულებების მიხედვით. პროექტისთვის სპეციფიკური საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცა მოცემულია ცხრილში 0-2

ცხრილი 0-2 კომპენსაციაზე უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
მიწა			
სასოფლო-სამეურნეო მიწა: მიწის სამუდამოდ დაკარგვა, გართულებული წვდომა ან დაზიანება.	პუქმ პირები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწას მიუხედავად ზემოქმედების სიმწვავისა	რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით	პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით, არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. თუ მიწის ნაკვეთის რომელიმე დარჩენილი ნაწილი გამოსაყენებლად გამოუსადეგარი ხდება, ამ სახის დარჩენილი ნაწილი დაექვემდებარება შესყიდვას მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე.
		ლეგალიზებადი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (პუქმ პირები, რომელთა განაცხადი ლეგალიზაციის მიღებაზე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებით მოსარგებლე პუქმ პირები, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ მიწით და საკარმიდამო მიწის მახლობლად ფლობენ	აღნიშნული პუქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეესტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		<p>სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ან საკარმიდამო ნაკვეთს).</p> <p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები</p>	<p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთის მფლობელები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით აქტიურად კულტივირებული მიწის ნაკვეთისთვის, ხოლო არაკულტივირებული / გამოუყენებელი მიწის ნაკვეთისთვის - 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.</p>
		სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე	დაკარგული მოსავლიდან მიღებული შემოსავლის სრული კომპენსაცია x ოჯარის დარჩენილი წლები (4 წლამდე), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ოჯარის ხელშეკრულებით. ოჯარის შემთხვევაში, მიწის მესაკუთრეს არ გადაეცემა მოსავლის კომპენსაცია, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციის გზით, მოიჯარეს დახმარებას გაუწევს ჩანაცვლებითი ოჯარის მოძიებაში.
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	პუქმ პირი, რომელიც კარგავს კომერციული დანიშნულების / საკარმიდამო მიწას	<p>რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით</p> <p>ლეგალიზებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (ლეგალიზებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)</p> <p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები: (რეგისტრაციის/ მიწათსარგებლობის</p>	<p>ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.</p> <p>აღნიშნული პუქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.</p> <p>პუქმ არალეგალიზებული პირები, რომლებიც კარგავენ მათ მფლობელობაში არსებულ ერთადერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც წარმოადგენს პუქმ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს,</p>

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკის/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე პირები)	კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. აღნიშნული შეეხება მხოლოდ ფიზიკურ განსახლებას დაქვემდებარებულ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი.
დროებითი ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე	N/A	N/A	მიწის ნაკვეთზე დროებითი ზემოქმედების კომპენსაცია მოხდება ზემოქმედების პერიოდში მიწის ნაკვეთის პროდუქტიული ღირებულების გათვალისწინებით და შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოხდება მის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა.
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები / აქტივები		ზემოქმედების ქვემოქცეული ყველა შინამეურნეობა კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები)	ფულადი კომპენსაცია შენობის / ნაგებობების დაკარგვის სანაცვლოდ სრული ჩანაცვლების ღირებულებით, ტრანზაქციის და ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით.
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის/საზოგადოებრივი საკუთრების რესურსების დანაკარგი			
საზოგადოებრივი საკუთრების დანაკარგი	საზოგადოებრივი/საჯარო აქტივები	საზოგადოება/სახელმწიფო	დაკარგული რესურსის / აქტივის აღდგენა საზოგადოებასთან კონსულტაციების გზით და მათი ფუნქციების აღდგენა
შემოსავლისა და საარსებო წყაროს დანაკარგი			
ნათესები	დათესილ კულტურებზე ზემოქმედება ან დასათესი კულტურებიდან მისაღები შემოსავლის დაკარგვა	პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და თვითნებურად შეჭრილი პირები)	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით, რომლის ოდენობა დაგეგმილი მოსავლის საერთო საბაზრო ღირებულებას უტოლდება.
ხეები	ზემოქმედების ქვემოქცეული ხეები	პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო ღირებულების საფუძველზე ხეების ტიპის, ასაკის და ნაყოფიერების მიხედვით. (ხის მოსალოდნელი მოსავალი გამრავლებული მსგავსი

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		თვითნებურად შეჭრილი პირები)	პროდუქტიულობის ხის გაზრდისთვის საჭირო წლებზე).
ბიზნესი/დასაქმება	ბიზნესის/სამუშაოს დაკარგვა	პროექტის ზემოქმედების ქვემოთ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და თვითნებურად შეჭრილი პირები)	<p>მესაკუთრე:</p> <p>(i) (მუდმივი ზემოქმედება) 1 წლის სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია, ან შემოსავლის მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევებში, თუ ზემოქმედების ქვემოთ მოქცეულ პირებს გადახდილი აქვთ ფიქსირებული გადასახადი, ისინი მიიღებენ კომპენსაციას 12 თვიანი საარსებო მინიმუმის ოდენობით.</p> <p>(ii) (დროებითი ზემოქმედება) ბიზნესის გაჩერების თვეების სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია. შეფასება კეთდება საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის მიხედვით.</p> <p><u>მუდმივი მუშაკი/დასაქმებული პირი:</u> დაკარგული 3 თვის ხელფასის ანაზღაურება, ან საგადასახადო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, ერთჯერადი შემწეობა 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული ოფიციალური დოკუმენტების წარმოდგენა. მაგალითად, ხელფასის ცნობა, ბუღალტრული / ფინანსური აღიწვევა/ანგარიში.</p>
დახმარებები			
მწვავე ზემოქმედებები	ფიზიკური განსახლება ან პროდუქტიული აქტივების 10% -ზე მეტის დაკარგვა	მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მირებული შემოსავალი: დამატებით 1 მოსავლის კომპენსაცია, რაც მოიცავს ზემოქმედების ქვემოთ მყოფი მიწიდან მიღებული ერთი წლის მოსავალს ან სხვა სახის შემოსავალს: დამატებითი კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
საარსებო წყაროს აღდგენა	AP-ები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% -ზე მეტს	მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობისთვის გაიცემა კომპენსაცია ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწაზე მოყვანილი ყველა ტიპის კულტურების (თივის ჩათვლით) და ხეების 2 წლის მოსავლის (გადამოწმებული საბაზრო ღირებულებით) ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა 3 თვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია,

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
			მის ნაცვლად მოხდება 3 თვის საარსებო მინიმუმის გადახდა.
	AP-ები, რომლებიც კარგავენ არა სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% -ზე მეტს.	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: საარსებო წყაროს აღდგენა მოიცავს 3 თვის საარსებო მინიმუმის კომპენსაციის სახით გადახდას.
გადაადგილება/ ადგილმონაცვლეობა	სატრანსპორტო / ადგილმონაცვლეობის ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადგილმონაცვლე შინამეურნეობა	დახმარება ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად გადასვლის პერიოდში. (200 ლარი ტრანსპორტირების ხარჯი + 3 თვის საარსებო მინიმუმი).
მოწყვლადობის შემწეობა		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, მარტოხელა დედებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით გაძლიერებული ოჯახები, ან ლტოლვილი/იძულებით გადაადგილებული ოჯახები.	3 თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტური ერთჯერადი კომპენსაცია და პრიორიტეტი პროექტთან დაკავშირებულ სფეროებში დასასაქმებლად. დამატებითი ასევე გაიცემა ადგილმონაცვლეობის / ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარი დახმარება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკურ საკითხებს, გადაადგილების დაგეგმვას, ჩანაცვლებითი საცხოვრებელი ადგილის მოძიებას და ა.შ.
გაუთვალისწინებელი ზემოქმედება მშენებლობის პროცესში, მათ შორის დროებითი ზემოქმედებები და ზემოქმედებები საარსებო წყაროებზე.	ზემოქმედების არეალის ფარგლებს გარეთ ან განთვსების ზოლს გარეთ არსებულ ქონებაზე ან აქტივებზე ზემოქმედება მშენებლობის პროცესში	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი.	ზემოქმედების იდენტიფიცირების შემდეგ კომპენსაციის შეფასება და გადახდა უნდა მოხდეს SPS 2009 და EBRD PR 5-ის მოთხოვნების საფუძველზე.
ფუჭი ქანების სანაყაროსთან და სამშენებლო ბანაკებთან დაკავშირებული ზემოქმედებები	დროებითი ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც იყენებენ პროექტის ფარგლებში არსებულ საძოვრებს	ნებისმიერი დროებითი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ფუჭი ქანების სანაყაროების ან სამშენებლო ბანაკების მოწყობით, მიწის ნაკვეთის გამოყენების საკითხი

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
			დარეგულირდება კონტრაქტორსა და მიწის მესაკუთრეს შორის შეთანხმების საფუძველზე.
	მუდმივი ზემოქმედება		ნებისმიერი მუდმივი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია გამოუსადეგარი მასალის ან გზის არსებული ნაწილების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ნარჩენების საბოლოო განთავსებით, სათანადოდ კომპენსირდება LARP-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, თივისა და საძოვრების დაკარგვის სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება და გაიცემა სათანადო დახმარება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

8 მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განხორციელების პროცესი

28. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის განუყოფელი ნაწილია. LAR-თან დაკავშირებული ყველა ქმედება დაიგეგმება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას კომპენსაციის გადახდა ადგილმონაცვლეობამდე და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. საჯარო კონსულტაციები, მონიტორინგი და საჩივრებზე რეაგირება მოხდება LARP-ის განხორციელების და მშენებლობის პროცესში.

29. LARP- ის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანებია:

- AP-ებთან კონტრაქტების გაფორმება
- ინფორმაციის გამჟღავნება და კონსულტაცია
- LAR-ის ინსტიტუტების, AP-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგი
- საჩივრების განხილვა
- ETCIC-ის მიმართ მოთხოვნა კომპენსაციების და შემწეობის გასაცემად;
- კომპენსაციის და შემწეობის გადარიცხვა AP-ის საბანკო ანგარიშზე და მიწის რეგისტრაცია გზების დეპარტამენტში
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების/აქტივების გადაადგილება
- შესაბამისობის განხილვა და ანგარიშის მომზადება
- შეტყობინება სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესახებ
- მონიტორინგი

30. LARP-ის განხორციელების გრაფიკი (იხ. ცხრილი 8-1) მომზადდა გზების დეპარტამენტთან კონსულტაციების გზით.

9 ღირებულება და დაფინანსება

31. LARP-ის განხორციელების საერთო ღირებულება, კომპენსაციის, რეაბილიტაციის და ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით შეადგენს **607,550 ლარს**, რაც ექვივალენტურია **250,021 აშშ დოლარის** (საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად, 2018 წლის 20 აპრილის მდგომარეობით (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng>)).

10 მონიტორინგი და შეფასება

32. პროექტის ფარგლებში შემუშავდება შიდა და გარე მონიტორინგის სისტემა. ეფექტური მონიტორინგის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, რომ უზრუნველყოს LARP-ის თავდაპირველად დაგეგმილი კურსით და ტემპით განხორციელება. LARP-ის განხორციელება დაექვემდებარება როგორც შიდა ისე გარე მონიტორინგს, რადგან მნიშვნელოვნად ბევრი იძულებით განსახლებაა მოსალოდნელი მთლიანად პროექტთან (ორივე ლოტი) დაკავშირებით. ADB-ის SPS 2009 მიხედვით, იძულებითი განსახლება მნიშვნელოვან ზემოქმედებად არის განხილული, თუ 200 ან მეტი ადამიანი იძულებით იცვლის საცხოვრებელ ადგილს ან კარგავს 10%-ს ან მეტ შემოსავლის მომტან აქტივს. შიდა მონიტორინგი განხორციელდება RD-ის მიერ. გარე მონიტორინგისთვის გამოიყოფა EM, რომელსაც დაიქირავენ EA და დაამტკიცებს ADB.

33. RD მონიტორინგს გაუწევს LARP- ის განხორციელების პროგრესს და ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშს წარუდგენს ADB-ის და EBRD-ის. მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ADB-ის, EBRD-ის და RD-ის ვებ-გვერდებზე.

1 ზოგადი ინფორმაცია

34. ქვეშეთი -კობის გზის მშენებლობა დაყოფილია 2 ლოტად. ლოტი 1 იწყება პკ12+720-ზე და მთავრდება პკ 22+751-ზე. გზის აღნიშნული მონაკვეთი გადის წკერეს გვირაბის პორტალიდან კობის კვეთამდე, სადაც ის უერთდება არსებულ საავტომობილო გზას. აღნიშნული მონაკვეთის მნიშვნელოვანი ელემენტია 9 კმ-იანი გვირაბი (გვირაბი №5). პროექტის ლოტი 1 ითვალისწინებს საავარიო გალერეის მოწყობას გვირაბის პარალელურად, ასევე ტექნიკური შენობების მოწყობას როგორც ჩრდილოეთ ისე სამხრეთ პორტალებში და მასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

35. ლოტი 2-ის მონაკვეთი ქვეშეთიდან წკერემდე მოიცავს ოთხი გვირაბის მშენებლობას, საერთო სიგრძით 2.5 კმ და ექვსი ხილით. ლოტი 2 იწყება პკ0 000-ზე და მთავრდება პკ12 700 -ზე. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ელემენტებია:

- (vi) ქვეშეთის შემოვლითი გზა (სიგრძე - 3.2 კმ);
- (vii) ექვსი ხიდი, დაწყებული 27.8 მ-ი სიგრძიდან 435.28 მ-ის სიგრძემდე;
- (viii) ოთხი გვირაბი, 193.42 - 1,540.64 მ სიგრძის;
- (ix) ხუთი კვეთი (პკ 0+300, პკ 1+700, პკ 3+100, პკ 7+700, პკ 10+500); და
- (x) სამი დროებითი გზა სამშენებლო სამუშაოებისთვის.

36. თითოეული ლოტისთვის ცალკე მომზადდება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP). წინამდებარე LARP-ში განხილულია პროექტის ლოტი 1. წინამდებარე მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქვეშეთი-კობის 10 კმ-ი სიგრძის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობის პროექტისთვის (შემდგომში "პროექტი"), რომელიც სავარაუდოდ დაფინანსდება აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ შემოთავაზებული სესხის ფარგლებში. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტი - პროექტის განმახორციელებელ ორგანოს.

37. წინამდებარე მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება გზის საბოლოო პროექტს და სრულად ასახავს საქართველოს შესაბამის კანონებს, ADB- ის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებს 2009 (SPS 2009) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა 2014-ის შესრულების მოთხოვნას (EBRD PR 5).

38. წინამდებარე LARP- ის მომზადების პროცესში განხორციელებული ზემოქმედების შეფასების და ლოტი 2-ის LARP- ის წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, SPS 2009-ით განსაზღვრული ზემოქმედების კატეგორიების მიხედვით, პროექტი მიეკუთვნება „A კატეგორიის“ პროექტს იძულებითი განსახლებისთვის, და "C კატეგორიის" პროექტს - მკვიდრი მოსახლეობისთვის (IP).

1.1 შესავალი და მიზანი

39. წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის შემუშავების პროცესის და მისი განხორციელებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის აღწერა.

40. ქვეშეთი-კობის მონაკვეთი წარმოადგენს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ნაწილს, რომელიც საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელ ძირითად გზას წარმოადგენს. გზა იწყება მცხეთიდან და სრულდება რუსეთის ფედერაციის საზღვართან. არსებული გზის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 34 კმ-ს და ხასიათდება რთული რელიეფით. ზამთრის პერიოდში, ჯვრის უღელტეხილზე დადებული თოვლის სიმაღლე შეადგენს 3-5 მ-ს. გარდა ამისა, ზამთრის თვეებში ქარბუქის გამო ჯვრის უღელტეხილი ხშირად იკეტება მრავალი დღის განმავლობაში.

41. აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტი წარმოადგენს საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ცენტრად ქვევის სტრატეგიულ ნაწილს. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მთავარ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან დაკავშირება ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა გაზარდოს მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი აზრეშუმის გზის გასწვრივ.

42. გზის აღნიშნული მონაკვეთი ფინანსდება ADB-ის და EBRD-ის მიერ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ ორგანოს საქართველოს მთავრობის სახელით, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტი - პროექტის განმახორციელებელ ორგანოს.

ნახაზი 1-1 ქვეშეთი-კობის საპროექტო გზა




43. დეტალური აზომვითი კვლევა და აღნიშნული ლოტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერა შესრულდა დეტალური და საბოლოო საინჟინრო პროექტზე დაყრდნობით და საბოლოოდ განსაზღვრული გასხვისების ზოლის გათვალისწინებით. ნებისმიერი დამატებითი ზემოქმედება, როგორცაა მისასვლელი გზები, სანაყაროები, შეფასდება და შევა დანართში, რომელიც მომზადდება მისასვლელი გზების საბოლოო პროექტის შემუშავების შემდეგ. წინამდებარე LARP-ი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას და რეგულაციებს მიწის შესყიდვასთან და იძულებით განსახლებასთან დაკავშირებით და ასევე ADB-ის SPS, 2009 და EBRD Pr5-ის მოთხოვნებს. ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის (SPS) მიხედვით პროექტი კლასიფიცირდება A კატეგორიის პროექტად იძულებითი განსახლებისთვის. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მკვიდრი მოსახლეობა არ არის.

1.2 LAR- თან დაკავშირებული პროექტის დამუშავების პირობები

44. LAR- თან დაკავშირებული პროექტის დამუშავების პირობებია:

- (i) **სასესხო ხელშეკრულების გაფორმება:** ADB- სა,EBRD-ის და საქართველოს მთავრობის მიერ წინამდებარე LARPის განხორციელების დამტკიცების პირობები;
- (ii) **ცნობა კონტრაქტორების მოძიების თაობაზე შემდეგი პირობებით:**
1. საბოლოო LARP-ის სრულად და სათანადოდ განხორციელება RD-ის, ADB-ის და EBRD-ის მოთხოვნების შესრულებით.
 2. საჭიროების შემთხვევაში, RD-ის, ADB-ის და EBRD- ისთვის მისაღები LARP-ის დანართის მომზადება და განხორციელება.
 3. შესაბამისობის ანგარიშის მომზადება ADB- სა და EBRD- ის მიერ დამოწმებული და დამტკიცებული.

ნახაზი 1-2 ლოტი 1 - საპროექტო განლაგება



2 აღწერა და ზემოქმედების შეფასება

45. სოფ. წკერასა და სოფ. კობის მოსახლეობაში მოძიებულ იქნა პროექტის ზეგავლენის შესახებ საბაზისო ინფორმაცია. ინტენსიური კვლევისა და ინვენტარიზაციის პროცესში, რომელიც დაიწყო 2018 წლის 20 აპრილს და დასრულდა 2018 წლის 30 აპრილს, გამოვლინდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები/ოჯახები. მოპოვებული ინფორმაცია განახლდა 2018 წლის 14-18 სექტემბერს.

46. არსებული საკადასტრო რუკების კვლევის საფუძველზე ზემოქმედების წინასწარი იდენტიფიცირების შემდეგ, LARP- ის მოსამზადებელმა გუნდმა დაიწყო საველე დეტალური აზომვითი კვლევები. DMS-ის განხორციელების პროცესში ახლიდან აიზომა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთი და ქონება. წინასწარი საკადასტრო აზომვითი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები განახლდა და შესწორდა დეტალური აზომვითი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. დეტალური საინჟინრო პროექტირების დასრულების შემდეგ განხორციელდა ზემოქმედების შესახებ არსებული მონაცემების დამატებითი კორექტირება. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თითოეული აქტივის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით ასევე გათვალისწინებულ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერები.

47. დეტალური აზომვითი კვლევების პარალელურად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა აქტივი შეფასებულ იქნა აკრედიტებული შემფასებლის მიერ. მიწა შეფასდა შემოსავლების მიდგომის გამოყენებით. შენობა-ნაგებობები შეფასდა სრული ჩანაცვლების ღირებულებით (ამორტიზაციის გამოკლების გარეშე), ღირებულების, მასალების ტრანსპორტირების, მუშახელის და სამშენებლო გადასახადებისა და მოსაკრებლების საფუძველზე.

48. DMS-ის პარალელურად გამოვლინდა და გამოიკითხა ყველა AH/AP. ინტერვიუების პროცესში აღირიცხა თითოეული AH-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რათა სათანადოდ შეფასებულიყო თითოეულ ოჯახზე მოსალოდნელი სპეციფიკური ზემოქმედება. არრიცხვის პროცესში ყველა AH-ი იდენტიფიცირებულ იქნა LARP- ის მიერ განსაზღვრული AP-ის კატეგორიის მიხედვით.

49. კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილების ათვლის თარიღი მოცემული პროექტისთვის არის 2018 წლის 1 აპრილი, საიდანაც იწყება დეტალური აზომვითი კვლევები და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღრიცხვა.

2.1 ზემოქმედების შეფასება

50. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 17 შინამეურნეობა (AHs) და 67 პირი (APs). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებიდან 32 კაცი და 35 ქალია. საერთო ჯამში 14 შინამეურნეობა დაკარგავს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო 3 შინამეურნეობა დაკარგავს სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწას. არცერთი შინამეურნეობა არ კარგავს სამრეწველო / კომერციულ მიწის ნაკვეთს ან საძოვრებს. სამი შინამეურნეობა დაკარგავს საცხოვრებელ ნაგებობებს. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის ბიზნესზე, დასაქმებაზე ან საჯარო საკუთრებაზე. ზემოქმედებების შემაჯამებელი შეფასება მოცემულია ცხრილში 2-1, ხოლო შემდეგ პარაგრაფებში დეტალურად არის განხილული თითოეული ზემოქმედება კატეგორიების მიხედვით.

51. საერთო ჯამში, 17 შინამეურნეობა დაკარგავს:

- 20 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს
- 3 საკარმიდამო ნაკვეთს
- 12 ხეხილს
- 3 საცხოვრებელ სახლს
- 8 ჭიშკარს და ღობეს
- ბოსტნეულს 5 მიწის ნაკვეთზე (3,004 მ²)
- ფურაჟს 18 მიწის ნაკვეთზე (27,746 მ²)

52. მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 14 შინამეურნეობა, მათ შორის 5 შინამეურნეობა მოწყვლადია, ხოლო 3 შინამეურნეობა ადგილმონაცვლე.

ცხრილი 2-1: ზემოქმედების შეჯამება

ზემოქმედების კატეგორია	AHs რაოდენობა	APs რაოდენობა	შენიშვნა
A. მიწის ნაკვეთი			
A1. სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწის ნაკვეთი	3	11	3 მიწის ნაკვეთი
A2 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	14	56	20 მიწის ნაკვეთი
სულ (A) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	17	67	
B. კულტურები / ხეები			
B1. კულტურების დანაკარგი	17	67	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
B2. ხეების დანაკარგი	2	12	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში
სულ (B) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	17	67	
C. მუდმივი ნაგებობა			
C1. საცხოვრებელი ნაგებობა	3	11	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში
C2. დამხმარე ნაგებობები (ჭიშკრები და ღობეები)	8	23	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
სულ (C) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	8	23	
D. მოწყვლადი AHs	5	21	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
E. მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული AHs			
E1. 10%-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო / საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დანაკარგი	14	51	ყველა AHs შედის A1/A2 კატეგორიაში
E2. ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული შინამეურნეობა	3	11	ყველა AHs შედის A1 კატეგორიაში
სულ (E) (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	14	51	
მისასვლელი გზები და სხვა გაუთვალისწინებელი ზემოქმედებები			განხილულ იქნება LAR-ის ცალკე დოკუმენტში, რომელიც მომზადდება პროექტირების დასრულების შემდეგ

ჯამი	17 (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	67 (ორმაგი გაანგარიშების გარეშე)	
------	----------------------------------	----------------------------------	--

2.1.1 ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე

53. ლოტი 1 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა გარკვეული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. სულ ლოტი 1 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 23 მიწის ნაკვეთი. საერთო ჯამში 17 შინამეურნეობა (67 პირი) დაკარგავს 23 მიწის ნაკვეთს. აქედან, 20 მიწის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ხოლო 3 -სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენს 22,869 მ²-ს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწის ფართობი 8,420 მ²-ს. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მხოლოდ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობა სახლს იშენებს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე და შესაბამისად მიწა ხდება საკარმიდამო დანიშნულების მისი ამჟამინდელი გამოყენების საფუძველზე. ზოგჯერ მოსახლეობა საკარმიდამო მიწას იყენებს ბოსტნეულის მოსაყვანად საკუთარი მოხმარებისთვის, რითაც მას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებასაც მენს. წინამდებარე LARP-ის მიზნებისთვის აღნიშნული მიწის ნაკვეთები კლასიფიცირდება როგორც სასოფლო-სამეურნეო/საკარმიდამო მიწა მისი ამჟამინდელი გამოყენების საფუძველზე. გადმოცემით, მხოლოდ ორი შინამეურნეობა ყიდის თევას.

54. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები დაყოფილია მათი სამართლებრივი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად: ა) კანონიერი რეგისტრაციის მქონე მიწა 5,582 მ² (5 ნაკვეთი); ბ) ლეგალიზებადი მიწა 25,647 მ² (17 ნაკვეთი); გ) არაკანონიერი მიწები - 60 მ² (6,758 მ² ფართი მიწიდან, რომელიც გამოიყენება ერთი DP-ის მიერ სოფ. კობში). არალეგალურად გამოყენებული მიწის ნაკვეთის მომხმარებელი, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული დოკუმენტაცია და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის საჭირო სხვა დამადასტურებელი საბუთი. DP იყენებს თავისუფალ სახელმწიფო მიწას საძოვრებად.

55. მიწაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მისი გამოყენებისა და სამართლებრივი სტატუსის მიხედვით მოცემულია ცხრილში 2.2.

ცხრილი 2.2. ზემოქმედება მიწაზე

მიწის ტიპი გამოყენების მიხედვით	კანონიერი რეგისტრაციის მქონე				ლეგალიზებადი				კანონიერი სტატუსის არ მქონე				სულ	
	მ ²	ნაკვეთების რაოდ.	AH-ების რაოდ.	AP-ების რაოდ.	მ ²	ნაკვეთების რაოდ.	AH-ების რაოდ.	AP-ების რაოდ.	მ ²	ნაკვეთების რაოდ.	AH-ების რაოდ.	AP-ების რაოდ.	მ ²	ნაკვეთების რაოდ.
სასოფ.- სამეურნეო	3,254	4	2	10	19,555	15	13	49	60	1	1	2	22,869	20
სასოფ.- სამეურნეო/ საკარმიდამო	2,328	1	1	6	6,092	2	2	5	0	0	0	0	8,420	3
სულ	5,582	5	3	16	25,647	17	15	54	60	1	1	2	31,289	23

2.1.2 ზემოქმედება მოსავალზე

56. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 24,052 მ² მოსავლიანი მიწის ფართობი. აღნიშნული ფართობი იყოფა კულტურების და მიწის ნაკვეთების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად: ა) 40 მ² (1 ნაკვეთი) მიწა, რომელზეც მოდის ნიორი, ბ) 615 მ² (1 ნაკვეთი) მიწა, რომელზეც მოდის სტაფილო, გ) 3 AH-ის 2349 მ² (5 plots) მიწა, რომელზეც მოჰყავთ კარტოფილი, დ) 24,052 მ² (18 ნაკვეთი) მიწა, რომელზეც მოდის თევა (იხ. ცხრილი 2-3)

ცხრილი 2-3: ზემოქმედება მოსავალზე

№	სასოფლო-სამეურნეო კულტურები	AH-ების რაოდენობა	AP-ების რაოდენობა	ფართობი (მ ²)	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	შენიშვნები
1	ნიორი	1	6	40	1	
2	სტაფილო	1	3	615	1	
3	კარტოფილი	3	9	2,349	5	1 მიწის ნაკვეთი (ნიორი) და 1 მიწის ნაკვეთი (სტაფილო)
4	თევა	12	49	21,048	18	1 მიწის ნაკვეთი (კარტოფილი)
	სულ	17	67	24,052		

2.1.3 ზემოქმედება ხეებზე

57. აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ ორი შინამეურნეობა დაკარგავს სულ 12 ხეს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია აღნიშნული ხეების ტიპი და ასაკოვნება.

Table 2-4: ზემოქმედება ხეებზე

№	ხეების ტიპი	AH-ების რაოდენობა	AP-ების რაოდენობა	ხეების ასაკი				ხეების საერთო რაოდენობა
				<5	5-10	11-20	21+	
1	ქლიავი	1	1	0	0	6	0	6
2	მსხალი	2		0	0	5	0	5
3	ვაშლი	1	3	0	0	1	0	1
	სულ	2	4	0	0	12	0	12

2.1.4 ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე

58. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა სამი შინამეურნეობის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. აღნიშნულ შენობებს იყენებენ იშვიათად მხოლოდ ზაფხულობით, ერთ-ერთი მათგანიდან მხოლოდ გარე კედლებია დარჩენილი და ისიც ნაწილობრივ. ადამიანების

ფიზიკური გადაადგილება არ ხდება, რადგან მათ აქვთ სხვა მუდმივი საცხოვრებელი სახლები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირები, სხვა კუთვნილი დახმარებების გარდა მიიღებენ მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის განსაზღვრულ დახმარებას (1,057.5 ლარი), რადგან ისინი კარგავენ საზაფხულო სახლებს.

ცხრილი 2-5: ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე

შენობა-ნაგებობების ტიპი	AHs	APs	შენობა-ნაგებობების რაოდენობა
საცხოვრებელი (საზაფხულო სახლი)	3	11	3
სულ			3

2.1.5 მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ და მოწყვლად შინამეურნეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედება

59. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 14 შინამეურნეობა (51 პირი). აღნიშნული ოჯახები დაკარგავენ მათ მფლობელობაში არსებული მიწის 10%-ზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი გამოკითხული შინამეურნეობის შემოსავლის წყარო არ არის დამოკიდებული მიწაზე და მათ მიერ მიწა არ გამოიყენება ეკონომიკური მიზნებისთვის, ყველა ის შინამეურნეობა, რომელიც კარგავს მიწის 10%-ზე მეტს მიიღებს მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისთვის განსაზღვრულ დახმარებას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების უმეტესობის შემოსავალს წარმოადგენს პენსია, კერძო სექტორში მუშაობა და თვითდასაქმება. ერთი შინამეურნეობის უფროსმა უარი განაცხადა მისი შემოსავლის წყაროს დასახელებაზე. 5 ოჯახს ეზოში მოყავს კარტოფილი და ნიორი (იხ. ცხრილი 2-6 ა). მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 14 შინამეურნეობიდან, სამი მათგანი დაკარგავს საცხოვრებელ სახლს. აღნიშნული სახლებში არ ცხოვრობენ, თუმცა ორ მათგანში დგას გარკვეული ავეჯი და AP-ები მათ იყენებენ ზაფხულობით იშვიათად სტუმრობისას. ერთი სახლი თითქმის დანგრეულია, მისგან მხოლოდ ორი კედელია დარჩა. აღნიშნული სამივე შინამეურნეობა მიიღებს კომპენსაციას სრული ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით, ასევე მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისთვის განსაზღვრულ დახმარებას და ადგილმონაცვლეობის დახმარებას.

60. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 5 შინამეურნეობის წევრი მიეკუთვნება მოწყვლად ჯგუფს. ოთხი რეგისტრირებულია როგორც ღარიბი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები) და ერთი იძულებით გადაადგილებული შინამეურნეობა. გარდა ამისა, აღნიშნული ხუთივე შინამეურნეობა ექცევა მწვავე ზემოქმედების ქვეშ. AH-ებს უფლება აქვთ მიიღონ ერთზე მეტი შემწეობა. ერთი მოწყვლადი შინამეურნეობა მიიღებს სამ შემწეობას. ცხრილში 2-6 მოცემულია მოწყვლადი და მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, ხოლო ცხრილში 2-6 ა მოცემულია უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეული მოწყვლადი შინამეურნეობის შესახებ, ასევე მათ მფლობელობაში არსებული მიწების, შემოსავლების და შემოსავლის წყაროების შესახებ. ცხრილში 2-7 დეტალურად არის მოცემული ყველა ის დახმარება, რომლებსაც მიიღებენ აღნიშნული ოჯახები.

ცხრილი 2-6: მოწყვლადი და მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები

№	დახმარება	AH-ების რაოდენობა		AP-ის რაოდენობა	შენიშვნები
		ორმაგი განაგარიშებიტ	ორმაგი განაგარიშები ს გარეშე		
A	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა (ზემოქ. ქვეშ მოქცეული საცხოვრებელი სახლები)	3	3	11	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ერთი AH-ის საზაფხულო სახლის მხოლოდ ნანგრევებიდაა შემორჩენილი.
B	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა (ზემოქმედების ქვეშ მოექცა მათი მიწის 10%-ზე მეტი)	14	11	40	A კატეგორიაში შემავალი 3 AH-ი
C	მოწყვლადი შინამეურნეობა	5	0	0	B კატეგორიაში შემავალი ყველა შინამეურნეობა
Total		22	14	51 (ორმაგი დათვლის გარეშე)	

ცხრილი 26 ა: მოწყვლადი შინამეურნეობა

AH-ების უფროსი	საცხოვრებელი ადგილი	თვითური უმოსავალი	უმოსავლის წყარო	დამატებითი უმოსავალი	მიწათმფლობელობა (მ²)	ზემოქ. ქვეშ მოქცეული მიწა (მ²)	ზემოქ. ქვეშ მოქცეული მოსავალი (მ²)	მოსავალის ტიპი	მოწყვლადობა	მწვავე ქვეშ მოქცეული
Z. T.	თბილისი	780	ხელფასი	პენსია	800	325	325	კარტოფილი		კი
Z. T.	ქვეშეთი	N/A	N/A	N/A	15,000	1,456	374	კარტოფილი	კი	კი
Z. G.	თბილისი	190	პენსია		4,500	1,114	450	კარტოფილი		არა
Z. I.	წყერე	1340	ხელფასი	პენსია	4,900	2,328	540	ნიორი, კარტოფილი	კი	კი
G.Z.	თბილისი	680	ხელფასი	პენსია	7,000	5,018	1,315	სტაფილო, კარტოფილი		კი

ცხრილი 2-7: მოწყვლადი შინამეურნეობის დახმარება

მოწყვლადობა	AH-ის რაოდენობა	AP-ის რაოდენობა	ქალი	კაცი	ზემოქმედება მიწაზე %	მოწყვლადობის უმცირესობა*	მწვავე ზემოქმედების ქვეშ ყოფნის უმცირესობა*	ადგილმონაცვლეობის უმცირესობა*
იძულებით გადაადგილებული პირი	1	4	3	1	18%	კი	კი	
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ	1	2	1	1	23%	კი	კი	
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ	1	7	4	3	13%	კი	კი	
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ	1	2	1	1	10%	კი	კი	
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ	1	6	4	2	48%	კი	კი	კი

Total	5	21	13	8			
-------	---	----	----	---	--	--	--

*352.5 ლარი (3 თვის) არის ყოველთვიური საარსებო მინიმუმი 5-წევრიანი ოჯახისთვის 2018 წლის აპრილის მდგომარეობით.

2.1.6 მკვიდრი მოსახლეობა

61. მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის და EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად. პროექტი გავლენას არ იქონიებს SPS 2009-ით კლასიფიცირებულ მკვიდრ მოსახლეობაზე, შესაბამისად, პროექტზე არ ვრცელდება ADB-ის პოლიტიკა მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებით.

2.2 საარსებო წყაროს აღდგენა

62. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებიდან, 14 მათგანი კარგავს მათ მფლობელობაში არსებული მიწების 10%-ზე მეტს. ხუთი მათგანი მოწყვლადია. SES-ის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, ოჯახების უმეტესობის შემოსავლის წყარო არ არის მიწასთან კავშირში. მხოლოდ ერთი შინამეურნეობა (სოფ. კობი) არის დამოკიდებული მიწიდან მიღებულ შემოსავალზე. აღნიშნული AH-ი უკანონოდ იყენებს 60 მ²-ის ფართობ მიწას, რომელიც ექცევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ. თუმცა, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მონაკვეთი არც თუ ისე მძიმე ზემოქმედებას იქონიებს მათ შემოსავლის წყაროზე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სხვა ოჯახებს მოჰყავთ ბოსტნეული კულტურა საკუთარი მოხმარებისთვის და ისინი მიიღებენ მოსავლის დანაკარგის კომპენსაციას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 5 ოჯახს კიდევ აქვთ სხვა მიწები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ბოსტნეული კულტურის მოსაყვანად. ცხრილში 2-6 ა მოცემულია ინფორმაცია იმ 5 შინამეურნეობის შესახებ, რომლებსაც მოჰყავთ ბოსტნეული კულტურა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ფარგლებში. მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების უმთავრეს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ხელფასი და ერთ შემთხვევაში პენსია (ერთმა AP-მა უარი განაცხადა ამ ტიპის პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე). აღნიშნული ოჯახების დამატებით შემოსავალს უმთავრესად პენსია წარმოადგენს.

63. AH-ების უმრავლესობა არ ცხოვრობს შესასყიდი მიწის ფარგლებში. ერთ-ერთი შინამეურნეობის მტკიცებით თივის გაყიდვიდან თვეში 50 ლარის შემოსავალი აქვთ. დანარჩენ ოჯახებს თივა და ბოსტნეული კულტურები, როგორცაა კარტოფილი, ნიორი და სტაფილო საკუთარი მოხმარებისთვის მოჰყავთ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს AH-ების შემოსავლები და შემოსავლის წყაროები.

64. შემოსავლის წყაროზე და შემოსავლის დამატებით წყაროებზე ინფორმაცია მოპოვებულ იქნა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 17 შინამეურნეობიდან 16 შინამეურნეობის გამოკითხვის შედეგად. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კერძო სექტორში მუშაობა (გამოკითხულთა 50%), რასაც მოყვება თვითდასაქმება / ბიზნესი (18.75%). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების ნახევარს აქვს დამატებითი შემოსავლის წყარო (50%). შინამეურნეობის საშუალო თვიურ შემოსავალი შეადგენს 876 ლარი.

65. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თითოეული შინამეურნეობა მიიღებს შემწეობას 1,057.5 ლარის ოდენობით, რაც განსაზღვრულია მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული

შინამეურნეობისთვის და შეესაბამება საქართველოში დადგენილი საარსებო მინიმუმის სამი თვის ოდენობას. დამატებით, აღნიშნული შინამეურნეობებიდან თითოეული მათგანი მიიღებს საარსებო წყაროს აღდგენის შემწეობას: სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს სანაცვლოდ AH-ები მიიღებენ კომპენსაციას ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწაზე მოყვანილი ყველა ტიპის კულტურების (თივის ჩათვლით) და ხეების 2 წლის მოსავალის (გადამოწმებული საბაზრო ღირებულებით) ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა 3 თვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მის ნაცვლად მოხდება 3 თვის საარსებო მინიმუმის გადახდა. არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: საარსებო წყაროს აღდგენა მოიცავს 3 თვის საარსებო მინიმუმის კომპენსაციის სახით გადახდას. მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი შინამეურნეობები დამატებით მიიღებენ საარსებო მინიმუმს სამი თვის ოდენობით. სამი შინამეურნეობა დაკარგავს საცხოვრებელ შენობას და შესაბამისად საჭიროებს გადაადგილებას, რის გამოც ისინი დამატებით მიიღებენ ადგილმონაცვლეობის შემწეობას სამი თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. ამგვარად, AH-ები მიიღებენ მრავალჯერად დახმარებას მათი საარსებო წყაროს აღდგენის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული AH-ებისთვის არ არის გათვალისწინებული საარსებო წყაროს აღდგენის სპეციალური პროგრამები, რადგან მათ საარსებო წყაროზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი და ისინი არ ცხოვრობენ შესყიდული მიწის ნაკვეთებზე და არ არიან დამოკიდებულნი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, რომლებიც კარგავენ საცხოვრებელ შენობებს არ ცხოვრობენ აღნიშნულ საზაფხულო სახლებში და შესაბამისად არ საჭიროებენ გადაადგილებას. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი მიიღებს ადგილმონაცვლეობის შემწეობას 1,075.5 ლარის ოდენობით, რაც შეესაბამება საქართველოში დადგენილი საარსებო მინიმუმის სამი თვის ოდენობას, დამატებით დახმარების და მათი მოძრავი ქონების ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის სახით.

ცხრილი 2-8: მონაცემები მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი შინამეურნეობის საარსებო წყაროს შესახებ

№	APs	საცხოვრებელი ადგილი	მოსავლის ტიპი	მოწყვლადობა	APs	შემოსავალი სოფლის მეურნეობაში არსებული მიწის ფართობი (მ²)	დაკარგული მიწა (მ²)	დაკარგული მიწა %	თვითღირსეული	შემოსავლის ძირითადი წყარო	დამატებითი შემოსავლის წყარო
1	T.G.	ქვეშეთი	თივა	IDP	4	5,000	877	18%	320	პენსია	თვითდასაქმება
2	Z.N.	თბილისი	თივა		7	9,000	166	2%	1,000	ხელფასი	
3	Z.G.	თბილისი	თივა	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი	2	4,500	3,022	67%	190	პენსია	
4	B.Z.		თივა		4	8,300	2,918	35%	250	თვითდასაქმებული	
5	B.G.	თბილისი	თივა		4		1,999		500	ხელფასი	
6	Z.S.	ქვეშეთი	თივა	სიღარიბის	7	2,810	372	13%	1,050	ხელფასი	პენსია

				ზღვარს ქვემოთ მყოფი								
7	T.V.	ქვეშეთი	თივა		6	50	8,000	1,255	16%	482	პენსია	სოფლის მეურნეობა
8	N.M.	თბილისი	თივა		4		7,870	5,628	72%	600	ხელფასი	
9	N.M.	კასპი	თივა		2		7,500	3,891	52%	3,180	ბიზნესი	პენსია
10	J.G.	თბილისი	თივა		7		25,000	159	1%	1,680	ხელფასი	პენსია
11	Z.T.	თბილისი	კარტო ფილი		2		800	325	41%	780	ხელფასი	პენსია
12	Z.E.		თივა		3		10,700	741	7%	216	პენსია	
13	Z.T.	ქვეშეთი	კარტო ფილი	სიღარიბ ის ზღვარს ქვემოთ მყოფი	2		15,000	1,456	10%			
14	Z.I.	წკერე	ნიორი კარტო ფილი	სიღარიბ ის ზღვარს ქვემოთ მყოფი	6		4,900	2,328	48%	1,380	ხელფასი	პენსია
15	G.Z.	თბილისი	სტაფი ლო კარტო ფილი		3		7,000	5,018	72%	680	ხელფასი	პენსია
16	Z.G.	დუშეთი	თივა		2		3,500	1,074	31%	316	პენსია	
17	A.A	კობი	ძროხე ბის გაყიდ ვა		2	60 0	8,158	60	1%	1,400	პენსია	სოფლის მეურნეობა
				21	67		128,038	31,289				

3 ინფორმაცია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

66. წინამდებარე თავში წარმოდგენილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. წინამდებარე თავი ეფუძნება რეგიონის ოფიციალურ ქართულ სტატისტიკას და საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური კვლევებისა და აღწერის შედეგებს. SES-ის და აღწერის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მათი მოწყვლადობის დადგენა, LARP-ის ბიუჯეტის მოსამზადებლად საჭირო მონაცემების გამოყენება და იმ ადამიანების გამოვლენა, რომლებსაც შესაძლოა ესაჭიროებათ დამატებითი დახმარება პროექტის ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით.

67. პროექტი მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ორ მუნიციპალიტეტში: დუშეთი და ყაზბეგი. მცხეთა-მთიანეთი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონს. ქალაქი მცხეთა რეგიონის დედაქალაქია, რომელიც ვრცელდება მის რაიონებსა და მიმდებარე მთიან რაიონებზე. რეგიონი შედგება ხუთი მუნიციპალიტეტისგან: ახალგორი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი. დუშეთის მუნიციპალიტეტში მთავარი ქალაქია დუშეთი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 25,659 ადამიანს. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3,795 ადამიანს. მისი მტავარი დასახლება არის სტეფანწმინდა, სადაც ცხოვრობს მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი.

ცხრილი 3-1: საპროექტო მუნიციპალიტეტების მოსახლეობა

მუნიციპალიტეტი	კაცი	ქალი	სულ
ყაზბეგი	1,859	1,936	3,795
დუშეთი	12,785	12,874	25,659
სულ	14,644	14,810	29,454

წყარო: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია

68. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა ორი სოფელი: სოფ. კობი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და სოფ. წკერე დუშეთის მუნიციპალიტეტში.

69. საველე ვიზიტების დროს სოფ. წკერაში გამოვლინდა ორი შინამეურნეობა მხოლოდ 3 მუდმივი ბინადართ - ერთი წყვილი და ერთი ხანდაზმული ქალი. მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს სხვა, უკეთესი პირობების მქონე ადგილებში, როგორცაა ქვეშეთი, გუდაური და თბილისი. ზამთრის პერიოდში მხოლოდ ორი ქალი რჩება სოფელში, სახლის და პირუტყვის მოსავლელად. სოფლის მკვიდრი ერთადერთი მამაკაცი მუშაობს გუდაურში, ორი ქალი დროის უმეტესობა მარტონი არიან.

70. სოფ. კობი მდებარეობს #5 გვირაბის მეორე ბოლოში. მუნიციპალიტეტის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სოფ. კობში ცხოვრობს 5 შინამეურნეობა, სულ 7 ადამიანი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა აღნიშნული სოფლის მხოლოდ 1 შინამეურნეობა.

3.1 სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები

71. სოციალურ-ეკონომიკური კვლევა პროექტის ლოტი 1-ის ფარგლებში ჩატარდა 2018 წლის აპრილში და განახლდა 2018 წლის სექტემბერში. SES-ის მიზანს წარმოადგენდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულთა 100%-ის გამოკვლევა. განსახლებაზე მომუშავე ჯგუფმა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 17-ივე ოჯახთან ჩატარა სოციალურ-ეკონომიკური კვლევა.
72. სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მიზანი იყო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის შეგროვება.
73. SES-ის კითხვარი მოიცავდა ისეთ კითხვებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების ძირითადი მახასიათებლების დადგენას, მაგალიტად როგორცაა მიწათსარგებლობის ტიპი, მიწის საკუთრების სტატუსი, შენობა-ნაგებობები, ბიზნესები, შინამეურნეობის ტიპი და ზომა, შინამეურნეობების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, თვით გადმოცემული ყოველთვიური შემოსავალი და საერთო ყოველთვიური გასავალი, შემოსავლის წყარო, საცხოვრებელი პირობები, ეთნიკურობა, მოწყვლადობა, ქალთა მდგომარეობა, პროექტისადმი დამოკიდებულება და ა.შ. თითოეული კითხვარის შესავსებად დაახლოებით 20-დან 30 წუთამდე იყო საჭირო. შეგროვებული მონაცემები დამუშავდა Microsoft Excel- ის გამოყენებით.
74. საერთო ჯამში, პროექტი გავლენას იქნობს 67 წევრისგან შემდგარ 17 ოჯახზე (32 კაცი და 35 ქალი). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის დროს გამოიკითხა მხოლოდ 17 შინამეურნეობა. ერთი AP-ი და მისი ოჯახი ცხოვრობს საზღვარგარეთ. ერთ ოჯახზე საშუალოდ 3.9 ადამიანი გამოიკითხა. 17 შინამეურნეობიდან 15 მათგანი ცხოვრობს საპროექტო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. AH-ების საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3-2.

ცხრილი 3-2: სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები

სოფელი	AH-ების რაოდენობა	გამოკითხულ AH-ების რაოდენობა	კაცი	ქალი	სულ AP-ების რაოდენობა
კობი	1	1	1	1	2
წკერე	16	16	31	34	65
სულ	17	17	32	35	67

წყარო: SES.

ცხრილი 3-3 AH-ების წევრების საცხოვრებელი ადგილები

ქალაქი/სოფელი	AH-ების რაოდენობა
თბილისი	6
რუსთავი	1
ქვეშეთი	3
ნაღვარევი	1
ბედონი	2
წკერე	2
კასპი	1
კობი	1

75. ორივე საპროექტო სოფელს აქვს ელექტროენერგია, გაზი და მარაგდება სასმელი წყლით. სოფ. წვერეში არ არის სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები და მაღაზიები. უახლოესი სკოლა 9 კმ-ით არის სოფლიდან დაშორებული და მდებარეობს სოფ. ქვეშეთში. სოფელში მუშაობს მობილური ოპერატორები და მხოლოდ რამდენიმე სატელევიზიო პროგრამაზეა წვდომა შესაძლებელი.

76. სოფ. კობში არ არის სკოლები და სამედიცინო პუნქტები. სოფელში რამდენიმე მცირე მაღაზი ფუნქციონირებს, სადაც მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა იყიდოს საყოფაცხოვრებო ნივთები. სოფ. კობიდან დაახლოებით 1 კმ-ში მდებარეობს სოფ. ალმასიანი, საიდანაც მიკროავტობუსები უფასოდ ემსახურებიან გუდაურის და სტეფანწმინდის სკოლისკენ მიმავალ ბავშვებს. აღნიშნული სოფლიდან ასევე დადიან სამარშრუტო მიკროავტობუსები. სამედიცინო დაწესებულებები არის გუდაურში და სტეფანწმინდაში. აღნიშნული სოფლები დაახლოებით 15 კმ-შია სოფ. კობიდან. თუმცა, ზამთრის პერიოდში გზა შეიძლება რამდენიმე დღით ჩაიკეტოს დიდთოვლობის გამო, შესაბამისად ასეთ დროს აღნიშნულ დაწესებულებებთან წვდომა შეზღუდულია.

77. აღნიშნულ სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას ყავს პირუტყვი. სოფლების მახლობლად ძოვენ ცხვრები და ცხენები. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს მოჰყავთ კარტოფილი, ნიორი და სტაფილო. ასეთ კლიმატურ პირობებში მხოლოდ აღნიშნული კულტურები ხარობენ. ოჯახები მოსავალს საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ. არცერთი მათგანი არ ყიდის ბოსტნეულს.

78. თივა ამ სოფლებში წარმოებული ძირითადი პროდუქტია. თივას იყენებენ პირუტყვის გამოსაკვებად. გადმოცემით, მხოლოდ ერთი შინამეურნეობა ყიდის თივას.

79. სოფლის მოსახლეობა ასევე იღებს ვაშლის, მსხლისა და ქლიავის მოსავალს. ისინი ხილს იყენებენ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის.

80. ყველა გამოკითხულ ოჯახში არის ჩეჩმა, რაც საკმაოდ გავრცელებულია ამ მხარეში. მობილური ტელეფონი გამოიყენება გამოკითხული ოჯახების 94,12% -ში. ოჯახების 76,47%-ს აქვს ტელევიზია და სატელიტური ანტენები. ელექტრო ან გაზის ღუმელები მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხოლოდ 13 ოჯახს აქვს (76,47%). მაცივარი აქვს გამოკითხული ოჯახების 47,06%-ს, ხოლო სარეცხი მანქანა - 41,18 %-ს. აღნიშნულ ოჯახებს არ აქვთ ცხელი წყლის სისტემები, შიდა ტუალეტები და ინტერნეტი. AP-ების მიერ სხვა აქტივები არ აღრიცხულა. (იხ. ცხრილი 3-4).

ცხრილი 3-4: საოჯახო ნივთები

ნივთი	AH-ების რაოდენობა	%
ჩეჩმა	17	100
ჩასარეცხი ტუალეტი	0	0
ცხელი წყლის სისტემა	0	0
ტელევიზია	13	76.47

სატელევიზიო ანტენა/ თევზი	13	76.47
კომპიუტერი	1	5.88
ინტერნეტი	0	0
მობილური ტელეფონი	16	94.12
ელექტრო ქურა	13	76.47
მაცივარი	8	47.06
სარეცხი მანქანა	7	41.18

81. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 17-ივე შინამეურნეობა დაკარგავს გარკვეული ფართობის მიწას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების მიწების საერთო ფართობი შეადგენს 133,723 (მ²) ფართობს და აღნიშნული ფართობის 30.24%-ი შესყიდულ იქნება პროექტის მიზნებისთვის. ხუთი AHs (29%) ფლობს რეგისტრირებულ მიწას, ხოლო თერთმეტი AHs (65%) ფლობს ლეგალიზებად მიწას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ერთი შინამეურნეობა კარგავს არაკანონიერ მფლობელობაში არსებულ 60 მ² მიწის ფართობს, რაც მის მფლობელობაში არსებული მიწის საერთო ფართობის 0,89%-ია (6,758 მ²). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების მიწის ნაკვეთების უმრავლესობა რეგისტრირებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (102,640.5 მ²), მხოლოდ სამი მიწის ნაკვეთი არის კლასიფიცირებული როგორც საკარმიდამო / სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (50,520 მ²). მხოლოდ ორი AH-ი იტყობინება, რომ თივის გაყიდვით მისი თვითური შემოსავალი შეადგენს 50-600 ლარს. აღნიშნული AH-დან ერთერთი დაკარგავს მთლიანი მიწის 16%-ს და მეორე 1%-ს. (იხ. ცხრილი 3-5).

ცხრილი 3-5: მიწის ნაკვეთები

AP-ების რაოდენობა	მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი (მ ²)	ზემოქ. ქვეშ მოქცეული მიწა (მ ²)	ზემოქ. ქვეშ მოქცეული მიწის %	სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი (ლარი / თვე) (თვით გადმოცემული ინფორმაცია)
4	5,000	877	17.54	
7	9,000	166	1.84	
2	4,500	3,022	67.16	
4	8,300	2,918	35.16	
4	5,685	1,999	35.16	
7	2,810	372	13.24	
6	8,000	1,255	15.69	50
4	7,870	5,628	71.51	
2	7,500	3,891	51.88	
7	25,000	159	0.64	
2	800	325	40.63	
3	10,700	741	6.93	
2	15,000	1,456	9.71	
6	4,900	2,328	47.51	
3	7,000	5,018	71.69	
2	3,500	1,074	30.69	
2	8,158	60	0.89	600
67	133,723	31,289	23,39	650

3.2 გენდერი და შინამეურნეობის შემადგენლობა

82. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 17 შინამეურნეობა, რომლებიც შედგება 32 კაცის და 35 ქალისგან. აღნიშნულ AH-ებს შორის არცერთის მარჩენალი არ არის ქალი. გამოკითხულ ადამიანთა უმრავლესობა (64,70%) ცხოვრობს მცირე-წევრიან ოჯახებში. გამოკითხული ოჯახების 35,29% შედგება მრავალი წევრისგან (ოჯახის წევრები, გარდა მშობლებისა და მათი შვილებისა, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ოჯახში, ესენი შეიძლება იყოს მათი რძლები, სძიეები, შვილიშვილები, ბებია და ბაბუა და ა.შ.). ოჯახში ერთიდან შვიდ წევრამდეა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 13 შინამეურნეობა (81.25%) შედგება 4 წევრისგან. ორი AH-ი შედგება 6 წევრისგან, ხოლო სამი AH-ი - 7 წევრისგან. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 67 პირისგან, 65 მათგანი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

ცხრილი 3-6: შინამეურნეობის ტიპები

შინამეურნეობის ტიპი	AH-ების რაოდენობა	%
მცირე	11	64.70
დიდი	6	35.29
სულ	17	

3.3 ასაკი და ოჯახური მდგომარეობა

83. 6 შინამეურნეობას უძღვება ქვრივი ქალი, ხოლო 2 შინამეურნეობას - ქვრივი კაცი. 1 შინამეურნეობას უძღვება მარტოხელა ცოლს გაცილებული კაცი. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ხუთი ოჯახიდან, სამს მარტოხელა ქალი უძღვება, ხოლო ორს - მარტოხელა კაცი. ოჯახის თავები განათლებული ხალხია. ცხრილში 3-7 ნაჩვენებია, რომ 17-დან 13 მათგანს (76.47%) მიღებული აქვს საშუალო განათლება, ერთს - უმაღლეს განათლებას, ხოლო ორს - პროფესიული განათლება. ოჯახის თავების თითქმის ნახევარი (47.06%) პენსიონერია, ხოლო 35.29% (8) თვითდასაქმებული ან კერძო სექტორში დასაქმებული.

84. წინამდებარე LARP-ის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის ასაკობრივი გადანაწილება გვიჩვენებს, რომ 18-35 ასაკობრივი ჯგუფი ყველაზე მეტად (20,90%) არის წარმოდგენილი. ორი ასაკობრივი ჯგუფის, 0-7 და 8-17 კომბინირების შემთხვევაში არასრულწლოვანთა რაოდენობა გამოკითხულთა 22.39% -ს შეადგენს. 36-45 და 46-55 ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელია 16.42%.. 66 და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფები გამოკითხული მოსახლეობის 14,93% -ს შეადგენს (იხ. ცხრილი 3-7).

85. დაოჯახებული AP-ები გამოკითხული ყველა AP-ის 43,28%-ს შეადგენს. გამოკითხული AP-ების 14,93%-ი ქვრივია, ხოლო 2,99 %-ი განქორწინებული. დაუოჯახებელი AP-ები და არასრულწლოვანები შეადგენს 38.81%-ს. ერთმა დაოჯახებულმა მამაკაცმა უარი განაცხადა მისი ცოლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე. მან დაჟინებით მოითხოვა, რომ აღრიცხულიყო მხოლოდ მისი და მისი დედის მონაცემები, რადგან ისინი ცხოვრობენ სოფელში, ხოლო მისი მეუღლე სხვაგან ცხოვრობს. ამით აიხსნება დაოჯახებული ადამიანების უცნაური რიცხვი (29).

ცხრილი 3-7 ა: შინამეურნეობების ხელმძღვანელების დახასიათება

No	ოჯახის წევრების რაოდენობა	სქესი	ასაკი	ოჯახური მდგომარეობა	განათლების დონე	საქმიანობა	მოწყვლადობა
1	4	კაცი	37	დაოჯახებული	საშუალო	უმუშევარი	ღარიბი
2	7	კაცი	58	დაოჯახებული	საშუალო	თვითდასაქმებული	
3	2	ქალი	84	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	ღარიბი
4	4	კაცი	45	დაოჯახებული	საშუალო	თვითდასაქმებული	
5	4	კაცი	49	დაოჯახებული	საშუალო	კერძო სექტორში დასაქმებული	
6	7	ქალი	87	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	ღარიბი
7	6	კაცი	66	დაოჯახებული	საშუალო	პენსიონერი	
8	4	კაცი	40	დაოჯახებული	საშუალო	კერძო სექტორში დასაქმებული	
9	2	ქალი	68	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	
10	7	კაცი	55	დაოჯახებული	საშუალო	კერძო სექტორში დასაქმებული	
11	2	ქალი	69	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	
12	3	კაცი	82	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	
13	2	კაცი	61	დაოჯახებული	პროფესიული	თვითდასაქმებული	
14	6	კაცი	75	ქვრივი	საშუალო	უმუშევარი	ღარიბი
15	3	ქალი	65	ქვრივი	პროფესიული	პენსიონერი	
16	2	ქალი	93	ქვრივი	საშუალო	პენსიონერი	ღარიბი
17	2	კაცი	52	გაცილებული	უმადლესი	ფერმერი	

ცხრილი 3-7: ასაკი

ასაკი	AH-ის ყველა წევრი			
	კაცი	ქალი	საერთო რაოდენობა	ასაკობრივი ჯგუფი (%)
0 - 7	4	5	9	13.43

8-17	5	1	6	8.96
18 - 35	7	7	14	20.90
36 - 45	6	5	11	16.42
46 - 55	6	5	11	16.42
56 - 65	3	3	6	8.96
66 და მეტი	3	7	10	14.93
სულ	34	33	67	100.00

ცხრილი 3-8: ოჯახური მდგომარეობა

ოჯახური მდგომარეობა	APs	
	რაოდენობა	%
დაოჯახებული	29	43.28
დაუოჯახებელი	26	38.81
ქვრივი	10	14.93
განქორწინებული	2	2.99
სულ	67	100.00

3.4 განათლება

86. შემდეგი ცხრილიდან ჩანს გამოკითხული მოსახლეობის განათლების მაღალი დონე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ნახევარზე მეტს (53,73%) მიღებული აქვს საშუალო განათლება, ხოლო 7.46%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. 16.42%-ს მიღებული პროფესიული განათლება. მოსახლეობაში არავინ არის წერა-კითხვის უცოდინარი (იხ. ცხრილი 3-9).

ცხრილი 3-9: AP-ების განათლების დონე

განათლების გარეშე	სკოლამდელი	სკოლის ასაკი	საშუალო	პროფესიული	უმაღლესი	სხვა
0	9 (13.43%)	6 (8.95%)	36 (53.73%)	11 (16.42%)	5 (7.46%)	0

3.5 დასაქმება, შემოსავლის წყარო და ხარჯები

87. დასაქმების და შემოსავლის წყაროს შესახებ მონაცემები შეგროვდა ყველა AP-ისგან. ყველა მონაცემი არის თვით-შეტყობინებული. კერძო სექტორში მუშაობა არის ყველაზე გავრცელებული დასაქმების ტიპი და შეადგენს გამოკითხულთა 23.64%-ს. დიასახლისების და პენსიონერების პროცენტული მაჩვენებელია 21.82% და 20% შესაბამისად. გამოკითხულთა შორის უმუშევრობის დონე 14.55% -ია (იხ. ცხრილი 3-10). გუდაურის სათხილამურო

კურორტზე სეზონურად არიან დასაქმებული წვერე და კობის სოფლებში მცხოვრები რამდენიმე მუდმივი მოსახლე.

ცხრილი 3-10: დასაქმების ტიპი

დასაქმების ტიპი	AP-ების რაოდენობა	%
პენსიონერი	11	20.00
კერძო სექტორში მომუშავე	13	23.64
თვითდასაქმებული	3	5.45
ფერმერი	1	1.82
დეიასახლისი	12	21.82
მოსწავლე / სტიდენტი	7	12.73
უმუშევარი	8	14.55
სულ	55	100.00

88. შემოსავლის შესახებ მონაცემები მოპოვებულია თავად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისგან, კერძოდ კი გამოკვლეული 17 შინამეურნეობიდან 16 ოჯახისგან. ერთმა AP-მა არ მოისურვა მის შემოსავლის წყაროზე ლაპარაკი, ხოლო ერთი საზღვარგარეთ ცხოვრობს. თვითური შემოსავალი ერთ ოჯახზე მერყეობს 190 - 3,180 ლარის ფარგლებში. რესპოდენტთა 47.05%-ისთვის შემოსავლის წყაროს ხელფასი წარმოადგენს, რასაც მოჰყვება პენსია (29.41%). ორ ოჯახს შემოსავალი ბიზნესიდან და თვითდასაქმებიდან აქვთ და ორ ოჯახს თვეში 50 – 600 ლარი აქვთ სოფლის მეურნეობისგან. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების უმრავლესობას აქვს დამატებითი შემოსავლის წყარო (52.94%), ხოლო 47.05%-ს არ გააჩნია დამატებითი შემოსავლის წყარო. შინამეურნეობის საშუალო თვითური შემოსავალი შეადგენს 876 ლარს.

ცხრილი 3-11: ყოველთვიური შემოსავალი (თვით-გადმოცემით)

ყოველთვიური შემოსავალი	AH-ების რაოდენობა	პროცენტულობა
300 ლარამდე	3	18.75
301-600	5	21.25
601-1000	3	18.75
>1001	5	31.25
სულ	16	100.00

89. შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულ იქნა გამოკითხული მოსახლეობისგან. შინამეურნეობის საშუალო თვითური ხარჯები დაახლოებით 691 ლარს შეადგენს. საკვების, ტანსაცმლის, სკოლების, ჯანდაცვის და ა.შ. ხარჯების დეტალური მონაცემების მიღება რესპოდენტებისგან რთულია, შესაბამისად მიღებულ იქნა მონაცემების საერთო ყოველთვიური ხარჯების შესახებ. ქვემოთ ცხრილში მოცემულია კვლევის შედეგები:

ცხრილი 3-12: ყოველთვიური ხარჯები და შემოსავლები (თვით-გადმოცემით)

AH-ების რაოდენობა	ყოველთვიური შემოსავალი (ლარი)	ყოველთვიური ხარჯი (ლარი)
-------------------	-------------------------------	--------------------------

1	500	
2	482	600
3	780	700
4	1,380	1,500
5	680	500
6	190	190
7	216	
8	316	300
9	1,680	1,500
10	320	400
11	600	600
12	N/A	
13	1,000	1,200
14	250	
15	1,050	300
16	3,180	2,500
17	1,400	100
ჯამი	14,024	8,990

90. ყველაზე ხშირად დაფიქსირდა კერძო სექტორში მუშაობით მიღებული შემოსავალი (8 AHs; 47.05%), რასაც მოყვება პენსია - 17.65%-ით და თვითდასაქმება/ბიზნესი (თითოეული 3 AHs). 7 შინამეურნეობის (41.18%) დამატებითი შემოსავლის წყაროდ სახელდება პენსია. მხოლოდ ორმა ოჯახმა დაასახელა სოფლის მეურნეობა დამატებით შემოსავლის წყაროდ (თივის გაყიდვა). (იხ. ცხრილი 3-13)

ცხრილი 3-13: შემოსავლის წყარო

AHs	APs	ძირითადი შემოსავალი (ლარი)	დამატებითი შემოსავალი (ლარი)	AH-ების თვიური შემოსავალი
1	4	კერძო სექტორი		500
2	6	პენსია	სოფლის მეურნეობა	482
3	2	კერძო სექტორი	პენსია	780
4	3	კერძო სექტორი	პენსია	1,380
5	2	კერძო სექტორი	პენსია	680
6	2	პენსია		190
7	3	პენსია		216
8	2	კერძო სექტორი	პენსია	316
9	7	კერძო სექტორი	პენსია	1,680
10	4	უმუშევარი	თვითდასაქმება	320
11	4	ხელფასი		600
12	6	თვითდასაქმება		N/A
13	7	კერძო სექტორი		1,000
14	4	თვითდასაქმება		250

15	7	კერძო სექტორი	პენსია	1,050
16	2	ბიზნესი	პენსია	3,180
17	2	ფერმერობა	სოფლის მეურნეობა	1,400

91. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 5 ოჯახს ყავს პირუტყვი, რომელთაც ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ. AH-ებს ყავთ საქონელი, ცხვარი და ქათამი. მათი მოვლა არ არის რთული ზამთრის პერიოდში, რადგან თივა საკმარისად მოიპოვება. ცხრილში 3-14 მოცემულია AH-ების მეცხოველეობის მაჩვენებლები.

ცხრილი 3-14: მეცხოველეობა

No	AHs	ცხენები	საქონელი	ცხვარი/ თხა	ქათამი	ღორი	სხვა / მიუთითეთ
1	V. Ts.		2		4		
2	I. Z.		3				
3	T. Z.		2				
4	A. A.		6	6	5		
5	E. Z.				4		
	სულ	0	13	6	13	0	0

92. სულ 7 AH-ის (43.75%) აქვს საბანკო სესხი. ინფორმაცია საბანკო კრედიტების აღების მიზეზის შესახებ არ არის ცნობილი. AP-ები, რომელთა გასავალი შემოსავალზე მეტია, ამ ფაქტს ხსნიან სწორედ საბანკო სესხით.

3.6 საპროექტო სოფლებში მცხოვრები ქალები

93. SES და DMS კვლევების პროცესში, საპროექტო სოფლებში მცხოვრები ქალების აქტივობის შესახებ შეზღუდული რაოდენობის ინფორმაცია შეიკრიბა. ყველა ქალი, მიუხედავად მათი დასაქმების სტატუსისა, უძღვება საოჯახო საქმეებს და ზრუნავს შვილებზე და ოჯახის ყველა წევრზე. ისინი, ვინც ამუშავებს მიწას და ჰყავს პირუტყვი, ეწევიან მეზღვრობას და მეცხოველეობას. გადმოცემით, ოთხი ქალი არის დასაქმებული.

ცხრილი 3-14: ქალის საქმიანობა

საქმიანობის ტიპი	AH-ის რაოდენობა	AH-ის %
მეზღვრობა	9	56.25
მეცხოველეობა	9	56.25
ხელნაკეთი ნივთების გაყიდვა	0	0
დიასახლისი	16	100
დასაქმებული	4	25
სულ	16	100

3.7 გამოკითხული შინამეურნეობების აზრი პროექტი ზემოქმედებასთან დაკავშირებით

94. პროექტის შესაძლო ზემოქმედებების შესახებ დასმულ კითხვებზე გაცემულია 16 პასუხი. საპროექტო სოფლებში პროექტის განხორციელებით მოსალოდნელ სოციო-ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზეც გაცემულია 16 პასუხი. ორი AP-ის (12.5%) დამოკიდებულება პროექტისადმი მერყეობს უარყოფითსა და ძალიან უარყოფითს შორის. აღნიშნული პირების აზრით პროექტი ზემოქმედებას იქონიებს მათ საკუთრებაზე, ასევე უარყოფითად იმოქმედებს სოფ. ქვეშეთში მცხოვრები AP-ების შემოსავალზე, რომლებიც ტურისტებზე აქირავებენ მდინარისპირას არსებულ მათ ბაღებს, ასევე გაზრდის ხმაურის გავრცელების რისკებს და დააზიანებენ ჰაერს, გაზრდის ტურისტების შემოდინებას და უცხო ქვეყნის მაცხოვრებლებს მოუწოდებთ მათ მიწაწყალზე დასახლება. ხუთ AP-ს (31%) ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს პროექტის მიმართ, ხოლო 8 AP-ი (50%) დადებითად ან ძალიან დადებითად აფასებს პროექტს. მათი აზრით პროექტი ახალგაზრდებითვის წარმოადგენს განვითარების და დასაქმების პერსპექტივას. პროექტის განხორციელების შედეგად გამარტივდება სოფლებთან მიდგომა და ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს სოფლებში მუდმივი მოსახლეობის მატებას. გაკეთდა შემდეგი კომენტარები: ‘ცუდად ვარ სუფთა ჰაერით. მე მჭირდება გზა.’ (თქვა ახალგაზრდა ქალმა სოფ. ბენიანიდან). ახალგაზრდა კაცმა სოფ. ბენიანიდან აღნიშნა: ‘მე მყავს მანქანა, მაგრამ არ მაქვს გზა.’ ‘სოფ. ზაქათვარის მაცხოვრებელი ქალი ფიქრობს, რომ გზის მშენებლობის შედეგად სოფელში იმატებს მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა. მისი თქმით, მისი ოჯახი ვერ ცხოვრობს სოფ. ზაქათვარში, რადგან სკოლა შორს არის, არც გზა არისმ არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი დადის, რითაც მოსახლეობა მივა სკოლამდე ან საავადმყოფომდე (იხ. ცხრილი 3-15).

ცხრილი 3-15: პროექტის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება

დამოკიდებულება	უარყოფითი/ ძალიან უარყოფითი (რაოდენობა)	%	ნეიტრალური (რაოდენობა)	%	დადებითი/ ძალიან დადებითი (რაოდენობა)	%
პიროვნული დამოკიდებულება პროექტის მიმართ და პროექტის გავლენა თემებზე	2	12.5	5	31.25	8	50

4 სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა

4.1 ზოგადი ინფორმაცია

95. პროექტის სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან (LAR) და ADB-ის და EBRD-ის უსაფრთხოების პოლიტიკას.

4.2 სამართლებრივი ჩარჩო

4.2.1 საქართველოს კანონმდებლობა და ნორმები მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ

96. ქვემოთ მოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ საქართველოში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას, რაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე და გზის საამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე კეთდება:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო (უკანსაკნელი ჩასწორება 2013 წლის 16 ოქტომბერი);
- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 წლის 23 ივლისი (ჩსწორებები - 2005, 2007, 2010, 2013, 2017 წ.);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი (ჩსწორებები - 2000, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 207, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017 წ.);
- საქართველოს კანონი სანოტარო საქმიანობის შესახებ, 2009 წლის 4 დეკემბერი (ცვლილებები - 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016 წ.);
- საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ, 2007 წლის 27 ივნისი (ჩასწ. 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017 წ.);
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, 1996 წლის 22 მარტი (ჩასწ.: 1997, 1998, 1999, 2000, 2003, 2004, 2007, 2010, 2012, 2014, 2016, 2017 წ.);
- საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ", 1997 წ (ჩასწ.: 2005, 2006, 2007, 2009, 2010, 2011, 2013, 2014, 2015 წ.);
- საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, 2007 წ 11 ივნისი (ჩასწ.: 2007, 2008, 2009 2010, 2011, 2012 წ.);
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010 წ (ჩასწ.: 2011, 2012, 2013, 2014, 2016, 2017 წ.);

- საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, N820-II, 2008 წ 19 დეკემბერი (ჩასწ.:2009 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015 წწ);
- საქართველოს კანონი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ, 2016 წ 17 ივნისი (ჩასწ.: 2016 წ 14 დეკემბერი);
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წ 14 ნოემბერი (ჩასწ.:1998-2015 წწ);
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010 წლის 21 ივნისი;
- შრომის კოდექსი, 2006 წლის 25 მაისი;
- საგადასახადო კოდექსი, 2005 წლის იანვარი;
- კანონი მეწარმეობის შესახებ, 1994 წლის 28 ოქტომბერი.

97. მთლიანობაში, ზემოთ მოცემული კანონები/ნორმები ითვალისწინებს, რომ ადგილმონაცვლოების ხარჯების საბაზრო ღირებულების მიხედვით ანაზღაურების პრინციპი მიზანშეწონილი და მისაღებია სამართლებრივი თვალსაზრისით. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია საკომპენსაციო ზიანის ტიპები და აღნიშნულია, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს როგორც მატერიალური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისათვის. ხსენებული კანონების თანახმად კონსულტაციებსა და შეტყობინებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ამ პროცესში ჩართულობა. მოსავლის დაკარგვითა და ბიზნესის დახურვით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვისთვის კომპენსაციის გაცემა მოხდება წმინდა დანაკარგის ასანაზღაურებლად. ზემოთ მოცემული კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა საკუთრების უფლების კანონიერი გამოყენებისთვის დავეყრდნოთ შემდეგ მექანიზმებს:

- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გასხვისების კორიდორში არსებული მიწისა და აქტივების გამოსყიდვა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან მოლაპარაკებისა და დადგენილი კომპენსაციის გადახდის გზით;
- ექსპროპრიაცია, რომელიც მიწაზე და/ან უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის” ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.

4.2.2 აზიის განვითარების ბანკის (ADB) არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა

98. ADB- ის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის სამი მნიშვნელოვანი ელემენტია: (i) დაკარგული საკუთრების, საარსებო წყაროს და “შემოსავლის ადგილმონაცვლოების” კომპენსაცია; (ii) ფიზიკურ გადაადგილებაში დახმარების გაწევა, მათ შორის ახალი განსახლების ადგილის უზრუნველყოფა სათანადო ინფრასტრუქტურით და მომსახურებით; და (iii) რეაბილიტაციაში დახმარება, იმისათვის რომ მიღწეული იქნას კეთილდღეობის სულ მცირე იგივე დონე როგორც არსებობდა პროექტის გარეშე. აზიის განვითარების ბანკის ნებისმიერი სახის ოპერაციისთვის, რომელიც საჭიროებს არანებაყოფლობით განსახლებას, განსახლების დაგეგმვა არის პროექტის განუყოფელი ნაწილი. პროექტის მიმდინარეობის ადრეული ეტაპიდან მოყოლებული შემდეგი პრინციპები უნდა იქნას გათვალისწინებული:

- (i) პროექტის განხილვა ადრეულ ეტაპზე, არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული წარსული, ახლანდელი და მომავალი ზემოქმედებისა და რისკების დადგენის მიზნით. განსახლების მასშტაბის დადგენა ადგილმონაცვლე პირების კვლევის და/ან აღწერის და გენდერული ანალიზის საშუალებით, კონკრეტულად განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და რისკების შეფასების მიზნით.
- (ii) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან, მასპინძელ მოსახლეობასთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედეგზე ორიენტირებული კონსულტაციების ჩატარება. ყველა ადგილმონაცვლე პირის ინფორმირება მათი უფლებებისა და განსახლების შესაძლო ვარიანტების შესახებ. განსახლების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მათი თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. სათანადო ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების, უმიწაწყოების, მოხუცების, ქალების და ბავშვების, ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობის და მიწაზე საკუთრების უფლების არ მქონე პირების მოთხოვნილებებზე, და მათი საჯარო განხილვებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ადგილმონაცვლე პირებისა და მასპინძელი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ინსტიტუტების მხარდაჭერა. იქ, სადაც არანებაყოფლობითი
- (iii) ყველა იძულებით გადაადგილებული პირისათვის საარსებო წყაროს გაუმჯობესება, ან მინიმუმ აღდგენა შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ა. თუ მიწა წარმოადგენს საარსებო წყაროს, განსახლების პროცესში გამოიყენება მიწაზე დაფუძნებული განსახლების სტრატეგია; ხოლო როდესაც მიწის დაკარგვა არ განაპირობებს საარსებო წყაროს დაკარგვას (არ იწვევს სასიცოცხლო პირობების გაუარესებას) მისაღებია ფულადი კომპენსაცია ჩანაცვლებითი ღირებულებით; ბ. აქტივების (ქონების) დაუყოვნებელი ჩანაცვლება თანაბარი ან უფრო მაღალი ღირებულების აქტივით; გ. აქტივი (ქონება), რომლის აღდგენა შეუძლებელია, ექვემდებარება დაუყოვნებელ კომპენსაციას სრული აღდგენითი ღირებულებით; და შესაძლებლობის ფარგლებში, დამატებითი შემოსავლებისა და მომსახურების მიწოდება სარგებლის გაზიარების მეშვეობით.
- (iv) პირებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან ფიზიკურ ან ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას, საჭირო დახმარების გაწევა, რაც მოიცავს: 1. თუ ადგილი აქვს რელოკაციას, რელოკაციის მიზნით გამოყოფილ მიწაზე საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, ახალ სამოსახლოზე უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობისა და მეწარმეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით, ადგილმონაცვლე პირების ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია მასპინძელ მოსახლეობასთან, მასპინძელ მოსახლეობაზე პროექტის ბენეფიტების გავრცელება; 2. მხარდაჭერა გარდამავალ ეტაპზე და განვითარების ხელშეწყობა, როგორცაა მიწათმოწყობა, საკრედიტო საშუალებების, ტრეინინგები, ან დასაქმების შესაძლებლობები; და 3. საჭიროების შემთხვევაში სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და თემისათვის საჭირო სერვისების უზრუნველყოფა.

- (v) ადგილმონაცვლე ღარიბი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ქალების ჩათვლით, ცხოვრების დონის, თუნდაც მინიმალურ სტანდარტებამდე გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოფლად მცხოვრები ადგილმონაცვლე პირებისათვის მიწაზე და რესურსებზე კანონიერი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ხოლო ურბანულ ტერიტორიებზე შესაბამისი შემოსავლის წყაროს შექმნა და კანონიერი, ხელმისაწვდომი, ადექვატური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.
- (vi) მოლაპარაკების გზით მიწის შესყიდვის დროს საჭიროა გამჭვირვალე, თანამიმდევრული და თანაბარ პირობებზე დაფუძნებული პროცედურების შემუშავება, რათა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა შეძლოს არსებული შემოსავლის/საარსებო პირობების შენარჩუნება ან გაუმჯობესება.
- (vii) ადგილმონაცვლე პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან იურიდიულად აღიარებადი უფლება, ეკუთვნით დახმარება განსახლების პროცესში და კომპენსაცია ყველა დაკარგული აქტივისათვის, გარდა მიწისა.
- (viii) განსახლების გეგმის მომზადება, რომელიც ასახავს ადგილმონაცვლე პირებისათვის განსაზღვრულ საკომპენსაციო პირობებს, შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენის სტრატეგიას, ინსტიტუციონალურ მოწყობას, მონიტორინგისა და ანგარიშგების მოდელს, ბიუჯეტს და დროში გაწერილ განხორციელების გრაფიკს.
- (ix) ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის მათ მშობლიურ ენაზე მომზადებული განსახლების გეგმის პროექტი (თანდართული განხორციელებული კონსულტაციების ამსახველი დოკუმენტაციით) განხილვისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა განთავსდეს. განსახლების გეგმის განახლებული საბოლოო ვარიანტი უნდა მიეწოდოს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს და პროექტით დაინტერესებულ სხვა მხარეებს.
- (x) არანებაყოფლობითი განსახლება წარმოდგენილი და განახორციელებული უნდა იყოს, როგორც განვითარების პროექტი ან პროგრამა. პროექტის ხარჯებსა და ბენეფიტებში უნდა მოხდეს განსახლებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინება. იმ პროექტებისათვის, სადაც არანებაყოფლობითი განსახლებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა მოსალოდნელი, არანებაყოფლობითი განსახლების კომპონენტი განიხილება, როგორც ცალკე ოპერაცია.
- (xi) ფიზიკური და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის დაწყებამდე უნდა დასრულდეს კომპენსაციების გადახდა და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
- (xii) მონიტორინგის საშუალებით შეფასდეს განსახლების ზემოქმედება ადგილმონაცვლე პირების ცხოვრების დონეზე; საწყისი მონაცემებისა და მონიტორინგის შედეგების შეჯერების გზით განისაზღვროს, რამდენად იქნა მიღწეული განსახლების გეგმის მიზნები. უზრუნველყოფილ იქნას მონიტორინგის ანგარიშების ხელმისაწვდომობა.

4.3 ADB SPS 2009 და EBRD PR 5- ის შედარება საქართველოს კანონებთან და ნორმებთან

99. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ასახავს ADB- ის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პირობებს, მაგრამ არსებობს მცირედი განსხვავებაც. ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფორმალური საკუთრების უფლებაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს/კომპენსირდეს საკუთრების შესყიდვა საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის. ADB-ის პოლიტიკის შემთხვევაში კი ყურადღება გამახვილებულია ორივეზე - კომპენსაციასა და საარსებო საშუალებების რეაბილიტაციაზე, როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე ისე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებზე. ამის გამო, ADB-ს პოლიტიკა ავლებს საქართველოს კანონმდებლობას დამატებითი მოთხოვნებით დაკავშირებულს: (ი) მიმდინარე ეკონომიკური რეაბილიტაცია ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირისა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობისა (მათ შორის ის, ვისაც არ აქვს იურიდიული უფლება მონაწილეობა მიიღოს პროექტში); (იი) კომპენსირება დაკარგული ბიზნესისა და შემოსავლების;(იიი) სპეციალური სარეაბილიტაციო შეღავათები მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების ხარჯებს განსახლების პროცესში ან მოიცავს დამატებით დახმარებას მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის ან მოწყვლადი ოჯახებისთვის. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ საჭიროებს რაიმე კონკრეტულ ღონისძიებას ფართო საჯარო კონსულტაციებზე დაფუძნებული LARP-ის მოსამზადებლად. განსხვავებები საქართველოს კანონსა და ADB SPS 2009 და EBRD PR 5- ის შორის ასახულია ცხრილში 4-1.

100. საქართველოს კანონების/რეგულაციების და ADB-ის პოლიტიკის (ADB's SPS 2009) შეჯერების მიზნით RDMRDI-მა პროექტისთვის მიიღო პოლიტიკა, რომლის თანახმად უზრუნველყოფილ იქნება კომპენსაციის გადახდა სრული ჩანაცვლების ღირებულებით, თვითნებურად შეჭრილი პირების რეაბილიტაცია, და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული, ან მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული AH- ებისთვის განკუთვნილი სუბსიდიების ან შემწეობების გაცემა.

4.4 EBRD-ის შესრულების მოთხოვნა PR 5

101. იძულებითი განსახლება გულისხმობს როგორც ფიზიკურ გადაადგილებას (ადგილმდებარეობის შეცვლა ან თავშესაფრის დაკარგვა), ისე ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (აქტივების ან რესურსების დაკარგვა და/ან აქტივების ან რესურსების წვდომის დაკარგვა, რაც იწვევს შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას), პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენის და/ან მიწის გამოყენების შეზღუდვის შედეგად.

102. განსახლება ითვლება იძულებითად, როდესაც შეხებაში მყოფ ფიზიკურ პირებს ან თემებს არ აქვთ მიწის შესყიდვის ან მიწათსარგებლობის შეზღუდვების შეწინააღმდეგების უფლება, რასაც შედეგად მოყვება მათი გადაადგილება. ეს ხდება შემდეგ შემთხვევებში: (i) კანონიერი ექსპროპრიაცია ან შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე იძულებითი გასხვისების საფუძველზე; და (ii) მოლაპარაკებების გზით, რომელშიც მყიდველს შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას ან დააწესოს სამართლებრივი შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე, თუ მოლაპარაკებები გამყიდველთან წარუმატებელი იქნება.

103. საქმიანობისადმი ამ მოთხოვნის (PR) გამოყენება მხარს უჭერს და შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას, კონკრეტულად კი სათანადო საცხოვრებლის და საცხოვრებელი პირობების უწყვეტი გაუმჯობესების უფლებას.

104. ამ PR-ის ამოცანებია:

- იძულებითი განსახლების თავიდან აცილება, ხოლო, როდესაც ეს გარდაუვალია, მისი მინიმუმამდე დაყვანა, პროექტის დაგეგმვის ალტერნატივების შესწავლის მეშვეობით;
- მიწის შეძენით ან შეხებაში მყოფი პირებისთვის აქტივების და მიწის გამოყენების ან წვდომის შეზღუდვებით გამოწვეული უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შერბილება შემდეგის მეშვეობით: (i) აქტივების დაკარგვისთვის კომპენსაციის უზრუნველყოფა ჩანაცვლების ღირებულებით; და (ii) განსახლების პროცესის განხორციელება ინფორმაციის სათანადო გამჟღავნებით, კონსულტაციებით და შეხებაში მყოფთა ინფორმირებული მონაწილეობით;
- აღდგენა ან, სადაც შესაძლებელია გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროების ან ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება გადაადგილებამდე არსებულ დონემდე;
- ფიზიკურად გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ადეკვატური საცხოვრებლის უზრუნველყოფის მეშვეობითა და განსახლების ადგილებში საცხოვრებელზე გარანტირებული უფლებებით;
- შესაძლებელი ალტერნატიული პროექტების მხედველობაში მიღება, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილება და ამავედროულად დააბალანსებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯებსა და სარგებელს;
- ადრეული ეტაპებიდან და განსახლებასთან დაკავშირებული საქმიანობის მთელი დროის განმავლობაში, შეხებაში მყოფ მამაკაცებისა და ქალების, მათ შორის, მასპინძელი თემების ჩართულობის უზრუნველყოფა. ეს ხელს შეუწყობს მათ ადრეულ და ინფორმირებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გადასახლებასთან დაკავშირებით;
- გადაადგილებული პირების კლასიფიცირდება შეიძლება როგორც პირებისა: (i) ვისაც აქვს ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე (მათ შორის ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები, რომლებიც აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად); (ii) ვისაც არ აქვს ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე აღწერის დროისთვის, მაგრამ აქვს პრეტენზია მიწაზე, რომელიც აღიარებული ან აღიარებადია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; ან (iii) ვისაც არა აქვს რაიმე სახით აღიარებადი იურიდიული უფლება ან პრეტენზია მიწაზე, რომელიც დაკავებული აქვთ.
- განსახლებისა და საარსებო წყაროების აღდგენის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება PR 1²-ის შესაბამისად და უნდა მოიცავდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, როგორცაა შეხებაში მყოფი თემები, მონაწილეობას.

² წინამდებარე PR ვრცელდება პოტენციური ეკოლოგიური ან სოციალური რისკების და ზემოქმედებების მქონე პროექტებზე, რომლებიც უნდა შეფასდეს პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ EBRD-ის PR 1: გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებები და მენეჯმენტი.

4.5 EBRD-ის პოლიტიკის შედარება ქართულ კანონთან და კანონმდებლობასთან

105. საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით, EBRD / IFC-ის მოთხოვნები შეიცავს დამატებით მოთხოვნებს:

- ყველა AP/AH-ის ეკონომიკურ რეაბილიტაციას (მათ შორის იმ პირების ეკონომიკურ რეაბილიტაციას, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული/ოფიციალური უფლებები პროექტის მიერ შეძენილ აქტივებზე);
- კომპენსაციის გადახდას ბიზნესის ან შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებით;
- სპეციალური შემწეობის გადახდას გადასახლების პროცესში გაწეული AP/AH ხარჯების დასაფარად ან სპეციალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად ძალიან დაზარალებული ან მოწყვლადი AP/AH-ებისთვის.
- თემებზე ზემოქმედების გათვალისწინების აუცილებლობა და მათი კომპენსირება ზუსტად ისე, როგორც კერძო მხარეები არიან კომპენსირებულნი;
- ყველა საჭირო შესყიდვისა და კომპენსაციისთვის გეგმის შემუშავების მოთხოვნა.

106. ძირითადი განსხვავებები საქართველოს კანონმდებლობასა და EBRD- ის და ADB-ის პოლიტიკას შორის მოცემულია ცხრილში 4-1.

ცხრილი 4-1: LAR-ის შესახებ ქართული კანონების, ADB-ის და EBRD-ის განსახლების პოლიტიკის შედარება

საქართველოს კანონები და რეგულაციები	ADB-ის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა	EBRD-ის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა
მიწის კომპენსაცია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეთათვის. პრაქტიკაში, იმ მიწის მესაკუთრეებს, ვისი მიწებიც ლეგალიზებას ექვემდებარება, ასევე ეძლევათ კომპენსაცია აუცილებელი საბუთების გაფორმების შემდეგ.	რეგისტრაციის არ ქონა არ უნდა იყოს კომპენსაციის და/ან რეაბილიტაციის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება. მიწის არაკანონიერი მომხმარებლებიც იღებენ რეაბილიტაციას.	კანონიერი და უკანონო მიწათმფლობელების და მიწათ მოსარგებლეთა კომპენსაციის განხილვა.
კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებული სახლების/შენობების შემთხვევაში, რომლებიც დაზიანდა/დაინგრა პროექტის შედეგად	ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/შენობებზე გაიცემა კომპენსაცია პროექტის შედეგად შენობაზე მიყენებულიზიანის/ნგრევებისთვის	კანონიერად რეგისტრირებულ ნაგებობებზე და ნაგებობების უკანონო მფლობელებზე გაიცემა კომპენსაცია ან განსახლების დახმარება.
მოსავლის დანაკარგის კომპენსაცია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მფლობელებისთვის	კომპენსაცია მოსავლის დაკარგვისთვის გაიცემა მიწის მესაკუთრეებზე და მოიჯარეებზე, განურჩევლად იმისა რეგისტრირებულია თუ არა	მოსავლის დანაკარგის კომპენსაცია მიწის მფლობელებისთვის და მოსავლის მეწილე/მოიჯარეებისთვის, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებული არიან თუ არა
მიწის შეძენის კომიტეტი წარმოადგენს წინასწარი სამართალწარმოების ფარგლებში მოქმედ	საჩივრების გადაწყვეტა თემის მონაწილეობით არაოფიციალურად ხდება საჩივრების განხილვის კომიტეტებში, ადგილობრივი	უნდა არსებობდეს გასაჩივრების დამოუკიდებელი, ობიექტური მექანიზმი, რომელიც ღია იქნება საზოგადოებისთვის.

საქართველოს კანონები და რეგულაციები	ADB-ის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა	EBRD-ის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა
ერთადერთ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია, გადაჭრას დავები და განიხილოს საჩივრები დაზიანებული აქტივებისთვის გასაცემი კომპენსაციის რაოდენობასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.	მმართველობის ორგანოებში და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და/ან ადგილობრივ დონეზე შექმნილ ორგანიზაციებში.	პროექტის გამახორციელებელმა შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე უნდა დაადგინოს საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი, რათა დროულად მიიღოს/განიხილოს ფიზიკურ/ეკონომიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებული საჩივრები.
გადაწყვეტილებები LAR-ის შესახებ განიხილება მხოლოდ მიწის მფლობელებს და მიწის შემძენ უწყებებს შორის.	ინფორმაცია რაოდენობის განსაზღვრის, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ღირებულების, საკომპენსაციო ზომებისა და საკომპენსაციო/ფინანსური დახმარების ოდენობის შესახებ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას პროექტის შეფასებამდე უნდა მიეწოდოს.	ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა ყველა პირმა უნდა გაიაროს კონსულტაცია შეთანხმების გაფორმებამდე, და კომპენსაცია უნდა მიიღოს უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირმა, ისევე როგორც მიწის მესაკუთრეებმა.
არა არის გათვალისწინებული შემოსავლის/საარსებო წყაროს რეაბილიტაციის, მწვავე ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ან მოწყვლადი პირების შემწეობების ან განსახლების ხარჯების განმსაზღვრელი პირობები.	ADB-ის პოლიტიკით მოთხოვნილია შემოსავლის/საარსებო წყაროს დიდი დანაკარგის და ადგილმონაცვლეობის პროცესში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ გაწეული ხარჯების რეაბილიტაცია	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების / ბიზნესის შემოსავლების / შემოსავლების დონის ამაღლების ან მინიმუმ შენარჩუნების მოთხოვნები.
არსებობს AP-ის უზრუნველყოფის კონსულტაციები, მაგრამ ქართული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საჯარო შეხვედრების კონკრეტული გეგმა	საჯარო შეხვედრები და საზოგადოების ჩართულობა ADB-ის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რაც კონცეფციის შემუშავების, განხორციელებისა და განხორციელების შემდგომ პერიოდში უწყვეტ პროცესს წარმოადგენს	საზოგადოებასთან კონსულტაცია და საზოგადოების მონაწილეობა წარმოადგენს EBRD-ის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული უწყვეტი პროცესია კონცეფციის შემუშავების, მომზადების, განხორციელების და განხორციელების შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

4.6 მიწის შესყიდვის პროცესი

107. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის სრულყოფილი და ზუსტი რეგისტრაცია საქართველოში მიწის შესყიდვის შესახებ არსებული მოქმედი კანონების თანახმად წარმოადგენს იმ უწყებების მიერ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის შესყიდვის წინაპირობას, რომლებსაც მიწა მასზე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ესაჭიროებათ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტი გზის საპროექტო მონაკვეთის მშენებლობის მიზნით შეიძენს კერძო მიწას კერძო საკუთრების გასხვისების უფლების ფარგლებში ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების საფუძველზე. მიწის მყიდველმა მფლობელს უნდა შესთავაზოს ადეკვატური და სამართლიანი ფასი მიწისთვის და/ან სხვა აქტივებისთვის. საქართველოს

რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან მოლაპარაკებების პროცესში რისკების ღია განხილვებს და ყოველ ღონეს იხმარს გარიგებებში წარმატების მისაღწევად. ექსპროპრიაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ AP არ ეთანხმება ზემოქმედებას, ზემოქმედების შეფასებას ან კომპენსაციის ოდენობას.

108. შესყიდვის და კომპენსაციის სქემის მიხედვით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამსახური, რომელსაც ეხმარება LAR გუნდი, რაიონულ დონეზე მოლაპარაკებებს გამართავს თითოეულ ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან კომპენსაციის ტარიფების თაობაზე. წარმატებული მოლაპარაკებების შემთხვევაში, შესყიდული მიწის ნაკვეთების ლეგალიზებულ მფლობელებთან ხელი მოეწერება მიწის შესყიდვის ხელშეკრულებებს და არაკანონიერ ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ხელი მოეწერება ქონებისა და შემოსავლის კომპენსაცია/რეაბილიტაციაზე უფლებამოსილების ხელშეკრულებას. ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ნებისმიერი საჩივარი გადაწყვეტილი იქნება პროექტის დადგენილი საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმით.

109. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები მარცხით დასრულდება საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის ჩართვის მიუხედავად, ექსპროპრიაციის პროცესისთვის ინიციაციის მიზნით საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიმართავს რაიონულ სასამართლოს.

110. საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახლებულ საკადასტრო რუკებს და აზომვით ნახაზებს, რომელიც საჭიროა მიწაზე და მასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, მიაწვდის დაინტერესებულ “დაკანონებად” მფლობელებს. პროცესი გაგრძელდება გამგეობის მიერ ამ რუკების შესაბამისი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რაიონულ სარეგისტრაციო ოფისში საბოლოოდ დარეგისტრირდება მე

4.7 ექსპროპრიაცია

111. პროექტის ფარგლებში მიწის შექმნა ექსპროპრიაციის გამოყენებით დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის საკომპენსაციო თანხის შესახებ მოლაპარაკება ვერ შედგება. თუ საკონტრაქტო წინადადება ვერ დაკმაყოფილდა, დაიწყება ექსპროპრიაციის პროცესი იმ პროცედურების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. საქართველოს კანონების მიხედვით, მოლაპარაკება ექსპროპრიაციის ალტერნატიულ ვარიანტად ითვლება, ხოლო არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით მოლაპარაკებები, რომლებიც შეიცავენ ექსპროპრიაციის რისკს მაინც არანებაყოფლობით განსახლებად კვალიფიცირდება.

112. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ექსპროპრიაციის პროცესი წარიმართება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და სასამართლოს გადაწყვეტილების

საფუძველზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განკარგულება განსაზღვრავს საზოგადოებრივ საჭიროებას და მიაწვდის ექსპროპრიატორს მიწების დაკავების უფლებას. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება დანიშნოს სახელმწიფო უწყება და/ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც მიენიჭება ექსპროპრიაციის უფლებები. სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უნდა მოიცავდეს ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული აქტივების დეტალურ აღწერას და იმას, თუ რა კომპენსაცია უნდა გაიცეს შესაბამის მიწის მესაკუთრეებზე.

113. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მიწის ნაკვეთების დაკავება, სანამ შემდეგი პროცედურები არ იქნება გავლილი:

- (i) კანონის მიერ განსაზღვრული შესაბამისი სასამართლო განხილვა;
- (ii) სასამართლო გადაწყვეტილების მიღება და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისთვის სათანადო ფორმით გადაცემა; და
- (iii) კომპენსაციის/რეაბილიტაციის თანხები განთავსებულია ესქროუ (დროებით) ანგარიშზე.

114. ექსპროპრიაციის მთელი პროცესი, შეიძლება გაგრძელდეს 3-6 თვე.

4.8 დაკანონება

115. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ იმ პირებს, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის ნაკვეთების კანონიერ მფლობელებად ითვლებიან. ასეთი დაზარალებულები მხარდაჭერას ყოველგვარი საფასურის გარეშე მიიღებენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების უფლების დაკანონების საკითხებთან დაკავშირებით, რომლის შემდეგაც მოხდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამას მოჰყვება დაზარალებული პირის მიერ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის ნაკვეთის საავტომობილო გზების დეპარტამენტზე გასხვისება გზის პროექტის მიზნებისთვის ჯეროვანი კომპენსაციის სანაცვლოდ, რომელიც გაანგარიშდება დამტკიცებულ განსახლების სამოქმედო გეგმაში მოცემული ერთეულის ღირებულების მიხედვით. ერთი მიწის ნაკვეთის დაკანონების მთელი პროცესი შეიძლება გაგრძელდეს ერთი კვირიდან ექვს თვემდე.

4.9 უფლებამოსილება კომპენსაციაზე და საკომპენსაციო პაკეტი

4.9.1 უფლებამოსილება კომპენსაციაზე

116. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები (AP), რომლებსაც კომპენსაცია ან სულ მცირე, რეაბილიტაცია ეკუთვნით პროექტში გაწერილი პირობების შესაბამისად:

- ყველა APs, რომელთაც დაკარგეს იურიდიულ მფლობელობაში/ტრადიციულ სარგებლობაში არსებული მიწა, ლეგალიზებადი ან კანონიერი სტატუსის გარეშე არსებული მიწები;

- მოიჯარე ან სანახევრო მფლობელობაში არსებული მიწები, მიუხედავად იმისა ისინი რეგისტრირებულია თუ არა;
- მიწაზე არსებული ნაგებობების, ნათესების, ნარგაობების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მფლობელები; და
- AP-ები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასებს.

117. უფლება კომპენსაციაზე შემოფარგლული იქნება თითოეული ქვეპროექტისათვის დადგენილი ათვლის თარიღით, რომელიც ემთხვევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერისა და დეტალური აზომვითი გამოკვლევების (DMS) დაწყების თარიღს (1 აპრილი, 2018 წ.). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც საპროექტო ტერიტორიაზე ამ თარიღის შემდეგ დასახლდებიან, არ მიიღებენ კომპენსაციას, მაგრამ მიიღებენ წინასწარ შეტყობინებას, რომ დაცალონ საცხოვრებელი და განახორციელონ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების დემონტაჟი პროექტის განხორციელებამდე. დაშლილი ნაგებობების მასალები არ ექვემდებარება კონფისკაციას და აღნიშნული პირები არ იხდიან რაიმე ჯარიმას და არ უწესდებათ სანქციები.

4.9.2 უფლებამოსილებათა განსაზღვრა

118. სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის გაიცემა ფულადი კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით. პროექტი არ ითვალისწინებს მიწის მიწით ჩანაცვლებას, რადგან ხელმისაწვდომი სახელმწიფო მიწა საკმარისი არ არის. 10% და მეტი პროდუქტიული მიწის დაკარგვის შემთხვევაში, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (მესაკუთრეები, მოიჯარეები, და მოსავლის მეწილეები) მიიღებენ დამატებით დახმარებას მწვავე ზემოქმედების გამო, რაც უდრის 2 წლის მოსავალს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწიდან ან 3-ჯერ საარსებო მინიმუმის თვიური განაკვეთის ოდენობას, იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლის ოდენობით კომპენსირება არარელევანტურია. ლეგალიზებადი მესაკუთრეებისათვის მოხდება საკუთრებაზე მათი უფლების დარეგისტრირება და ამის შემდეგ მათ გადაეხდებათ კომპენსაცია ისევე, როგორც სრული რეგისტრაციის მქონე მესაკუთრეებს. იმ შემთხვევაში თუ მიწის ნარჩენი ნაკვეთი გამოუსადეგარი ხდება მისასვლელი გზის არარსებობის მიზეზით ან მისი სოფლის მეურნეობის ან სხვა დანიშნულებით გამოყენების შეუძლებლობის გამო, მიწის ეს ნაკვეთი შესყიდულ უნდა იქნას, თუ მესაკუთრე ასე ისურვებს. მიწის რეგისტრაციის (განურჩევლად ტიპისა) და სხვა ტრანზაქციის ხარჯები დაიფარება პროექტის მიერ.

119. არალეგალიზებადი მიწის ნაკვეთის მფლობელები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით აქტიურად კულტივირებული მიწის ნაკვეთისთვის, ხოლო არაკულტივირებული / გამოუყენებელი მიწის ნაკვეთისთვის - 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.

120. არასასოფლო-სამეურნეო მიწა (საცხოვრებელი/კომერციული ფართი). კანონიერი მესაკუთრეების ფულადი კომპენსაცია განხორციელდება სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით მიმდინარე საბაზრო ფასის შესაბამისად, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების გამოკლების გარეშე. ლეგალიზებადი მესაკუთრეებისათვის მოხდება საკუთრებაზე მათი უფლების დარეგისტრირება და ამის შემდეგ მათ გადაეხდებათ

კომპენსაცია ისევე, როგორც სრული რეგისტრაციის მქონე მესაკუთრეებს. ზემოქმედების ქვეშ მყოფი, მიწის არალეგალიზებული მოსარგებლები, მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას გადასახლებისათვის, რაც შეადგენს საარსებო მინიმუმს ხუთწევრიან ოჯახზე ერთ წელზე გადაანგარიშებით.

121. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სახლებისა და შენობა-ნაგებობების კომპენსაცია განხორციელდება მთლიანი შენობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების დაქვითვის გარეშე, მიუხედავად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის რეგისტრაციის სტატუსისა. ნაწილობრივი ზემოქმედების და მფლობელის მიერ ადგილმონაცვლეობაზე უარის განცხადების შემთხვევაში, კომპენსაცია დაფარავს მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ნაწილს და მის სრულ რეაბილიტაციას პირვანდელ სახემდე. შენობა-ნაგებობების დაშლი შემდეგ დარჩენილი სამშენებლო მასალები ითვლება მფლობელის საკუთრებად.

122. მოსავალი: ფულადი კომპენსაცია მიმდინარე საბაზრო ფასით 1 წლის მოსავლის მთლიან ღირებულებაზე საერთო წესის მიხედვით. კომპენსაცია მოსავალზე აუნაზღაურდებათ როგორც მიწის მესაკუთრეებს, ასევე მოიჯარეებს მათი სპეციალური თანამეწილეობის შეთანხმების საფუძველზე.

123. ხეები: კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო განაკვეთის მიხედვით ხეების ტიპის, ასაკის და პროდუქტიულობის საფუძველზე.

124. ბიზნესები: ბიზნესის სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევაში, განხორციელდება მისი კომპენსაცია 1 წლის შემოსავლის ეკვივალენტური ნაღდი ფულით საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე, ან ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიხედვით დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში. ბიზნესის დროებითი დანაკარგზე გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით ბიზნესის შეჩერების პერიოდში საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე, ან ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიხედვით დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში.

125. სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე: იმ შემთხვევაში თუ ზემოქმედების ქვეშ ექცევა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოიჯარე, მათზე კომპენსაციის გაცემა ხდება დახმარების სახით, რაც შეესაბამება იჯარით აღებული მიწიდან მიღებული ფულადი შემოსავლის 1 წლის ოდენობას აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში, ოფიციალურ საარსებო მინიმუმს 1 წლის ოდენობით.

126. დაკარგული სამუშაო და ხელფასი: თუ თანამშრომლები ან დაქირავებული პერსონალი კარგავს შემოსავალს (ხელფასს) პროექტის განხორციელების გამო, მათ ასეთ შემთხვევაში გადაეხდებათ კომპენსაცია 3 თვის ხელფასის ოდენობით, ან საგადასახადო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.

127. ადგილმონაცვლეობის დახმარება: ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები, რომლებიც ექვემდებარებიან ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას, მიიღებენ გადაადგილების სუბსიდიას 200 ლარის ოდენობით, რაც მოიცავს სატრანსპორტო ხარჯებს და ასევე შემწეობას 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით (1,057.5 ლარი) საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად.

128. ერთობლივ/თემის მფლობელობაში არსებული ნაგებობები და კომუნალური საშუალებები: მოხდება მათი სრულყოფილი გადატანა ან რეაბილიტაცია პროექტამდე არსებული ფუნქციების სათანადო აღდგენით.

129. მოწყვლადი ოჯახების სარეაბილიტაციო დახმარება: მოწყვლადი ოჯახები (ლატაკი ოჯახები; შინამეურნეობები, რომლებსაც შრომისუნარიანი კაცის გარეშე დარჩენილი ქალი უძღვება; მარჩენალის გარეშე დარჩენილი ინვალიდი ან საპენსიო ასაკის პირებისგან შემდგარი ღარიბი ოჯახები) მიიღებენ ფულად დახმარებას 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. მწვავე ზემოქმედების, მოწყვლადობის და ადგილმონაცვლეობის შემწეობები არ არის ურთიერთგამომრიცხავი.

130. პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულება მოხდება კომპენსაციაზე უფლებამოსილების და საკუთრების უფლების მატრიცის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა საქართველოს კანონებისა და ნორმების და ADB-ის პოლიტიკის (SPS 2009) მოთხოვნების შესაბამისად. კომპენსაციის მიღების უფლებამოსილებათა მატრიცა მოცემულია ცხრილში 4-2.

ცხრილი 4-2 საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
მიწა			
სასოფლო-სამეურნეო მიწა: მიწის სამუდამოდ დაკარგვა, გართულებული წვდომა ან დაზიანება.	პუქმ პირები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწას მიუხედავად ზემოქმედების სიმწვავისა	რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით	პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით, არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. თუ მიწის ნაკვეთის რომელიმე დარჩენილი ნაწილი გამოსაყენებლად გამოუსადეგარი ხდება, ამ სახის დარჩენილი ნაწილი დაექვემდებარება შესყიდვას მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე.
		ლეგალიზებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (პუქმ პირები, რომელთა განაცხადი ლეგალიზაციის მიღებაზე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებით მოსარგებლე პუქმ პირები, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ მიწით და საკარმიდამო მიწის მახლობლად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ან საკარმიდამო ნაკვეთს).	აღნიშნული პუქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
		არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/	არალეგალიზებული მიწის ნაკვეთის მფლობელები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს,

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პოქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		თვითნებურად შეჭრილი პირები	კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით აქტიურად კულტივირებული მიწის ნაკვეთისთვის, ხოლო არაკულტივირებული / გამოუყენებელი მიწის ნაკვეთისთვის - 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
		სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე	დაკარგული მოსავლიდან მიღებული შემოსავლის სრული კომპენსაცია x ოჯარის დარჩენილი წლები (4 წლამდე), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ოჯარის ხელშეკრულებით. ოჯარის შემთხვევაში, მიწის მესაკუთრეს არ გადაეცემა მოსავლის კომპენსაცია, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციის გზით, მოიჯარეს დახმარებას გაუწევს ჩანაცვლებითი ოჯარის მოძიებაში.
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	პოქმ პირი, რომელიც კარგავს კომერციული დანიშნულების / საკარმიდამო მიწას	რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით	ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
		ლეგალიზებადი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (ლეგალიზებადი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)	აღნიშნული პოქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პოქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
		არალეგალიზებადი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები: (რეგისტრაციის/ მიწათსარგებლობის დამადასტურებელი კანონიერი	პოქმ არალეგალიზებადი პირები, რომლებიც კარგავენ მათ მფლობელობაში არსებულ ერთადერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც წარმოადგენს პოქმ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს, კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		დოკუმენტაციის არმქონე პირები)	განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. აღნიშნული შეეხება მხოლოდ ფიზიკურ განსახლებას დაქვემდებარებულ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი.
დროებითი ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე	N/A	N/A	მიწის ნაკვეთზე დროებითი ზემოქმედების კომპენსაცია მოხდება ზემოქმედების პერიოდში მიწის ნაკვეთის პროდუქტიული ღირებულების გათვალისწინებით და შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოხდება მის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა.
შენიშვნა-ნაგებობები			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები / აქტივები		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა შინამეურნეობა კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები)	ფულადი კომპენსაცია შენობის / ნაგებობების დაკარგვის სანაცვლოდ სრული ჩანაცვლების ღირებულებით, ტრანზაქციის და ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით.
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის/საზოგადოებრივი საკუთრების რესურსების დანაკარგი			
საზოგადოებრივი საკუთრების დანაკარგი	საზოგადოებრივი/საჯარო აქტივები	საზოგადოება/სახელმწიფო	დაკარგული რესურსის / აქტივის აღდგენა საზოგადოებასთან კონსულტაციების გზით და მათი ფუნქციების აღდგენა
შემოსავლისა და საარსებო წყაროს დანაკარგი			
ნათესები	დათესილ კულტურებზე ზემოქმედება ან დასათესი კულტურებიდან მისაღები შემოსავლის დაკარგვა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და თვითნებურად შეჭრილი პირები)	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით, რომლის ოდენობა დაგეგმილი მოსავლის საერთო საბაზრო ღირებულებას უტოლდება.
ხეები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეები	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო ღირებულების საფუძველზე ხეების ტიპის, ასაკის და ნაყოფიერების მიხედვით. (ხის მოსალოდნელი მოსავალი გამრავლებული მსგავსი პროდუქტიულობის ხის გაზრდისთვის საჭირო წლებზე).

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკის/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
ბიზნესი/დასაქმება	ბიზნესის/სამუშაოს დაკარგვა	თვითნებურად შექრილი პირები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და თვითნებურად შექრილი პირები)	<p><u>მესაკუთრე:</u> (i) (მუდმივი ზემოქმედება) 1 წლის სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია, ან შემოსავლის მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევებში, თუ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს გადახდილი აქვთ ფიქსირებული გადასახადი, ისინი მიიღებენ კომპენსაციას 12 თვიანი საარსებო მინიმუმის ოდენობით.</p> <p>(ii) (დროებითი ზემოქმედება) ბიზნესის გაჩერების თვეების სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია. შეფასება კეთდება საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის მიხედვით.</p> <p><u>მუდმივი მუშაკი/დასაქმებული პირი:</u> დაკარგული 3 თვის ხელფასის ანაზღაურება, ან საგადასახადო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, ერთჯერადი შეშწიბა 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული ოფიციალური დოკუმენტების წარმოდგენა. მაგალითად, ხელფასის ცნობა, ბუღალტრული / ფინანსური აღიწერა/ანგარიში.</p>
დახმარებები			
მწვავე ზემოქმედებები	ფიზიკური განსახლება ან პროდუქტიული აქტივების 10% - ზე მეტის დაკარგვა	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შექრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი: დამატებით 1 მოსავლის კომპენსაცია, რაც მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწიდან მიღებული ერთი წლის მოსავალს ან სხვა სახის შემოსავალს: კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
საარსებო წყაროს აღდგენა	AP-ები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% - ზე მეტს	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შექრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობისთვის გაიცემა კომპენსაცია ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწაზე მოყვანილი ყველა ტიპის კულტურების (თივის ჩათვლით) და ხეების 2 წლის მოსავალის (გადამოწმებული საბაზრო

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პზკმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
	AP-ები, რომლებიც კარგავენ არა სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% - ზე მეტს.	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	ლირებულებით) ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა 3 თვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მის ნაცვლად მოხდება 3 თვის საარსებო მინიმუმის გადახდა. არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: საარსებო წყაროს აღდგენა მოიცავს 3 თვის საარსებო მინიმუმის კომპენსაციის სახით გადახდას.
გადაადგილება/ ადგილმონაცვლეობა	სატრანსპორტო/ ადგილმონაცვლეობის ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადგილმონაცვლე შინამეურნეობა	დახმარება ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად გადასვლის პერიოდში. (200 ლარი ტრანსპორტირების ხარჯი + 3 თვის საარსებო მინიმუმი).
მოწყვლადობის შემწეობა		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, მარტოხელა დედებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით გაძღოლილი ოჯახები, ან ლტოლვილი/იძულებით გადაადგილებული ოჯახები.	3 თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტური ერთჯერადი კომპენსაცია და პრიორიტეტი პროექტთან დაკავშირებულ სფეროებში დასასაქმებლად. დამატებითი ასევე გაიცემა ადგილმონაცვლეობის / ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარი დახმარება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკურ საკითხებს, გადაადგილების დაგეგმვას, ჩანაცვლებითი საცხოვრებელი ადგილის მოძიებას და ა.შ.
გაუთვალისწინებელი ზემოქმედება მშენებლობის პროცესში, მათ შორის დროებითი ზემოქმედებები და ზემოქმედებები საარსებო წყაროებზე.	ზემოქმედების არეალის ფარგლებს გარეთ ან განთვისების ზოლს გარეთ არსებულ ქონებაზე ან ქტივებზე ზემოქმედება მშენებლობის პროცესში	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი.	ზემოქმედების იდენტიფიცირების შემდეგ კომპენსაციის შეფასება და გადახდა უნდა მოხდეს SPS 2009 და EBRD PR 5-ის მოთხოვნების საფუძველზე.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
ფუჭი ქანების სანაყაროსთან და სამშენებლო ბანაკებთან დაკავშირებული ზემოქმედებები	დროებითი ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც იყენებენ პროექტის ფარგლებში არსებულ საძოვრებს	ნებისმიერი დროებითი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ფუჭი ქანების სანაყაროების ან სამშენებლო ბანაკების მოწყობით, მიწის ნაკვეთის გამოყენების საკითხი დარეგულირდება კონტრაქტორსა და მიწის მესაკუთრეს შორის შეთანხმების საფუძველზე.
	მუდმივი ზემოქმედება		ნებისმიერი მუდმივი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია გამოუსადეგარი მასალის ან გზის არსებული ნაწილების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ნარჩენების საბოლოო განთავსებით, სათანადოდ კომპენსირდება LARP-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, თივისა და საძოვრების დაკარგვის სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება და გაიცემა სათანადო დახმარება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

4.9.3 შეფასების და კომპენსაციის ტარიფები

131. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სხვადასხვა აქტივებისთვის კომპენსაციის ტარიფის შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად არის აღწერილი შემდეგ პარაგრაფებში.

132. შეფასების და კომპენსაციის ტარიფების დადგენის დეტალური მეთოდი მოცემულია დანართში 4.

4.9.4 მიწის ნაკვეთის შეფასება

133. მიწის ნაკვეთების შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა შემოსავლების მეთოდი. მიწათმესაკუთრეების მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის ვერ იქნა გამოყენებული საბაზრო მეთოდი, რადგან ინფორმაცია გაყიდვებისა და გამოცხადებების შესახებ შესაფასებელ ტერიტორიებზე თითქმის არ მოიპოვება. შესაბამისად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოგვეყენებინა შეფასების სტანდარტით განსაზღვრული ასევე ერთ-ერთი საბაზისო მიდგომა - შემოსავლების მეთოდი.

134. შემოსავლების მეთოდი - ამ მეთოდის გამოყენებისას შემფასებლები განსაზღვრავენ უძრავი ქონების ფლობიდან მიღებულ მიმდინარე ღირებულებას მომავალი შემოსავლების

მეშვეობით. ეს მეთოდი, როგორც სხვა მეთოდები მოითხოვს ფართო საბაზრო გამოკვლევებს. სპეციფიკურ მონაცემებს, რომელსაც შეისწავლის შემფასებელი: უძრავი ქონებიდან მოსალოდნელი საერთო შემოსავალი, საერთო შემოსავლის მოსალოდნელი დანაკარგები ობიექტის დაუტვირთველობის, მოსალოდნელი ყოველწლიური საექსპლუატაციო დანახარჯები. ADB-იმ განახორციელა საპროექტო არეალში შემთხვევითი შერჩევით ამორჩეული 2 ნაკვეთის დამოუკიდებელი შეფასება, თითოეულ შემთხვევაში, ამ LARP-ისთვის ჩატარებული შეფასება აღემატებოდა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებას.

4.9.5 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენობა-ნაგებობების შეფასება

135. საცხოვრებელი სახლების / შენობების ჩანაცვლებითი ღირებულება განისაზღვრა მშენებლობის ტიპის, მასალების ღირებულების, ტრანსპორტირების, მიწის მომზადების, მუშახელის და სხვა სამშენებლო ხარჯების გათვალისწინებით. ტრანზაქციული და საამორტიზაციო ხარჯების დაკავება არ გამოიყენება.

4.9.6 ერთწლიანი კულტურების შეფასების მეთოდი

136. ერთწლიანი კულტურების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა როგორც ნეტო სარეალიზაციო ღირებულება. მოხდება ერთწლიანი კულტურის არსებული საბაზრო ღირებულების ფულადი კომპენსაცია.

137. ერთწლიანი კულტურების საკომპენსაციო თანხის გაანგარიშება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ფართობებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების კომპენსაციის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნება დაკარგული შემოსავლის განსაზღვრის მეთოდი, რაც გამოითვლება კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მონაცემებისა და მისი 1 კგ-ის საბაზრო ღირებულების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში მოქცეული სხვადასხვა ერთწლიანი კულტურების პროდუქტიულობაზე მონაცემები არის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან, ასევე აგროტექნიკური მეცნიერების მიერ მომზადებული წყაროებიდან და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან. მოსავლის კომპენსირება მოხდება როგორც მიწათმფლობელებისთვის ისე მოიჯარეებისთვის, მათ შორის გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როცა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უნდა მიეცეთ ერთი წლის კომპენსაციაზე მეტი, პირველი ანგარიშსწორების შემდეგ კომპენსაცია განხორციელდება მთლიანი საბაზრო ღირებულებით.

4.9.7 ნაყოფიერი ხეების შეფასების მეთოდი

138. ხეების შეფასება მოხდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც დამოკიდებულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეების მსხმოიარობაზე. პროდუქტიული ხეების კომპენსაცია განისაზღვრება დაკარგული სამომავლო შემოსავლის საფუძველზე იმ წლების განმავლობაში,

რაც საჭიროა ხეების ხელახალი გაზრდისთვის, რათა მიღწეული იქნას ხის იგივე ასაკი/პროდუქტიულობის პოტენციალი, როგორც მას მოჭრის მომენტში ჰქონდა. ნაყოფიერი ხეების კომპენსაცია მოხდება ნერგის ფასის გათვალისწინებით, პლიუს ნაყოფიერი ხისგან მიღებული შემოსავალი ხის გაზრდისთვის საჭირო წლების განმავლობაში. ნერგის ფასი ასევე მოიცავს სასუქების, წყლისა და სხვა ხარჯებს. უნაყოფო ხეების კომპენსაცია განისაზღვრება იმ საინვესტიციო ღირებულების მიხედვით, რაც საჭიროა ხის იმ ასაკამდე გასაზრდელად, რომელ ასაკში მოიჭრა.

5 ინსტიტუციონალური ღონისძიებები

5.1 შესავალი

139. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც ეკისრება გზის მშენებლობის ვალდებულება, ხოლო სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანოს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედის LAR- ის ყველა ამოცანის მომზადება, განხორციელება და დაფინანსება და უწყებათაშორისო კოორდინაცია. საავტომობილო გზების დეპარტამენტი მასზედ დაკისრებულ ფუნქციებს განახორციელებს დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს საშუალებით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება LAR- ის ყველა ამოცანის დაგეგმვა-განხორციელების საერთო მართვაზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული ოფისები გამოყოფს ერთ ოფიცერს, რომელიც დაეხმარება განსახლების სამმართველოს მუშაობას და ასევე გაადვილებს კომუნიკაციას განსახლების სამმართველოს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შორის და ადგილობრივ თვითმმართველობას დაეხმარება მიწების შეძენისა და განსახლების ღონისძიებების განხორციელებაში. დეპარტამენტის გარდა, რიგი სახელმწიფო უწყებები და კერძო სააგენტოები წამყვან როლს შეასრულებენ პროექტის დიზაინში, მშენებლობასა და ექსპლუატაციაში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებზე. იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხორციელდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და შესყიდვის შეთანხმების საფუძველზე ამ უფლების მიწის მესაკუთრეებიდან სსგდ- სთვის გადაცემა. ადგილობრივი მართველობა საკრებულოსა და სოფლის დონეზე ასევე ჩართულია.

140. ინფორმაცია მოცემულ პროექტში მონაწილე სამთავრობო სააგენტოების შესახებ მოცემულია ქვემოთ.

5.2 მიწის შესყიდვა და განსახლების ორგანიზება

5.2.1 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

141. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (სგდ) ეკისრება სრული პასუხისმგებლობა პროექტირებაზე, მიწის შესყიდვაზე და განსახლებაზე, მშენებლობაზე, მშენებლობის მონიტორინგსა და პროექტის ზედამხედველობაზე. ეს ასევე მოიცავს მიწების შეძენისა და განსახლების საკითხების განხორციელებას და დაფინანსებას და უწყებათაშორის კოორდინაციას. სგდ-ი შეასრულებს თავის ფუნქციებს დეპარტამენტში არსებული განსახლების სამმართველოს (სგდგს) მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწების

შეძენისა და განსახლების ყველა საკითხის დაგეგმარებისა და განხორციელების საერთო მართვაზე.

142. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, დაკომპლექტებულია მიწების შეძენისა და განსახლების სპეციალისტების საკმარისი რაოდენობით, რომელთაც ევალებათ მიწების შეძენისა და განსახლების საკოორდინაციო საკითხები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დონეზე.

143. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცენტრალური ოფისისთვის გამოყოფილი იქნება ცხრა თანამშრომელი, რომლებიც უზრუნველყოფენ განსახლების მონიტორინგსა და მართვას. პროექტის მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ცენტრალური აპარატის ორ თანამშრომელს.

144. მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისია უფლებამოსილია, მიიღოს LAR- თან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ღონისძიებები (მაგ: LARP- ის დამტკიცება, კომპენსაციის გადახდა და სხვა). მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, საკითხების განხილვის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. LARC-ი ზედამხედველობას და მონიტორინგს უწევს LARP- ის შესრულებას, რათა უზრუნველყოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირის სათანადოდ კომპენსაცია და მშენებელი კონტრაქტორის მიერ შემარბილებელი ღონისძიებების გატარება დროებითი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში. კომისია ასევე წარმოადგენს ორგანოს, რომელიც, სამართალწარმოებად, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმ საჩივრებზე, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა რეგიონულ დონეზე. LARC-ი უზრუნველყოფს, რომ პროექტი ADB-ის პოლიტიკის და დამტკიცებული LARP-ის მოთხოვნების შესაბამისად. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი გამგეობის დონეზე იმუშავებს AP-ის საჩივრების დაკმაყოფილებაზე, რათა მაქსიმალურად შემცირდეს საჩივრების რაოდენობა და ტავიდან იქნას აცილებული ექსპროპრიაციის პროცესი მიწის შესყიდვის მიზნით.

145. LARC- ის სტრუქტურა მოიცავს ეკონომიკისა და სამართლის სფეროში გამოცდილ ექსპერტებს, რომლებსაც ამავედროულად საპასუხისმგებლო პოზიციები უკავიათ RDMRDI- ში. RDMRDI-ის მართველ გუნდსა და LARC-ს შორის შესაძლოა მიღწეულ იქნას შეთანხმება სტრუქტურის გაფართოებასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნან პროფესიონალები სხვადასხვა სექტორებიდან პროექტის მიზნებისთვის მიწის შესყიდვისა და განსახლების სამუშაოების მოცულობის შესაბამისად. LARC- ის ძირითადი გუნდი წარმოდგენილია RD- ის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია RDMRDI-ის სხვა დეპარტამენტების იურიდიული და ფინანსური ექსპერტებით, ინჟინრებითა და სხვა პროფესიონალებით.

146. RD- ის კონკრეტული ამოცანები იქნება: (i) სათანადო შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფა (ii) ADB-ის პოლიტიკის რეკომენდაციების შესაბამისად გარე მონიტორინგის სააგენტოს დაქირავება; (iii) ყველა ტექნიკური სამუშაოს შესრულება LAR-ის მომზადების და განხორციელებისთვის დადგენილი ყველა ამოცანის შესრულების მიზნით; (iv) მიწის შესყიდვისა და განსახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინაცია; და (v) AP-ისთვის მიწის შესყიდვისა და განსახლების კომპენსაციის დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

5.2.2 ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (ETCIC)

147. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (ETCIC) დაარსდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული ერთეული პრეზიდენტის 2000 წლის 21 აპრილის #161 ბრძანების საფუძველზე. ETCIC-ი უზრუნველყოფს ADB-ის პროექტების ფინანსურ მართვას, რისთვისაც გამოყოფილ თანხებს მიიღებს უშუალოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან და გასცემს ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახებზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე. ესდსც -ს ეკისრება კომპენსაციისა და შეღავათების თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვა, გადამოწმება და თანხების გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სასარგებლოდ, რომლებიც მითითებული არიან კომპენსაციისა და სარეაბილიტაციო დახმარების უწყისში, რომელიც დამტკიცებული და შემუშავებულია განსახლების განყოფილების მიერ ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ ყოველი პირისთვის ინდივიდუალურად.

5.2.3 მუნიციპალური LAR ჯგუფი

148. მუნიციპალური LAR ჯგუფი დახმარებას გაუწევს LAR-ის ცენტრალურ კომისიას და ასევე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მიწების ლეგალიზების პროცესში. მიწის ნაკვეთების შესყიდვის წინადადება უნდა გაკეთდეს LARC-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, LARP-ის ფასების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი თანხმდება მიწის შესყიდვის პირობებს, მან უნდა დაადასტუროს აღნიშნული შეთანხმება წერილობით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, რომელიც რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს კომპენსაციის გაცემის საფუძველს. AP-სა და LAR-ის გუნდს შორის შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, LAR-ის გუნდი ამის შესახებ აცნობებს LARC-ს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ექსპროპრიაციის დაწყების შესახებ.

149. RD-ის განსახლების გუნდი პასუხისმგებელი იქნება პროექტის შესრულებაზე. გუნდი შედგება პროექტისთვის გამოყოფილი ორი მაღალჩინოსანი და ორი კონსულტანტისგან.

5.2.4 ადგილობრივი თვითმმართველობა

150. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს უშუალო უფლებამოსილება მიწების მართვაზე, შეფასებაზე, შემოწმებაზე და შეძენაზე. LAR კონსულტანტებისათვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაში დახმარების მიზნით, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შექმნის არაფორმალურ რაიონულ LAR ჯგუფებს რომელთა შემადგენლობაშიც შევლენ რაიონის ადმინისტრაციიდან (რაიონის საკრებულო; გამგებელი) დანიშნული ოფიციალური პირები და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყოველი სოფლის/თემის ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი (ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების/თემების რწმუნებულები და/ან საკრებულოების წარმომადგენლები).

5.3 მიწის რეგისტრაციის ორგანიზაციები

151. ქვემოთ აღწერილია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაში სხვადასხვა დონეზე მონაწილე სამთავრობო უწყებები.

5.3.1 მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში

152. თემის დონეზე მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელ უწყებას, რომელსაც რწმუნებული ხელმძღვანელობს. რწმუნებულს ეკუთვნის უმთავრესი როლი მიწის ნაკვეთების დაკანონების და რეგისტრაციის პროცესში. მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში ადასტურებს ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელობას, მიწის ნაკვეთების პარამეტრებს და ამტკიცებს კადასტრულ რუკებს და დაკანონებისთვის მომზადებულ სხვა მონაცემებს. მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაკანონიერი მფლობელების (მფლობელები, რომლებიც მთავრობის ნებართვის გარეშე ფლობდნენ მოცემულ ქონებას საქართველოში მიწის პრივატიზაციის კანონის ამოქმედებამდე) დაკანონების პროცესში. მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში გააჩნია ძალაუფლება, დაამოწმოს დაკავებული მიწის ნაკვეთის მონაცემები და შეამოწმოს მიწის ნაკვეთით სარგებლობის ფორმა, როგორც პირველი ინსტანციის უწყებამ, დოკუმენტები შემდგომ წარედგინება საკუთრების უფლების რეგისტრაციის კომისიას (PRRC), რაც საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის ძირითად ნაბიჯს წარმოადგენს. დაკანონების მოთხოვნის წარმდგენი პირების მეზობლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ავტორიზაციის პროცესში.

5.3.2 საკრებულო

153. საკრებულო თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის დონეზე. მუნიციპალური საკრებულო დღეისათვის ნაკლებად არის ჩართული დაკანონებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესში. თუმცა, მუნიციპალური საკრებულო დახმარებას უწევს PRRC-ის არა-კანონიერი მფლობელების განცხადების ავტორიზაციაში.

5.3.3 საკუთრების უფლების აღიარების კომისია

154. კერძო სამართლის იურიდიული პირების და ფიზიკური პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ რაიონულ დონეზე ამოქმედა PRRC არაკანონიერი მფლობელების (ნებართვის გარეშე დაკავებული მიწის ნაკვეთების მფლობელები) საკუთრების უფლების აღიარების მიზნით შემდგომი რეგისტრაციისთვის. PRRC ამოწმებს და ავტორიზაციას ანიჭებს მფლობელობის განცხადებას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით. PRRC ამოწმებს მხოლოდ იმ AP-ების განცხადებას, რომლებიც რეგისტრირებულნი არ არიან, მაგრამ ფლობენ სასახლკარე მიწის

ნაკვეთს ან სასახლკარე მიწის ნაკვეთის მომიჯნავე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას („მიწის არაკანონიერი მფლობელები—, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი განსაზღვრებით).

155. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR) პასუხისმგებელია მიწის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე და მიწის მესაკუთრეებსა და RD-ის შორის გაფორმებული მიწის შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაცემაზე. დღეისათვის რეგიონალური არქივები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული რეგისტრაციის ოფისებში. ტერიტორიული რეგისტრაციის ოფისების არქივში დაცული მასალები მნიშვნელოვანი წყაროა იმ მფლობელებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ საკუთრების უფლების დაკანონება, მაგრამ არ გააჩნიათ სრული დოკუმენტაცია, რათა მიიღონ მიწაზე მათი საკუთრების უფლებების დამადასტურებელი საბუთი.

156. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული რეგისტრაციის ოფისი წარმოადგენს ადგილობრივ ორგანოს, რომელიც ახორციელებს მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას განმცხადებლის სახელზე, უფლებამოსილი მესაკუთრეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტის საფუძველზე ან არაკანონიერი მესაკუთრეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე PRRC-სგან სათანადო მოწმობის მიღების შემდეგ. მესაკუთრეები წარმოადგენენ მიწის ნაკვეთების რუკების ელექტრონულ და ნაბეჭდ ვერსიებს ადგილობრივ და ცენტრალურ NAPR- ში აღიკვეთის მიზნით. ადგილობრივი NAPR ჩართულია LARP- ის განახლებისა და განხორციელებაში.

5.4 ორგანიზაციები და უწყებები

5.4.1 სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი

157. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ იქნება დანიშნული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით. კონტრაქტორი ასევე სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შერბილებაზე იქნება პასუხისმგებელი. მიწის შესყიდვის, განსახლების სამოქმედო გეგმის და ტექნიკური პროექტირების საფუძველზე, მიწის ნაკვეთი, რომელიც განსაზღვრული და შესყიდული იქნება, როგორც გზის გასხვისების ზოლის შემადგენელი ნაწილი, ზუსტად მოინიშნება მისი სხვა, არაშესყიდული ნაკვეთებისგან გამოყოფის მიზნით.

5.4.2 კონსულტანტები და აუდიტორები

158. პროექტის კონსულტანტი: საავტომობილო გზების დეპარტამენტს LARP-ის მომზადებაში დაეხმარა დეტალური პროექტის კონსულტანტი. პროექტის კონსულტანტს ჰყავს საერთაშორისო სოციალური განვითარების და განსახლების საკითხების სპეციალისტი და ადგილობრივი განსახლების/სოციალურ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი, რომელთაც ევალებათ განსახლების სამოქმედო გეგმის დასრულება მშენებლობის თითოეულ ეტაპზე. პროექტის კონსულტანტმა დაიქირავა აზომვითი სამუშაოების და დამოუკიდებელი აუდიტის

სააგენტო მიწის შესყიდვის, განსახლების საკითხების და დოკუმენტაციის მოსამზადებლად, მათ შორის მოსახლეობის აღწერა, სოციალურ-ეკონომიკური გამოკითხვა, ზარალის ინვენტარიზაცია და მიწის და აქტივების ჩანაცვლებითი ღირებულების შეფასება. RAP-ის მომზადება კვლევებიდან მიღებულ შედეგზე იქნება დაფუძნებული გზის საბოლოო მარშრუტის მიხედვით დეტალური ტექნიკური პროექტირების ბაზაზე.

159. **მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი (CSC):** მიწის შესყიდვისა და განსახლების სპეციალისტები გააკონტროლებენ ყველა განსახლების საკითხებს, რომლებიც წარმოიქმნება მშენებლობის დროს.

5.4.3 საქართველოს სასამართლო

160. საქართველოს სასამართლო წარმოადგენს LARP-ის განხორციელების ფარგლებში წამოჭრილი საკითხების და დავების გადაჭრის უკანასკნელ ინსტანციას. იმ შემთხვევაში, თუ RD-სა და PA-ებს შორის ვერ მოხერხდება შეთანხმების მიღწევა კერძო საკუთრების შესყიდვასთან დაკავშირებით, RD-ი, რომელიც მოქმდი კანონმდებლობის თანახმად ფლობს ექსპროპრიაციის მანდატს, სასამართლოს წარუდგენს მოთხოვნას ექსპროპრიაციის შესახებ. ექსპროპრიაციის უფლების მიღების და შესაბამისი პროცედურების განხორციელების შემდეგ RD-ი მიიღებს სამიზნე აქტივებს. დამტკიცების და შესაბამისი პროცედურის შემდეგ მას სასამართლო მიანიჭებს ექსპროპრიაციის უფლებას და RD-ი დაეუფლება აღნიშნულ ქონებას. კონკრეტული შემთხვევების განხილვა ადგილობრივ სასამართლოებში იწყება.

161. ამასთან, იმ შემთხვევებში, როდესაც LARP-ის განხორციელებასთან და კომპენსაციასთან დაკავშირებული საჩივრების და დავების მოგვარება სხვადასხვა დონეზე ვერ მოხერხდება „საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის“ მიხედვით, AP-ს მიენიჭება უფლება, საკითხი გაასაჩივროს სასამართლოში, როგორც უკანასკნელ ინსტანციაში. მისი გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და დაექვემდებარება აღსრულებას.

5.4.4 ფინანსთა სამინისტრო

162. ბიუჯეტი LARP-ის განხორციელებისთვის მიეწოდება RDI-ს ფინანსთა სამინისტროდან, ამ უკანასკნელის მხრიდან ოფიციალური თანხმობის შემდეგ. LARP-ის ბიუჯეტი განთავსდება ETCIC-ის ანგარიშებზე, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა პროექტის ფინანსურ მართვაზე.

5.4.5 იუსტიციის სამინისტრო

163. იუსტიციის სამინისტრო პასუხს აგებს იურიდიულ საკითხებზე, როგორცაა მიწის მფლობელობა, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ევალება მიწის მფლობელობის რეგისტრაცია და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის მფლობელებისგან საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაცემა.

5.4.6 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

164. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემს ექსპროპრიაციის აუცილებლობის დამადასტურებელ დადგენილებასა და RD-ის ანიჭებს ექსპროპრიაციის უფლებას. ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში.

5.4.7 დონორი ADB-ი და EBRD-ი


165. პერიოდულად პროექტის ზედამხედველობის გარდა, ADB-ი და EBRD-ი შეისწავლიან LARP-ს და გარე და შიდა მონიტორინგების შესაბამისობის ანგარიშებს, უზრუნველყოფენ ხელშეკრულებების გაფორმებას და პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

5.4.8 სამონიტორინგო უწყება

166. RD-ი დაიქირავებს გარე მონიტორინგის დამოუკიდებელ სააგენტოს, რომელიც განახორციელებს გარემო მონიტორინგს და LARP-ის შესრულების შემგომ შეფასებას. გარე მონიტორინგი მოიცავს LARP-ის განხორციელების ყველა ასპექტს, ლეგალიზაციით დაწყებული და დამთავრებული ყველა საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო დახმარებების გადახდით სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. გარე მონიტორინგი განხორციელდება დაქირავებული კომპანიის ან პირის მიერ.

167. შემდეგ ნახაზზე მოცემულია ორგანიზაციათა სქემა, რომელზეც ჩანს LAR-ის საქმიანობაში ჩართული და დაინტერესებული ყველა ორგანიზაცია:

ნახაზი 5-1 პროექტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების სტრუქტურული სქემა



6 საჯარო კონსულტაციები, ჩართულობა და დოკუმენტაციის გასაჯაროება

168. LARP-ის მომზადების და განხორციელების პროცესში, AP-ებისთვის ჩატარდა კონსულტაციები და ისინი ინფორმირებულნი იყვნენ უწყვეტ რეჟიმში, რომელიც მოიცავდა AP-ებთან კოლექტიურ შეხვედრებს, ცალკეულ AP-ებთან გამართულ განხილვებს და ნაბეჭდი მასალების გავრცელებას.

6.1 საჯარო კონსულტაციების მიზანი

169. AP-ისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება LARP-ის მომზადებისა და განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილია. AP-ებთან კონსულტაციები და მათი აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს პოტენციური კონფლიქტების შემცირებას და პროექტის განხორციელების შეფერხებას მინიმუმამდე დაიყვანს. დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თვითმართველობების და AP-ების ჩართვის მიზნით, RDMDI-ი და კონსულტანტი განაგრძობს დიალოგს რაიონის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, ასევე არასამტავრობო ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. ამის მიზანია, რომ:

- მოსახლეობის ინფორმირება საპროექტო გზის დერეფნის, პროექტის მახასიათებლების, პოტენციური ზარალის, დაგეგმილი ღონისძიებების, უფლებამოსილების, საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის, მიწის რეგისტრაციის, ინფორმაციის გასაჯაროების და პროექტის განხორციელების გრაფიკის შესახებ.
- ქვეპროექტის კომპონენტებისა და LARP-ის შესახებ AP-ების ინფორმირება;
- AP-ების საჭიროებების და პრიორიტეტების, ასევე შემოთავაზებულ პოლიტიკაზე და ღონისძიებებზე მათი რეაქციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება;
- AP-ების ინფორმირება იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც გავლენას იქონიებენ მათ შემოსავლებსა და ცხოვრების სტანდარტებზე, და ასევე მათი ინფორმირება იმის შესახებ, რომ მათ ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათზე;
- AP-ებს მიეწოდოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების / RD-ის პროექტზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც დროულად და ამომწურავად გასცემენ პასუხებს მათ კითხვებზე.
- AP-ებთან და თემებთან თანამშრომლობის და განსახლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებში მათი ჩართვის უზრუნველყოფა;
- მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული ყველა ქმედების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

6.2 საჯარო კონსულტაციები LARP-ის მომზადების და განხორციელების პროცესში

170. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან და ყველა ძალისხმევა გაკეთდა ქვეპროექტებით მოსარგებლე ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების

ჩართულობის უზრუნველსაყოფად. კომუნიკაცია შედგა ქართულ ენაზე. კონსულტანტმა განახორციელა LARP-ის მომზადებისა და განხორციელების პროცესში RDMRD-ის მიერ მოთხოვნილი შემდეგი ღონისძიებები:

- (i) ინფორმაციის გავრცელება კონსულტაციების დროს და კონსულტაციები ყველა AP-ის, არასამთავრო ორგანიზაციის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის;
- (ii) კომპენსაციის ოდენობის/ღირებულების დადგენა, მიწის შესყიდვის დამტკიცება და დეტალური აზომვითი კვლევების / აღრიცხვის საშუალებით ქონებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების იდენტიფიცირება, დემარკაცია და ინვენტარიზაცია, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციების წარმოების გზით;
- (iii) კვლევის ჩატარება, შემდეგი მიზნებისთვის:
 - AP-ის ინფორმირება შესაძლო განსახლების ვარიანტების შესახებ; და
 - ისეთი სერვისების იდენტიფიცირება, როგორცაა განათლება / ჯანდაცვა / ბაზრები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება AP-ების მიერ, და მსგავს დაწესებულებამდე მანძილების დადგენა.

171. თემების კონსულტაციები მოეწყო სხვადასხვა ლოკაციებზე საჯარო შეხვედრების მეშვეობით, 2018 წლის მაისიდან დეტალური პროექტის კვლევის დროს 2018 წლის სექტემბრამდე საბოლოო LARP-ის მომზადების პროცესში. კონსულტაციები ასევე ჩატარდება 2018 წლის ნოემბერში, ორივე ლოტის LARP-ის დასრულებამდე. კონსულტაციები მოიცავდა პროექტის პრეზენტაციებს და ღია დისკუსიებს. პრეზენტაციების შინაარსი მოიცავდა სხვადასხვა ასპექტებს, როგორცაა საპროექტო მახასიათებლები, ვიდეოს, რომელიც აჩვენებდა ახალი გზის მოდელს, განსახლების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, პროექტის განხორციელებით გამოწვეულ ზემოქმედებებს და დანაკარგებს, კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილებას, LAR-ის პროცესებს და GRM-ს. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა მოსახლეობას და შეგროვდა მათი შეფასებები.

172. მოსახლეობასთან პირველი კონსულტაციები გაიმართა 2018 წლის 14 მაისს ქვეშეთში. ფოკუს ჯგუფის განხილვები გარემოსდაცვით და განსახლების საკითხებზე ჩატარდა 2018 წლის ივლისის და აგვისტოს თვეში. თემთან და AP-ებთან დამატებითი კონსულტაციები ჩატარდა LAR-ის პროცედურებთან და პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნული კონსულტაციები ჩატარდა წკერეს, ბენიანის და ბეგონის, ასევე ზაქათკარის სოფლებში, 2018 წლის სექტემბერში. სულ მონაწილეობა მიიღო 117 ადამიანმა (74 კაცი და 43 ქალი). კონსულტაციების მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში, ხოლო შეხვედრების ოქმები მოცემულია დანართში 2.

173. კონსულტაციების დროს, მონაწილეები ძირითადად მხარს უჭერდნენ პროექტს. დრესდლეობით, წკერე, ბენიანი, ბეგონი და ზაქათკარი სოფლების მოსახლეობის მოძრაობა გართულებულია, ხოლო ზამთარში აღნიშნული სოფლები სრულიად მიუდგომელია. აღნიშნული ფაქტორების გამო, ოჯახის წევრები ზამთრის პერიოდში, 6-7 თვის განმავლობაში ვერ ნახულობენ ერთმანეთს. ზამთრის პერიოდში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი რჩება სოფლებში. მონაწილეები ხვდებიან თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის პროექტის განხორციელება. მიუხედავად ამისა, პროექტის ოპონენტები, უმეტესად კი ქვეშეთის მაცხოვრებლები, სადაც გზა ზემოქმედებას იქონიებს მიწაზე და რამდენიმე სახლზე, ამტკიცებენ, რომ გზა ზემოქმედებას იქონიებს მათი ცხოვრების სტილზე, მათ აღარ ექნებათ

ხედი მდინარეზე, პროექტი გამოიწვევს ხმაურის გავრცელებას და ჰაერის დაბინძურებას, და ასევე შემცირდება ზაფხულობით მდინარის პირა სახლების ტურისტებზე გაქირავებით მიღებული შემოსავალი. მონაწილეთა მიერ შეფასებული პროექტის დადებითი მხარეები შეჯამებულია ქვემოთ:

- (i) სოფელთან მიდგომის შესაძლებლობა მთელი წლის განმავლობაში;
- (ii) უფრო მეტი ადამიანი დასახლება სოფელში მუდმივად;
- (iii) სამედიცინო, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მარაზიების და სავს ასაჭირო სერვიცების ხელმისაწვდომობა;
- (iv) საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა;
- (v) ტურიზმის განვითარება და შემოსავლის წყაროების გაზრდა;
- (vi) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივა;
- (vii) პროექტის არეალის ზოგადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით სოფლებში.

174. მონაწილეებმა ასევე გამოთქვეს აზრი პროექტის უარყოფით მხარეებზე. ძირითადად ეს შეეხებოდა მიწის შესყიდვას და მოსალოდნელ გადაადგილებას, დანაკარგის დროულ კომპენსაციას და ა.შ. პროექტის ძირითადი უარყოფითი მხარეები შეჯამებულია ქვემოთ:

- (i) ეკონომიკური და ფიზიკური განსახლება;
- (ii) ზემოქმედება შემოსავლის წყაროზე იმ ოჯახებისთვის, რომლებიც სოფ. ქვეშეთში ტურისტებზე აქირავებენ მდინარისპირა ეზოებს და სახლებს.
- (iii) ადგილმონაცვლების შემდეგ საკარმიდამო ან არასაკარმიდამო მიწის მიმდებარედ შემენის დაბალი შესაძლებლობა
- (iv) მიწის და შენობის სანაცვლოდ არასაკმარისი კომპენსაციის მიღების თაობაზე მოსახლეობის წუხილი;
- (v) მოსახლეობის შეშფოთება იმის თაობაზე, რომ მშენებლობით გამოწვეულმა ვებრაცამ შესაძლოა დააზიანოს სახლები;
- (vi) AP-ის მიერ გამოყენებული ზოგიერთი მიწის რეგისტრაცია შეუძლებელია;
- (vii) სატრანსპორტო საშუალებების მომატებული მოძრაობის შედეგად ხმაურის და მტვერის გავრცელება; და
- (viii) ტურისტულ ადგილებში უცხო ქვეყნის მოსახლეობის მუდმივი დასახლება.

175. კონსულტაციების დროს მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ მათ მიერ გამოხატული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნას პროექტის დაგეგმვისას. წინადადებები შემდეგია:

- (i) სოფლებიდან ძირითად გზამდე მისასვლელი გზების მშენებლობა;
- (ii) AP-ების მიწის და სხვა აქტივების დაკარგვის სამართლიანი კომპენსაცია;
- (iii) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისთვის კომპენსაციის გაცემა მშენებლობის დაწყებამდე;
- (iv) პროექტში ცვლილებების შეტანა იმ მიზნით რომ თავიდან იქნას არიდებული უარყოფითი ზემოქმედება წმ. გიორგის ჯვარზე და მემორიალზე;
- (v) მშენებლობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა;
- (vi) ფუჭი ქანების სანაყაროების პოტენციური ადგილების განსაზღვრა; და
- (vii) ზაქათაკარი / გუდაურის გზის პირას მარკეტის გახსნი შესაძლებლობაზე მსჯელობა

ცხრილი 6-1: კონსულტაციების ჩამონათვალი

თარიღი	ადგილი	კონსულტაციის ტიპი	კაცი	ქალი	სულ მონაწილე
14.05.2018	ქვეშეთი	AP-ები და ფართო საზოგადოების წევრები	15	1	16
06.07.2018	ქვეშეთი, მულერე, ზაქათკარი	FGDs	8	12	20
30.08.2018	ზაქათკარი, არახვეთი, ბეგონი	FGD (შერეული)	4	5	9
30.08.2018	ბენიანი - ბეგონი	FGD (შერეული)	13	6	19
30.08.2018	კობი, აღმასიანი	FGDs (შერეული)	5	3	8
14.09.2018	წკერე	AP-ებთან კონსულტაცია	1	3	4
14.09.2018	ბენიანი და ბეგონი	AP-ებთან კონსულტაცია	4	6	10
15.09.2018	ქვეშეთი	AP-ებთან კონსულტაცია	20	5	25
15.09.2018	ზაქათკარი	პირისპირ შეხვედრები	4	2	6
09.01.2019	ქვეშეთი	საჯარო კონსულტაციები	24	3	27
ჯამი			98	46	144

6.3 საინფორმაციო ბუკლეტი

176. AP-ების, მათი წარმომადგენლების და ადგილობრივი სამთავრობო უწყებების ინფორმირება პროექტის და LAR-ის პროცესის შესახებ, ასევე კომპენსაციის მიღებაზე მათი უფლებების და რეაბილიტაციის პაკეტების შესახებ. საჯარო საინფორმაციო ბუკლეტები მომზადდა და AP-ებს დაურიგდება LARP-ის პროცესის დასრულებამდე ჩასატარებელი საბოლოო კონსულტაციების პერიოდში (იხ. დანართი 3).

177. საჯარო საინფორმაციო ბუკლეტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის მოკლე აღწერა და პროექტის განხორციელების გრაფიკი;
- პროექტის ზემოქმედება, და AP-ების უფლებები;
- განსახლებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები და ვადები;
- AP-ის და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათთან კონსულტაციების გამართვა;
- საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი; და

- მონიტორინგისა და შეფასების, მათ შორის დამოუკიდებელი მონიტორინგის მოთხოვნები.

6.4 გასაჯაროება

178. საბოლოო LARP-ის ასლი ინგლისურ ენაზე აიტვირთება ADB-ის და EBRD-ის ვებ-გვერდზე, ხოლო საბოლოო LARP-ის ქართული ვერსია აიტვირთება RD-ის ვებ-გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომი იქნება RD-ის ოფისებში. LARP-ის ქართული ვერსია AP-ებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ოფისებში.

179. საინფორმაციო ბუკლეტის ინგლისური ვერსია თანდართულია წინამდებარე LARP-ის დანართში 3, ხოლო საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ ენაზე თან ერთვის LARP-ის ქართულ ვერსიას. საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ ენაზე ასევე დაურიგდება ყველა AP-ის მათ მიერ მოწოდებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7 საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი

180. LARP-ი ფარგლებში შემუშავდება საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი, რომელიც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საშუალებას მისცემს გააპროტესტონ ნებისმიერი მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილება, პრაქტიკა, განაცხადი, ან მიწის და სხვა აქტივებისათვის კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული მოქმედება. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის მიზანია არანებაყოფლობით განსახლებასთან, სოციალურ და გარემოსდაცვით საქმიანობასთან და ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

181. AP-ები უფლებამოსილნი არიან გაასაჩივრონ პროექტის ნებისმიერი ასპექტი, მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩათვლით. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს საშუალებას გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ საქმიანობა, რომელიც მათი ქონების ან შემოსავლის წყაროს დროებით ან მუდმივ დაკარგვას გამოიწვევს და მოითხოვონ შესაბამისი კომპენსაცია. პროექტის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს პროექტის ყველა ასპექტთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების დროულად და ეფექტურად გადაწყვეტას.

182. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის ფუნდამენტური მიზნებია:

- ორმხრივი დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევა და ნებისმიერი საჩივრის ადგილობრივ დონეზე მოგვარება დაზარალებულ მხარესთან კონსულტაციით;
- LARP-ის შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობა, განსაკუთრებით გრძელვადიანი სამართალწარმოების პროცესის და პროექტის განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება;
- ადგილობრივ დონეზე განვითარების პროცესის ხელშეწყობა, გამჭვირვალობის შენარჩუნება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა წინაშე ანგარიშვალდებულება.

183. კონსულტაციების და კვლევების პერიოდში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია, წერილობითი სახით ან სიტყვიერად, მათი უფლებების შესახებ და აგრეთვე თუ როგორ უნდა ისარგებლონ საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმით. ისინი კვავ იქნებიან ინფორმირებულები კომპენსაციების გაცემის პერიოდშიც. ყურადღება ყოველთვის უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საჩივრები. ამის მიღწევა შესაძლებელია სათანადო მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) პროექტის შემუშავებაზე და მის განხორციელებაზე, რაც მიიღწევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სრული ჩართულობით და მათთან კონსულტაციით, ასევე შესაბამისი კომუნიკაციით და თანამშრომლობით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს, აღმასრულებელ ორგანოებსა და ზოგადად ადგილობრივ მთავრობებს შორის. საჩივრებისა და პრეტენზიების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ცხრილში 7-4 აღწერილი პროცესის მიხედვით.

184. საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი მოიცავს მუნიციპალურ დონეზე ჩამოყალიბებულ პროექტთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სისტემებს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არსებულ მუდმივ სისტემას. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი (GRCE) შექმნილია მუნიციპალურ დონეზე როგორც სპეციფიკური ინსტრუმენტი და იგი მოქმედია პროექტის განხორციელების სრული პერიოდის მანძილზე. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების

კომისია (GRCN) არის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არსებული არაფორმალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვას, გადაწყვეტას და აღრიცხვას.

185. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია (GRCN) შეიქმნა RD-ის ხელმძღვანელის ბრძანებით, როგორც მუდმივმოქმედი არაფორმალური სტრუქტურა, მასში ჩართულია RD-ის პერსონალი ყველა დეპარტამენტიდან და მუშაობენ LAR-ის საკითხებზე და საჩივრების გადაწყვეტაზე. კომისიის შემადგენლობასი არიან ხელმძღვანელი პირები, უსაფრთხოების ან LAR-ის ორგანოები, იურიდიული, PR და სხვა დეპარტამენტები (დამოკიდებულია განმახორციელებელი სააგენტოს (IA) სპეციფიკურ სტრუქტურაზე). GRCN საქმეში ერთვება საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მე-2 ეტაპზე. როგორც ბრძანებაშია ნათქვამი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არა-სამთავრობო ორგანიზაციებს, აუდიტორებს, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და სხვა ნებისმიერ პირს შეუძლია ჩაერთოს კომისიის მუშაობაში.

186. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი (GRCE) არის საჩივრებზე რეაგირების არაფორმალური მექანიზმი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს გასაჩივრების პროცესს I ეტაპზე. ეს არაფორმალური ორგანო ჩამოყალიბდება სათემო დონეზე თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის ხელმძღვანელობა). GRCE შემადგენლობაში შედიან მუნიციპალური LAR გუნდის წარმომადგენლები და ადგილობრივი თემები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი მუნიციპალური LAR გუნდში კოორდინირებას გაუწევს GRCE-ის ფორმირებას. ის პასუხისმგებელი იქნება GRC-ის ქმედებებზე და შეხვედრების ორგანიზებაზე (უფლებით აღჭურვილი პირი). გარდა ამისა, GRCE-ს შემადგენლობაში შედიან სოფლის რწმუნებული ან მისი წარმომადგენელი, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენლები, ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციები.

187. საჭიროების შემთხვევაში, GRCE -ი შეიქმნება სათემო დონეზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც იქნება შემდეგი 7 წევრი

7.1 საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში

188. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი იქნება სოფ. კობში.

ცხრილი 7-1: საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში

სახელი	პოზიცია	ტელ./ელ.ფოსტა	სტატუსი
დიმიტრი ლომიძე	RD- ში განსახლების განყოფილების წარმომადგენელი	579000382	კონვეიერი; საკონტაქტო პირი
არჩილ ჯორბენაძე	RDMRDI- ის LAR- ის კომისიის (GRCN) წარმომადგენელი	591403038	წევრი
გივი ჩქარეული	სოფელ კობის მერის წარმომადგენელი	598240334	წევრი მდივანი
კახა ჩოფიკაშვილი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ კობის წარმომადგენელი	595555918	წევრი

არტურ აბაევი	AP-ების წარმომადგენელი		წევრი
ფატიმა კობლოვა	კობის მოსახლეობის წარმომადგენელი		წევრი

7.2 საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი დუშეთის მუნიციპალიტეტში

189. დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი იქნება სოფ. ქვეშეთში.

ცხრილი 7-2: საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი დუშეთის მუნიციპალიტეტში

სახელი	პოზიცია	ტელ./ელ.ფოსტა	სტატუსი
დიმიტრი ლომიძე	RD- ში განსახლების განყოფილების წარმომადგენელი	579000382	კონვეიერი; საკონტაქტო პირი
არჩილ ჯორბენაძე	RDMRDI- ის LAR- ის კომისიის (GRCN) წარმომადგენელი	591403038	წევრი
თენგიზ ბედოიძე	სოფელ ქვეშეთის მერის წარმომადგენელი	551102790	წევრი
ქეთევან კახურაშვილი	სოფელ ქვეშეთის წარმომადგენელი	591113462	წევრი
უშანგი ზაქაიძე	AP-ების წარმომადგენელი		წევრი
ვასიკო ბურდული	ქვეშეთის მოსახლეობის წარმომადგენელი (მამაკაცი)		წევრი
მარტა მეზვრიშვილი	ქვეშეთის მოსახლეობის წარმომადგენელი (ქალი)		წევრი

7.3 საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია საავტომობილო გზების დეპარტამენტში

190. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია შეიქმნა RD-ის დონეზე, როგორც GRM სტრუქტურა №224 ბრძანების საფუძველზე. ის დაკომპლექტებულია 17 მუდმივი წევრისგან, ორი მდივნის და სამი დროებითი წევრისგან, ხმის უფლების გარეშე. კომისიის წევრთა ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი 7-3: საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია (GRCN)

No	წევრის სახელი	პოზიცია
1	ირაკლი ქარსელაძე	კომისიის თავმჯდომარე
2	ალექსანდრე თევდორაძე	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3	ლევან კუპატაშვილი	წევრი
4	გიორგი წერეთელი	წევრი
5	კობა გაბუნია	წევრი
6	სალომე წურწუშია	წევრი

7	ფიქრია კვერნაძე	წევრი
8	დავით საჯაია	წევრი
9	გიორგია ერაგია	წევრი
10	ნოდარ აგნიაშვილი	წევრი
11	მიხეილ უჯმაჯურიძე	წევრი
12	აკაკი მშვიდლობაძე	წევრი
13	გია სოფაძე	წევრი
14	აკაკი მშვიდლობაძე	წევრი
15	დავით კალაძე	წევრი
16	დავით გეწაძე	წევრი
17	პავლე გამყრელიძე	წევრი
18	გიორგი ცაგარელი	კომისიის დროებითი წევრი
19	მარიამ ბეგიაშვილი	კომისიის დროებითი წევრი
20	არჩილ ჯორბენაძე	კომისიის დროებითი წევრი

7.4 საჩივრის განხილვის პროცესი

191. განმახორციელებელი სააგენტოს (IA) განსახლების უწყების წარმომადგენელი კოორდინირებას უწევს კომიტეტის საქმიანობას და ამავდროულად, არის საკონტაქტო პირი, რომელიც აგროვებს საჩივრებს და ამუშავებს საჩივრების ჟურნალს. ადგილობრივი მთავრობები მუნიციპალურ დონეზე, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი, სახედამხედველო კომპანია (ინჟინერი), ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებულნი არიან საკონტაქტო პირის შესახებ და მისი საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ხსენებული დაინტერესებული მხარეების ოფისებში.

192. საკონტაქტო პირი აგროვებს და აღრიცხავს საჩივრებს, კომიტეტის წევრებს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას აწვდის ინფორმაციას პრობლემის არსთან დაკავშირებით, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს რთავს საჩივრების განხილვის პროცესში, საჩივრების გადაწყვეტის 1 ეტაპზე კოორდინაციას უწევს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან მოლაპარაკებების პროცესს. საკონტაქტო პირი ამზადებს შეხვედრების ოქმებს და უზრუნველყოფს ხელმოწერებს. თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოხდა პირველივე ეტაპზე, საკონტაქტო პირი ჟურნალში აკეთებს ჩანაწერს საჩივრის დახურვის თაობაზე და აღნიშნულის შესახებ წერილობითი სახით აუწყებს RD-ის ხელმძღვანელობას.

193. თუ მოსარჩელე უკმაყოფილოა GRC-ის გადაწყვეტილებით, მას შეუძლია გამოიყენოს საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მე-2 ეტაპი. ასეთ შემთხვევაში საკონტაქტო პირი ეხმარება ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ოფიციალური საჩივრის შეტანაში (მოსარჩელე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლებების და ვალდებულებების შესახებ, გასაჩივრების წესების და პროცედურების, გასაჩივრების ფორმატის, საჩივრის წარდგენის ვადების შესახებ).

194. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებული იყვნენ საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის შესახებ. ეს შესაძლებელი გახდა საინფორმაციო კამპანიების განხორციელებით, ბროშურების დარიგებით, ყველა ძირითადი საკითხის განახლებით და მათთან მუდმივი

კომუნიკაციის შენარჩუნება, გასაჩივრების გამარტივების მიზნით შესაბამისი ფორმების გაცნობა.

ცხრილი 7-4: საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი


საფეხური	პროცესი
საფეხური 1	საჩივარი არაფორმალურად განიხილება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტში, რომელიც ხმარობს ყველა საჭირო ზომას საკამათო საკითხის მოსაგვარებლად.
საფეხური 2	<ul style="list-style-type: none"> • თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოლაპარაკების დონეზე არ ხერხდება, მიწის შესყიდვისა და განსახლების გუნდი დაეხმარება საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირს ოფიციალურად წარადგინოს საჩივარი შესაბამის საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტში. საჩივრის მქონე დაზარალებულმა პირებმა საჩივარი საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტში უნდა წარადგინონ სოფლის დონეზე. დაზარალებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებს მის პრეტენზიას. • საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი მდივანი შეისწავლის საჩივრებს და მოამზადებს შესაბამის დოკუმენტს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტისთვის წარსადგენად. საქმის ოფიციალური მოსმენა საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ დაინიშნება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მდივნის მიერ მითითებულ დღეს კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრთან და საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირთან შეთანხმებით. • მოსმენის დღეს საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი გამოცხადდება გამგობაში და საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტს წარმოუდგენს მამტიციებელ მასალას, რომელიც ამყარებს მის პრეტენზიას. წევრი მდივანი ჩაიწერს მოსმენაზე გამოთქმულ განცხადებებს საჩივრის შესახებ და დოკუმენტურად ჩაინიშნავს ყველა მამტიციებელ ფაქტს; • მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირს და მასზე ხელს აწერენ საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის სხვა წევრებიც. მოხდება საქმის მასალების განახლება, ხოლო გადაწყვეტილება გადაეცემა მოსარჩელე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს მიწის შესყიდვისა და განსახლების გუნდის მიერ სოფლის დონეზე. <p>საჩივრის განხილვის ეს ეტაპი უნდა დასრულდეს 4 კვირის განმავლობაში.</p>
საფეხური 3	თუ საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შემდეგი საფეხურია საჩივრის წარდგენა ეროვნულ დონეზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტისადმი GRCE-ის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში. მომჩივანებმა უნდა წარმოადგინონ მათი საჩივრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. GRCN-ი განიხილავს GRCE-ის ჩანაწერებს და გადაწყვეტილებას გადაუგზავნის AP-ებს საჩივრის მირებიდან 4 კვირის განმავლობაში.
საფეხური 4	თუ საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება საბოლოო გადაწყვეტილებით, მას შეუძლია საქმე აღძრას შესაბამისი

საფეხური	პროცესი
	იურისდიქციის სასამართლოში რაიონულ დონეზე (რაიონის სასამართლოში). ეს საჩივრები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ კომპენსაციის ოდენობას, არამედ სხვა საკითხებსაც, მაგ. კონტრაქტორის მიერ მათი თანხმობის გარეშე მათი მიწის დაკვება, მათი საკუთრების დაზიანება, მიწის გამოყენების შეზღუდვა, გარემოსდაცვითი საკითხები, როგორცაა კონტრაქტორის სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული მტვერი და ა.შ.

7.5 GRC-ის ჩანაწერები და დოკუმენტაცია

195. საავტომობილო გზების დეპარტამენტის სათაო ოფისი აწარმოებს მიღებული საჩივრების შესახებ ჩანაწერებს, ADB- ისა და EBRD- ის მიერ რეგულარულად განხორციელებული შემოწმების დროს წარსადგენად.

ნახაზი 7-1 საჩივრების ორგანიზების სქემა



7.6 რეკომენდაციები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის მიწის ნაკვეთების დაკანონების შესახებ

196. შესასყიდი მიწის ნაკვეთების უმეტესობა არ არის ან არასათანადოდ არის რეგისტრირებული. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი, რომელსაც უკავია მიწის ნაკვეთი, რომელიც არ ეკუთვნის სხვა კერძო პირს ან სახელმწიფოს და კანონიერად არის გამოყენებული აღნიშნული პირის მიერ, თუმცა არ არის რეგისტრირებული პრივატიზაციის პროცესის ფარგლებში, წარმოადგენს ლეგალიზებად პირს. ლეგალიზაციის პროცესი მიმდინარეობს და დასრულდება LARP- ის განხორციელების დროს. AP-ებისთვის კომპენსაციის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ მიწის ნაკვეთების ლეგალიზაციის შემდეგ.

197. საავტომობილო გზების დეპარტამენტი და საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი ადგილობრივი ორგანოები დახმარებას უწევენ AP-ებს მიწის ნაკვეთების ზუსტი რუკების მომზადებაში, გეომეტრიული აღწერილობებით. თუმცა, ეფექტური შესრულების მიზნით, პროექტის ხელმძღვანელობას სჭირდება AP-ებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა ამ უკანასკნელებმა მიაწოდონ მათ აუცილებელი დოკუმენტაცია. პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ღირებულება შედის მიწის ნაკვეთების ჩანაცვლებით ღირებულებაში.

8 მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის განხორციელების პროცესი

8.1 ზოგადი ნაწილი

198. განსახლების სამოქმედო გეგმის ვადაში გაწერილი განხორციელების განრიგი მომზადდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე. მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება დაიგეგმა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ პირებზე კომპენსაციების გადახდა მათ გადაადგილებამდე და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ყველაზე მნიშვნელოვანი შესყიდვის ღონისძიება, რომელიც საქართველოში პრივატიზაციის პროცესს უკავშირდება, არის შესყიდვისთვის იდენტიფიცირებული მიწის ნაკვეთების დაკანონებას დაქვემდებარებული მფლობელების ლეგალიზება. კვლევის დროს საკუთრების უფლების მქონე და საკუთრების უფლების არმქონე, მაგრამ დაკანონებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების მფლობელები გამოვლინდა.

199. წინამდებარე დოკუმენტი არის LARP-ის საბოლოო ვერსია. გზების დეპარტამენტმა ეს დოკუმენტი განიხილა და დაამტკიცა საკომპენსაციო პაკეტისა და საკომპენსაციო ტარიფების ჩათვლით და გაუგზავნა ADB-ის დასამტკიცებლად. განსახლების სამოქმედო გეგმის ამოცანები იყოფა შემდეგნაირად: (i) საბოლოო მომზადება, მათ შორის LARP-ის დამტკიცების სხვადასხვა საწყისი ამოცანა, დაკანონებას დაქვემდებარებული AP-ების დაკანონება და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება; (ii) LARP-ის განხორციელება, მათ შორის კომპენსაციის დამუშავება და კომპენსაციის და შემწეობის გადახდა და (iii) განხორციელების შეფასება. საჯარო კონსულტაცია, შიდა მონიტორინგი და საჩივრებზე რეაგირება განხორციელდება თამიმდევრულად პროექტის განმავლობაში. მიწის შესყიდვისა და განსახლების ძირითადი საკითხებია: (i) LAR -ის დამტკიცება, (ii) ხელშეკრულებების გაფორმება, (iii) წერილი სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესახებ და (iv) ფიზიკური სამშენებლო სამუშაოების დაწყებას. განხორციელების შემდგომი შეფასება ჩატარდება RAP განხორციელების დასრულების შემდეგ.

8.2 დეტალური პროექტირების ეტაპი

200. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი უწყებების შექმნა LAR-ის საქმიანობისთვის. დეტალურ პროექტზე დაყდნობით შემუშავდა LARP-ის საბოლოო ვერსია და დასამტკიცებლად წარედგინა ADB-სა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს. დეტალური და საბოლოო LARP-ი მოიცავს ზემოქმედების შეფასების საბოლოო ვერსიას, დეტალურ აზომვით კვლევებს, ცალკეული მიწის ნაკვეთების რუკების მომზადებას, ლეგალიზებადი მესაკუთრების ლეგალიზებას და საკომპენსაციო ტარიფების განახლებას. საბოლოო LARP-ი ADB-ის და EBRD-ის მხრიდან მისი დამტკიცების შემდეგ. ამჟამად, დეტალური პროექტირების ეტაპზე ხორციელდება LAR-ის წინასწარი ღონისძიებები:

- LAR-ის უწყებების ჩამოყალიბება;
- ლეგალიზებადი მიწის ნაკვეთების დაკანონება;
- LAR-ის ბიუჯეტის განახლება;

- ზემოქმედების შესახებ განახლებული მონაცემების და საკომპენსაციო თანხის დამტკიცება;
- ADB-ის და მთავრობის და მიერ LARP-ის დამტკიცება და შემდგომი გასაჯაროება.

8.3 LARP-ის დამტკიცება და საწყისი სამუშაოები

201. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების საკითხებზე მომუშავე განყოფილება ქმნის შესაბამის უწყებებს და მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისიას (LARC), სამუშაო ჯგუფს/LAR ჯგუფს, საჩივრებზე რეაგირების კომისიას და მსგავს ერთეულებს პროექტის განხორციელების მიზნებისთვის. დეტალურ პროექტირებაზე მომუშავე კონსულტანტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის დასრულების შემდეგ, განსახლების განყოფილება განიხილავს და ამტკიცებს დოკუმენტს საკომპენსაციო თანხების ჩათვლით. საავტომობილო გზების დეპარტამენტი LARP-ის საბოლოო ვერსიას დასამტკიცებლად წარუდგენს ADB-ის და EBRD-ის. პარალელურად საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს LARP-ის შესყიდვების და კომპენსაციის სქემაში (ACS) მითითებული დაკანონებას დაქვემდებარებული მფლობელების დაკანონებისთვის საჭირო ღონისძიებებს სავლელ დონეზე. მოეწეობა პირობები AP-ებთან კონტრაქტის გასაფორმებლად და განხორციელება მიწის შესყიდვის და კომპენსაციის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი. ამ ეტაპზე მოხდება პოტენციალის გაძლიერება. ამ ეტაპზე LAR-ის ტრენინგებში შესაძლებელი იქნება AP-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვა. RAP-ის ფარგლებში დაკანონებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების მფლობელების დაკანონების დასრულების შემდეგ გზების დეპარტამენტი მოამზადებს სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებს (კონტრაქტების გაფორმება). LAR-ის საწყისი ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- მიწის შესყიდვისა და განსახლების უწყებების და საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის შექმნა;
- მიწის ნაკვეთების კანონიერი მფლობელების დაკანონება;
- შეთანხმება AP-ებთან და ხელშეკრულებების გაფორმება;
- LAR-ის ბიუჯეტის და ACS-ის განახლება;
- ზემოქმედების განახლებული მონაცემების და საკომპენსაციო თანხების დადასტურება;
- ADB-ის, EBRD-ის და მთავრობის მიერ LARP-ის დამტკიცება.

8.4 LARP-ის განხორციელების ეტაპი

202. LARP-ის ფარგლებში კომპენსაციის და შემწეობების გადახდა დაიწყება მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ. ეს მოსამზადებელი სამუშაოებია:

- AP-ებთან კონტრაქტების გაფორმება
- ინფორმაციის გამჟღავნება და კონსულტაცია

- (iii) LAR-ის დაწესებულებების, AP-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის განვითარების ტრენინგები
- (iv) საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება
- (v) ETCIC მოთხოვნა კომპენსაციების და დახმარების გასაცემად;
- (vi) კომპენსაციის და შემწეობის გადარიცხვა AP-ის საბანკო ანგარიშზე და საჯარო რეესტრში მიწის რეგისტრაცია გზების დეპარტამენტის სახელზე
- (vii) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების/აქტივების გადაადგილება
- (viii) შესაბამისობის განხილვა და ანგარიშის მომზადება
- (ix) შეტყობინება სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესახებ
- (x) მონიტორინგი

203. დეტალური/საბოლოო LARP-ის დამტკიცებისთანავე უნდა განხორციელდეს კომპენსაციის დადგენის და გადახდისთვის საჭირო ყველა ღონისძიება, რაც მოიცავს პირადობის მოწმობების გაცემას, ყველა კომპენსაციისა და დახმარების გადახდას; სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაწყებას; საიტის მშენებელი კონტრაქტორისთვის გადაცემისთვის და სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთვის მზადებას. LARP-ის განხორციელების ეტაპზე შესრულდება შემდეგი ამოცანები:

- AP-ებთან კონტრაქტების გაფორმება
- საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება
- ETCIC მოთხოვნა კომპენსაციების და დახმარების გასაცემად;
- კომპენსაციის და შემწეობის გადარიცხვა AP-ის საბანკო ანგარიშზე და საჯარო რეესტრში მიწის რეგისტრაცია გზების დეპარტამენტის სახელზე
- ექსპროპრიაციის აღსრულება საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში
- შესაბამისობის განხილვა და ანგარიშის მომზადება
- შეტყობინება სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესახებ

8.5 LARP-ის მონიტორინგის ეტაპი

204. LARP-ის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება და წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის ნახევარწლიური ანგარიშის სახით.

8.6 LARP-ის შესრულების გრაფიკი

205. ეს არის LARP-ის შესრულების მიახლოებითი გრაფიკი პროექტის ლოტი 2-ისთვის. თუმცა, დასრულებულ მონაკვეთში სამშენებლო სამუშაოების დაწყების მიზნით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას ფაზური განხორციელების მექანიზმი, რაც დანარჩენი მონაკვეთებისთვის LARP-ის პარალელურად განხორციელების საშუალებას მოგვცემს. გრაფიკში ცვლილებების შეტანა და დაზუსტება მოხდება დეტალური პროექტირების ეტაპზე. შესრულების მიახლოებითი გრაფიკი მოცემულია ცხრილში 7-1.

9 განსახლების ბიუჯეტი და ფინანსები

206. LARP-ის მომზადებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის კომპენსაციისა და განსახლების ხარჯები, გათვალისწინებული იქნება პროექტის ბიუჯეტში. საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელია პროექტისათვის საჭირო თანხების მოძიებაზე.

207. მიწის კომპენსაციის ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განისაზღვრა. მიწის ნაკვეთები დაიყო ოთხ კატეგორიად მათი ადგილმდებარეობის და გამოყენების გათვალისწინებით.

208. ნაგებობათა კომპენსაციის ღირებულება განისაზღვრება ყველა იმ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია მსგავსი ნაგებობების მშენებლობისთვის, მიმდინარე საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

- LARP-ი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ, მათ შორის:
- საკომპენსაციო ერთეულის განაკვეთი ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივებისა და დახმარებისათვის მეთოდოლოგიის მითითებით.
- ცხრილი, სადაც აღრიცხული იქნება კომპენსაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მონიტორინგის და გათვალისწინებული ხარჯების ჩათვლით;
- LARP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

9.1 კომპენსაცია მიწის ნაკვეთებზე

209. საკარმიდამო მიწის ნაკვეთები შეფასდა პროდუქტიულობის / შემოსავლების მეთოდის გამოყენებით, რაც შემდეგ გამრავლდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შეფასებითვის მიღებულ მაჩვენებელზე (შეფასების და კომპენსაციის განაკვეთების განსაზღვრის დეტალური მეთოდიკა მოცემულია დანართში 4). ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის კომპენსაციის საერთო ღირებულება შეადგენს 199,516 ლარს. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მიწის ფასები შემდეგნაირია:

I ფასის კატეგორია: სასოფლო-სამეურნეო/ საკარმიდამო მიწა: 8,4ლარი/1 მ².

II ფასის კატეგორია: სასოფლო-სამეურნეო მიწა: 5,6 ლარი/1 მ².

III ფასის კატეგორია: სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მიწა: 0 ლარი/1 მ².

210. ADB-იმ განახორციელა საპროექტო არეალში შემთხვევითი შერჩევით ამორჩეული 2 ნაკვეთის დამოუკიდებელი შეფასება, თითოეულ შემთხვევაში, ამ LARP-ისთვის ჩატარებული შეფასება აღემატებოდა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებას.

ცხრილი 9-1: მიწის ნაკვეთის კომპენსაცია

	მიწის ტიპი	1 მ ² -ის ფასი (ლარი)	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	ფართობი	კომპენსაცია (ლარი)
I	სასოფლო-სამეურნეო/ საკარმიდამო	8.4	3	8,420	70,728
II	სასოფლო-სამეურნეო	5.6	19	22,809	127,730
III	სახელმწიფო	0	0	0	0
IV	არაკანონიერი*	0	1	60	1,057.50
	სულ		23	37,987	199,516

9.2 კომპენსაცია შენობა-ნაგებობებზე

211. შენობა-ნაგებობების კომპენსაცია განისაზღვრა ახალი ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით, მოქმედი საბაზრო ფასის მიხედვით.

212. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა სამი საცხოვრებელი შენობა. მათთვის განსაზღვრული საკომპენსაციო ღირებულება მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 9-2 კომპენსაცია შენობა-ნაგებობებზე

ნაგებობის ტიპი	ფართობი (მ ²)	ნაგებობის ღირებულება (ლარი)
საზაფხულო სახლი - საცხოვრებელი	137.8	92,385
საზაფხულო სახლი - საცხოვრებელი	463.30	140,760
საზაფხულო სახლი - საცხოვრებელი	188.94	39,930
სულ		273,075

9.3 კომპენსაცია მოსავლის დაკარგვაზე

213. მოსავლის დაკარგვისთვის კომპენსაცია გადაეხდება ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს სრული საბაზრო ღირებულებით. ცხრილში 9-3 მოცემულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კულტურების ფართობი და მოსავლის დაკარგვის სანაცვლოდ AP-ებზე გასაცემი კომპენსაცია.

ცხრილი 9-3: კომპენსაცია მოსავლის დაკარგვაზე

სამეურნეო კულტურები	ფართობი (მ ²)	1 მ ² -ის ფასი (ლარი)	სულ კომპენსაცია
ნიორი	40	0.8	32
სტაფილო	615	0.5	308
კარტოფილი	2,349	1.56	3,664
თივა	21,048	0.12	2,525
სულ	24,052		6,529

9.4 კომპენსაცია ხე-მცენარეებისთვის

214. მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება განისაზღვრა მათი ასაკის მიხედვით. ხეხილის ხეების ღირებულება განისაზღვრა ყოველწლიური მოსავლის საბაზრო ღირებულების იმ წლების რაოდენობაზე გადამრავლებით, რაც საჭიროა ახალი ხის გაზრდისთვის არსებული ხის ასაკამდე.

ცხრილი 9-4: კომპენსაცია ხე-მცენარეებისთვის

მცენარეები	ასაკობრივი ჯგუფი	ნერგის ღირ-ბა, ლარი	მოსავლის ერთ. ფასი, ლარი	საკომპენსაციო წლების რ-ბა	სრული მოსავლიანობა წელიწადზე, კგ	მოსავლის კომპენსაცია წ-ში (ლარი)	ზრდასრული მრავალწლიანი ნარგავის სრული კომპენსაცია თა ღირებულების გათალისწინებით (ლარი)	როდენობა	კომპენსაცია
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მსხალი	ნარგავი (<5)	4	1,2	5	7	8,4	33	0	0
	5-10	4	1,2	7	20	24,0	122	0	0
	11-20	4	1,2	7	70	84,0	416	5	2080
	21+	4	1,2	7	45	54,0	269	0	0
ვაშლი	ნარგავი (<5)	4	1	5	5	5,0	22	0	0
	5-10	4	1	6	25	25,0	109	0	0
	11-20	4	1	6	70	70,0	298	1	298
	21+	4	1	6	40	40,0	172	0	0
ქლიავი	ნარგავი (<5)	4	0,8	5	8	6,4	26	0	0
	5-10	4	0,8	5	15	12,0	46	0	0
	11-20	4	0,8	5	30	24,0	88	6	528
	21+	4	0,8	5	20	16,0	60	0	0
სულ								12	2906

9.5 განსახლების საკომპენსაციო დახმარება

215. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისთვის სამი ტიპის დახმარება არსებობს:

- I. **დახმარება მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისთვის:** ასეთი ტიპის ოჯახებისთვის დახმარება განისაზღვრება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით 5 სულიანი ოჯახისთვის (352.5* ლარი x 3 თვე). (<http://geostat.ge>). (აპრილი, 2018) სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს სანაცვლოდ AH-ები მიიღებენ კომპენსაციას ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწაზე მოყვანილი ყველა ტიპის კულტურების (თივის ჩათვლით) და ხეების 2 წლის მოსავალის (გადამოწმებული საბაზრო ღირებულებით) ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა 3 თვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მის ნაცვლად მოხდება 3 თვის საარსებო მინიმუმის გადახდა. არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: საარსებო წყაროს აღდგენა მოიცავს 3 თვის საარსებო მინიმუმის კომპენსაციის სახით გადახდას.
- II. **დახმარება მოწყვლადი ოჯახებისთვის:** ასეთი ტიპის ოჯახებისთვის დახმარება განისაზღვრება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით 5 სულიანი ოჯახისთვის (352.5 ლარი x 3 თვე მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა).
- III. **დახმარება ადგილმონაცლე ოჯახებისთვის:** ასეთი ტიპის ოჯახებისთვის დახმარება

განისაზღვრება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით 5 სულიანი ოჯახისთვის (352.5 ლარი x 3 თვე), პლიუს 200 ლარი ტრანსპორტირებისთვის.

216. ინფორმაცია დახმარების დეტალური გაანგარიშების შესახებ მოცემულია ცხრილში 9-5

ცხრილი 9-5 განსახლების საკომპენსაციო დახმარება

დახმარება	ერთეულის ფასი (ლარი)	AH-ების რაოდენობა	AP-ების რაოდენობა	სულ კომპენსაცია (ლარი)
საარსებო წყაროს აღდგენა	2 წლის მოსავლის ღირებულება ან 3 თვის საარსებო მინიმუმი	14	51	17,698
მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა	1,057.5	14	51	14,805
მოწყვლადი შინამეურნეობა	1,057.5	5	21	5,287.50
ადგილმონაცვლე შინამეურნეობა	1,257.5	3	11	3,772.50
სულ				41,563

* 352.5 ლარი არის 5 წევრიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 2018 წლის აპრილის მდგომარეობით.geostat.ge)

217. 11 ოჯახმა მიიღო 3 თვის საარსებო მინიმუმი როგორც საარსებო წყაროს აღდგენის შემწეობა, რადგან აღნიშნული თანხა აღემატებოდა დაკარგული მოსავლის 2 წლის ღირებულებას. 3 ოჯახმა მიიღო დაკარგული მოსავლის 2 წლის ღირებულება როგორც საარსებო წყაროს აღდგენის შემწეობა

9.6 განსახლების მართვის ხარჯები

218. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა დაიქირაოს ერთი დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო LARP-ის შესრულების გარე მონიტორინგის განსახორციელებლად 2 თვის ვადით. სხვადასხვა ხარჯი შემონახულ იქნა როგორც იმ ადმინისტრაციული ხარჯის დასაფარად განკუთვნილი პირობა, რომელიც LARP-ის განხორციელებისას შეიძლება წარმოიშვას. LARP-ის განხორციელების მართვის ხარჯის დეტალები მოცემულია ცხრილში 9-6.

219. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია გარე მონიტორინგის ხარჯები

ცხრილი 9-6 განსახლების მართვის ხარჯები

ხარჯების ტიპი	ერთეული	რაოდენობა	თანხა (ლარი)	სულ ხარჯი (ლარი)
გარე მონიტორინგის ხარჯები 1-ლი ნაწილი	თვეები	2	3,000	6,000
გარე მონიტორინგის ხარჯები მე-2 ნაწილი	თვეები	2	3,000	6,000

სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯები	თვეები	12	1,000	12,000
სულ				24,000

9.7 განსახლებასთან დაკავშირებული ხარჯები

220. LARP-ის ბიუჯეტში შედის: ჯეროვანი კომპენსაცია, განსახლების შემწეობა და გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც შეადგენს საერთო ხარჯის 10%-ს. LARP-ის საერთო ხარჯი შეადგენს **607,550** ლარს (250,021 აშშ დოლარი).

ცხრილი 9-7 განსახლების ბიუჯეტი

ტიპი	ერთ. ხარჯი	თანხა	სულ ხარჯი (ლარი)
მიწას	31,289 მ ²	5,6-8.4 ლარი/მ ²	199,516
ნაგებობა	3	სხვადასხვა	273,075
ხე	12	სხვადასხვა	2,906
მოსავალი	24,052 მ ²	სხვადასხვა	6529.7
ღობე/ჭიშკარი	8	სხვადასხვა	4,728
საარსებო წყაროს აღდგენა	14 AHs	2 წლის მოსავლის ღირებულება ან 3 თვის საარსებო მინიმუმი	17,698
დახმარება მწვავე ზემოქმედების შემთხვევაში	14 AHs	3 თვიანი საარსებო მინიმუმი (352.5x3)	14,805
ადგილმონაცვლეობის დახმარება	3 AHs	3 თვიანი საარსებო მინიმუმი (352.5x3) + ტრანსპორტირების ხარჯი (200 ლარი)	3,772.50
მოწყვლადობის შემწეობა	5	3 თვიანი საარსებო მინიმუმი (352.5x3)	5,287.50
გარე და შიდა მონიტორინგი		-	24,000
ჯამი			552,319
გაუთვალისწინებელი ხარჯები		10%	55,231.86
სულ			607,550

221. LARP-ის საერთო ხარჯი შეადგენს - **250,021 აშშ დოლარს**. 2018 წლის 20 აპრილის მდგომარეობით ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო: 1USD=2.43 GEL (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng>)

10 მონიტორინგი და შეფასება

222. პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) ამოცანები დაექვემდებარება შიდა მონიტორინგს. მაღალი რისკის შემცველი პროექტების ან სხვა პროექტების შემთხვევაში, გარე მონიტორინგს ახორციელებს RDRD/RD. გარე მონიტორინგისთვის გამოიყოფა SSC, რომელსაც დაიქირავენ RD და დაამტკიცებენ ADB-ი და EBRD-ი.

10.1 შიდა მონიტორინგი

223. შიდა მონიტორინგს განახორციელებს RDRD/RD პირდაპირ ან დაქირავებული კონსულტანტის მეშვეობით. შედეგები ეცნობება ADB-ის და EBRD-ის პროექტის კვარტლური ანგარიშის სახით. შიდა მონიტორინგის ინდიკატორები იქნება პროექტთან დაკავშირებული მყისიერი შედეგები. შესაბამისი ინფორმაცია შეგროვდება რეგიონულ RD დონეზე და ყოველთვიურად ეცნობება RDRD/RD-ს, რათა შეფასდეს LARP-ის შესრულების მიმდინარეობა და შედეგები და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში შევიდეს შესწორებები. თვიური ანგარიშები გაერთიანდება კვარტლურ ანგარიშებად ADB-ის და EBRD-ის სტანდარტული საზედამხედველო ანგარიშების სახით. მონიტორინგის ძირითადი კრიტერიუმებია:

- (i) დროული საინფორმაციო კამპანია, ინფორმაციის ხარისხი და კონსულტაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან;
- (ii) მიწის შესყიდვის სტატუსი და მიწის კომპენსაციის გადახდა;
- (iii) კომპენსაცია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობებისა და სხვა ქონებისთვის;
- (iv) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ადგილმონაცვლეობა;
- (v) დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება;
- (vi) სანაცვლო მიწის ნაკვეთების არჩევა და განაწილება
- (vii) შემოსავლის აღდგენა
- (viii) შემოსავლის აღდგენის სამუშაოების და კომპენსაციის შედეგები, რითაც მოხდა საარსებო წყაროების აღდგენა და იმ ხარვეზების გამოვლენა, რომელთაც ზემოქმედება იქონიეს საარსებო წყაროებზე და ვერ მოხდა მათი სათანადო აღდგენა.

224. ზემოთხსენებულ ინფორმაციას შეაგროვებს RDRD/RDMRDI, რომელიც პასუხისმგებელია განსახლების ყოველდღიურ საქმიანობაზე შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- a) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირის აღწერის შედეგების განხილვა;
- b) ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსულტაციების და არაფორმალური გამოკითხვის ჩატარება;
- c) საკითხების საფუძვლიანი შესწავლა;
- d) ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირების შერჩევითი გამოკითხვა;
- e) ძირითადი საინფორმაციო გამოკითხვები; და
- f) საჯარო შეხვედრები.

10.2 გარე მონიტორინგი

225. პროექტი კლასიფიცირდება როგორც 'A' კატეგორიის პროექტი არანებაყოფლობითი განსახლებისთვის. შესაბამისად, SSC-ის მიერ განხორციელდება გარე მონიტორინგი. გარე მონიტორინგი განხორციელდება ორ ეტაპად:

226. **პირველი ეტაპი:** გარე მონიტორინგის აღნიშნული ეტაპი მიმდინარეობს LARP-ის განხორციელების პარალელურად, დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს მიერ და სრულდება LARP-ის სრულად შესრულების შემდეგ და მზადდება შესაბამისობის ანგარიში.

227. LARP-ის განხორციელების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ამოცანებს: (ა) LARP-ის/საინფორმაციო ბუკლეტების განხილვა; (ბ) პროექტის განმახორციელებელი ერთეულის საქმიანობის განხილვა, რათა კომპენსაციის გადახდის პროცესს სათანადო ყურადღება მიექცეს LARP-ის პირობების შესაბამისად; (გ) ყველა საკომპენსაციო საკითხის განხილვა; (დ) შემოწმება არის თუ არა ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი კომპენსაციით სათანადოდ უზრუნველყოფილი და მიიღეს თუ არა განსახლების გეგმით და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი ოდენობის კომპენსაცია; (ე) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების დონის შეფასება, რამდენად კმაყოფილები არიან ისინი საინფორმაციო კამპანიით და საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო პაკეტით; (ვ) დაკანონების პროცესის განხილვა და მისი ეფექტურობის შეფასება; (ზ) საჩივრების განხილვა; (თ) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების დასადგენად კვლევის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების 20%. SSC მოამზადებს შესაბამისობის ანგარიშს LARP-ის განხორციელების დასრულებისთანავე. შესაბამისობის ანგარიშში შეტანილი იქნება შემდეგი დასაბუთებული საკითხები:

- (i) კომპენსაციის პროცესის განხორციელების შეფასება განსახლების პოლიტიკის პირობების გათვალისწინებით;
- (ii) მიიღო თუ არა ყველა ადგილმონაცვლე პირმა LARP -ით გათვალისწინებული კომპენსაცია;
- (iii) საჩივრების და მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა;
- (iv) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის რეაბილიტაციის პროგრამის შეფასება;
- (v) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების დონის შეფასება;
- (vi) მიღებული გამოცდილების შეფასება და სხვა პროექტებისთვის გამოყენება; და
- (vii) განსახლების პოლიტიკის განხორციელების ზოგადი შეფასება და ADB-ის და EBRD-ის რეკომენდაციები სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით თანხმობის წერილის თაობაზე.

228. **მეორე ეტაპი:** პროექტის დასრულებიდან ერთ წელიწადში შეფასდება მთლიანი LARP-ის განხორციელება. გარე მონიტორინგის ეტაპზე განხორციელდება შემდეგი ძირითადი კვლევები:

- (i) განსახლების შემდგომ პერიოდში ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- (ii) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების რეაქცია საკომპენსაციო ზომებზე, კომპენსაციაზე, ვარიანტებსა და ალტერნატივებზე;
- (iii) საცხოვრებელისა და შემოსავლის ცვლილება;
- (iv) მიწის დაურეგისტრირებელი მოსარგებლეების რეაბილიტაცია;
- (v) რეაბილიტაციის მიზნისთვის ქონების შეფასების ეფექტურობა;
- (vi) საჩივრების პროცედურების ეფექტურობა;
- (vii) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კმაყოფილების დონე განსახლების შემდგომ პერიოდში.

10.3 LARP-ის განხორციელების შემდგომი პერიოდის შეფასება

229. LARP-ის განხორციელების შემდგომი პერიოდის შეფასება მოიცავს ორ ამოცანას:

1) ამოცანა 1

230. პირველი ამოცანა მდგომარეობს კომპენსაციის გაცემის პროცესის ბოლოს შესაბამისობის ანგარიშის (CR) მომზადებაში. CR-ის მიზანია LARP-ის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა ყველა ზემოქმედებასთან და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთან მიმართებაში ზემოქმედების შეფასების მონაცემებზე, კომპენსაციის ტარიფებზე და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პროცედურებზე დაყრდნობით. CR-ი მომზადდება კომპენსაციის პროცესის დასრულებისთანავე, დამოუკიდებელი სამონიტორინგო სააგენტოს მიერ. CR-ის დადებითი დასკვნა LARP-თან შესაბამისობის შესახებ წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ ADB-ი არ იქნება გზის საპროექტო მონაკვეთზე განსახლების და სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინააღმდეგი. შესაბამისობის ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) შესყიდული აქტივების, კომპენსირებული AP-ების რაოდენობის, LARPით გათვალისწინებული თანხების და AP-ებისთვის გადახდილი თანხების შედარება;
- ბ) პროექტში შეტანილი ცვლილებების ან LARP-ში დაშვებული შეცდომების შედეგად ზემოქმედების მონაცემების ცვლილების შემთხვევაში სხვაობა LARP-ში მოცემულ ციფრებსა და კომპენსაციის ანგარიშებში მოცემულ ციფრებს შორის უნდა გასწორდეს;
- გ) მიღებული საჩივრების და მათზე რეაგირების ანალიზი;
- დ) AP-ების კმაყოფილების კვლევა AP-ებთან ინტერვიუების ჩატარების საშუალებით;
- ე) სამომავლო LARP-ების მომზადებისა და განხორციელებისათვის რეკომენდაციების გაცემა.

2) ამოცანა 2

231. მეორე ამოცანა მოიცავს შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომელშიც შეფასდება თუ რამდენად შენარჩუნდა AP-ების პროექტამდე არსებული ცხოვრების სტანდარტები და შემოსავლები პროექტისთვის შემუშავებული კომპენსაციის პროგრამის მეშვეობით. ანგარიში მომზადდება კომპენსაციის პროგრამის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს მიერ და დაფუძნებული იქნება AP-ების ცხოვრების სტანდარტების და მასთან დაკავშირებული მონაცემების შედარებას კომპენსაციის პროგრამამდე და მისი განხორციელების შემდეგ.

დანართები

დანართი 1 LARP-თან დაკავშირებული საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოკლე მიმოხილვა

A. საქართველოს კონსტიტუცია

232. კონსტიტუცია განსაზღვრავს კერძო საკუთრების არსს და ხელშეუხებლობის პრინციპს, გარდა ამისა იგი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის და უძრავი ქონების კომპენსაციასთან და ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებასაც ახდენს. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას. საქართველოს კონსტიტუციის მუხლის 21 თანახმად „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება დეკლარირებული და დაცულია“. არავის არა აქვს უფლება გააუქმოს საკუთრების და მემკვიდრეობითობის საყოველთაო უფლება. საზოგადოებრივი საჭიროების ან განსაკუთრებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 21.3 ითვალისწინებს კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ან ორგანული კანონით³ განსაზღვრული წესების საფუძველზე და სათანადო ანაზღაურების საფაზურად.

233. საქართველოს კონსტიტუციის სხვა მუხლები, რომელიც ეხება საავტომობილო გზის მშენებლობას, ასევე ქმნის მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საფუძვლებს. ეს ითვალისწინებს სახელმწიფო აქტებს ექსპროპრიაციის უფლების განხორციელებაზე, აგრეთვე ინფორმაციის გამჟღავნებას და საზოგადოებასთან კონსულტაციებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მიწის შესყიდვასა და მოსახლეობის განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას.

234. კონსტიტუცია უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის უფლებას იცხოვროს უსაფრთხო, ჯანსაღ, ბუნებრივ და კულტურულ გარემოში. სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები ხალხისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. ადამიანს აქვს უფლება მიიღოს "სრული, ჭეშმარიტი და დროული ინფორმაცია" მათი სამუშაო ადგილისა და გარემოს შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 42 მოქალაქეს უფლებამოსილს ხდის განაცხადის პრეტენზია, იგი იცავს მის უფლებას სასამართლოში შეიტანოს სარჩელი თავისი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

B. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

235. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს კერძო სამოქალაქო ურთიერთობებს და აწესრიგებს საკუთრების უფლებებს, მოვალეობებს, საოჯახო სამართალს და მემკვიდრეობითობის კანონს. სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აღწერს ქონების საკუთრების უფლებას და ითვალისწინებს მსენებლობის, სერვიტუტის და სხვა უფლებებს, უშუალოდ გამოიყენება მოცემული პროექტისათვის.

საკუთრების უფლება

³ კანონების იერარქიაში, ორგანული კანონი კონსტიტუციასა და სხვა კანონებს შორისაა, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას

236. საკუთრების უფლება მის ბენეფიციარს ქონების თავისუფლად ფლობისა და გამოყენების უფლებას აძლევს. იგი შესაძლოა შეზღუდული იყოს კანონმდებლობით ან კონტრაქტით. მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება მიწის მეპატრონეს ასევე ამ ნაკვეთზე მშენებლობის უფლებასაც ანიჭებს, თუკი ეს შეზღუდული არ არის რომელიმე ხელშეკრულებით ან კანონით. უძრავი ქონების გასხვისება არ იზღუდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, "უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში." ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ერთი პირი ყიდულობს და მეორე ყიდის უძრავ ქონებას, შესაძლოა დამოწმებულ იქნას ნოტარიულად. ხელშეკრულება ასევე შეიძლება დამოწმდეს კანონით განსაზღვრული პირის მიერ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი). ამჟამად უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დამოწმდეს საჯარო რეესტრის წარმომადგენლის მიერ. 312-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა."

მშენებლობის უფლება

237. მესაკუთრეს უფლება აქვს დროებითი გამოყენებისთვის გადასცეს მიწის ნაკვეთი სხვა პირს (მაქსიმუმ 59 წლით) გარკვეულ საფასურად ან საფასურის გარეშე. მიმღები მოიპოვებს უფლებას ააშენოს შენობა/კონსტრუქცია მიწის ნაკვეთზე ან მის ქვეშ, ასევე მიანიჭოს და გადასცეს ეს უფლება მემკვიდრეობით ან ქირავნობით, იჯარით ან თხოვების სახით. მშენებლობის უფლება შეიძლება მოიცავდეს მიწის ისეთ ნაწილს, რომელიც არ არის საჭირო ფაქტიური მშენებლობისათვის, არამედ სამშენებლო ნებართვით აშენებული ნაგებობის უკეთ გამოყენების საშუალებას იძლევა. მშენებლობის უფლების შეწყვეტა საჭიროებს მიწის მესაკუთრის თანხმობას. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის პირობები უფლებას იძლევა განზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისა, მიზანშეწონილი იქნება განსხვავების ზოლის უფლების მოთხოვნა. ამ კოდექსის მუხლის 180 თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისადგომი საზოგადოებრივი სარგებლობის გზებთან, რაც საჭიროა მისი ადეკვატური გამოყენებისათვის, სხვა მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობლისგან მისადგომად მისი მიწის გამოყენება. აღნიშნული მუხლი სესაძლოა გამოყენებულ იქნას მზის მშენებლობისათვის, თუმცა განსხვავების ზოლის განსაზღვრის საჭიროება საკმაოდ რთული პროცედურაა და გზის მშენებლობის შემთხვევაში წარმოშობს ასეთი უფლებების დამტკიცების ვალდებულებას. განსხვავების ზოლის არსებობის შემთხვევაში, გზის პროექტის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსი იქნება განახორციელოს გზის მსენებლობა მესაკუთრის სურვილის მიხედვით.

სერვიტუტის უფლება

238. სერვიტუტის უფლება უძრავ ქონებაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ნიშნავს მიწის ნაკვეთზე ან უძრავ ქონებაზე დაწესებულ შეზღუდვას, სხვა მიწის ნაკვეთის ან მესაკუთრის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ. ბენეფიციარს ეძლევა უფლება გამოიყენოს შეზღუდვის ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთი გარკვეული პირობების გათვალისწინებით და/ან ეზღუდება კონკრეტული საქმიანობის წარმოება ან მიწის მესაკუთრეს ეკრძალება განახორციელოს გარკვეული უფლებები ამ მიწის ნაკვეთთან

მიმართებაში. თუმცა, ამ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი უფლებების (მათ შორის, საკუთრების, მშენებლობის, საჭირო მშენებლობისათვის მიჩენილი მიწის ზოლის ან სერვიტუტის) გადაცემის პირობები და ვადები განისაზღვრება ცალკეული მიწის ნაკვეთისათვის, იდენტიფიცირებული წესის შესაბამისად და ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება მიწის მესაკუთრესა და იმ მხარეს შორის, რომელსაც ამის სათანადო უფლება ექნება მინიჭებული. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.

C. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

გარდა საქართველოს კონსტიტუციისა, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა და მოითხოვს თითოეული მოქალაქისგან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, მის დაცვას და შენარჩუნებას, საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ განსაზღვრავს საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრინციპებს.

239. კანონით, კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვა ხორციელდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა, საჯარო და იურიდიული პირების მიერ. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ორგანოებს აქვთ იგივე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს ზოგად კოორდინაციას და მართავს ამ სფეროში განხორციელებულ საქმიანობას. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება განიხილოს კულტურულად ან არქეოლოგიური დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული სახელმწიფო მიწის ნაკვეთების გასხვისება იმ პირობით, რომ დაცული იქნება დაცვისა და მოვლის ზომები. საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ ზღუდავს კულტურულ ან არქეოლოგიურად დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული კულტურული ძეგლების / მიწის გასხვისებას კერძო საკუთრების ქვეშ, რაც მხოლოდ სარგებლობის უფლების ფარგლებში შეიძლება იყოს გასხვისებული, დაცვის ნებისმიერი პირობის მიუხედავად.

D. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ

240. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიატის მოწყობისა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების ძირითად მოთხოვნებს. კანონი ასევე განსაზღვრავს, თუ რომელ უწყებებს და უფლებამოსილ პირებს აქვთ უფლება განახორციელონ სანოტარო ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. კანონის 42-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ განახორციელონ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ნოტარიული ქმედებები, ნოტარიულად დაადასტურონ ორიგინალი დოკუმენტის ასლი, მოქალაქის ცხოვრების ფაქტის ან მოქალაქის გარკვეული ადგიმდებარეობის დამადასტურებელი ფაქტის

დამოწმება. სოფლის მოსახლეობა ხშირად მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობებს გარკვეული სანოტარო მოქმედებების ჩასატარებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა პირის ან დოკუმენტის იდენტიფიცირება, ან სანოტარო მოქმედებები საჭიროა ოჯახის წევრის გარდაცვლილი ხელმძღვანელის სხვა წევრით შეცვლისთვის. ეს წესი ხშირად გამოიყენება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისას, როდესაც გარდაცვლილი წევრის ნაცვლად რეგისტრირებულია ოჯახის ერთი წევრი. სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. (მუხლი 43) საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საკონსულოს მათი ადგილმდებარეობის მიხედვით.

E. საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ

241. კანონი არეგულირებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების პროვატიზაციას. ამ კანონის თანახმად, იჯარით გაცემული ან გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პროვატიზაციას ექვემდებარება:

- სამოვარი, გარდა ამ კანონის ამოქმედებამდე იჯარით გაცემული სამოვრებისა და სამოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით მიმაგრებულია მასზე მდებარე, ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე;
- პირუტყვის გადასარეკი ტრასა;
- წყლის რეზერვების მიწები, გარდა თევზსაშენი ხელოვნული წყალსატევებისა და წყლის კომუნალური მოხმარების კატეგორიის მიწებისა, რომლებიც გამოიყენება, როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწები, საქართველოს წყლის შესახებ კანონის შესაბამისად;
- ტყის ფონდის მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;
- რეკრეაციული დანიშნულების მიწა;
- ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწა;
- დაცული ტერიტორიების მიწა;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სახით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
- საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

242. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ორი კატეგორიის (ტყის ფონდისა და რეკრეაციული მიწების) პრივატიზება კვლავ დასაშვებია, თუმცა მხოლოდ საკურორტო-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

F. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლების შესახებ

243. ამჟამინდელი კანონი არსებითად განსხვავდება 1996 წელს მიღებული საწყისი ვერსიისგან. ამ კანონში სხვადასხვა დროს შეტანილმა ცვლილებებმა (მათ შორის ცვლილებები 2000 წლის 14 ივლისს მიღებული კანონის # 389 საფუძველზე) მნიშვნელოვნად შეცვალა მისი საწყისი ფორმატი და მაქსიმალურად გაამარტივა ამ კანონით რეგულირებადი პროცედურები.

244. მუხლი 3.1 განსაზღვრავს, რომ „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის- მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე:“ აგრეთვე კომლის წვერის წილი საერთო სარგებლობის მინდვრებში, საძოვრებში და სატყეო მეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაწილი, რომელიც შესაძლოა „ცალკე საკუთრების უფლების“ საგანს წარმოადგენდეს. (მუხლი 3.2)

245. იგივე კანონი განსაზღვრავს, რომ სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება ეძლევა სახელმწიფოს, საქართველოს მოქალაქეს კომლს და იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონდემბლობის თანახმად და აწარმოებს საქმიანობას სოფლის მეურნეობის სფეროში. გარდა ამისა, სახელმწიფო აღიარებს კერძო და თემის საკუთრების უფლებას საძოვრებზე მაღალმთიან რეგიონებში (მუხლი 43).

246. მუხლების 6 და 8 შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა ნებადართულია მიღებული წესებისა და ზოგადი შეზღუდვების ფარგლებში. მიღებული წესი ითვალისწინებს მიწის გასხვისებას რაიმე ნებართვების ან სხვა შეზღუდვების გარეშე, ხოლო ზოგადი შეზღუდვები ითვალისწინებს მიწის გასხვისებას მხოლოდ საზიანო ქონების თანამფლობელის თანხმობის საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის შემთხვევაში არენდატორს გააჩნია პრიორიტეტული უფლება შისყიდოს მიწა (მუხლი 10). გასხვისება შეზღუდულია თუკი ამ ოპერაციის შემდეგ მიწის ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლები რჩება (მუხლი 9).

კანონით გათვალისწინებულია საგადასახადო სანქციები იმ შემთხვევაში თუ მიწა არ არის დამუშავებული 2 წლის განმავლობაში, არ არის გადახდილი მიწის გადასახადი და იჯარის პირობით არ არის გადაცემული სხვა პირისათვის (მუხლი 20).

G. საქართველოს კანონი უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ

247. კანონი განსაზღვრავს უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესებს, პირობებსა და ვადებს და რეგისტრაციის პროცედურების მონაწილე სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს. ამ კანონის მიზანს წარმოადგენს განაცხადოს და დაამოწმოს უძრავი ქონების საკუთრების უფლება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ამ უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მეშვეობით. კანონი აღწერს წესებს,

რომელიც დაწესებულია ორგანიზაციებისთვის და საჯარო რეესტრის ფუნქციონირებისთვის.

248. კანონი უზრუნველყოფს ექსპროპრიაციის წარმატებულ პროცესს და მშენებლობისათვის განკუთვნილი მიწის განსხვავების ზოლის მოპოვებას, რადგან მესაკუთრისგან უძრავი ქონების შესყიდვის შემთხვევაში, საჭიროა, რომ მიწა და უძრავი ქონება რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში, რათა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას კანონიერი ძალა ჰქონდეს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ტანახმად, კერძო ქონების შესყიდვას იურიდიული ძალა გააჩნია და საკუთრების უფლება დეკლარირებულია მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

H. საქართველოს კანონი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ექსპროპრიაციის წესების შესახებ

249. საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ექსპროპრიაციის წესები (1999 წლის 23 ივლისი) განსაზღვრავს ექსპროპრიაციის პროცედურებს, ვალდებულებებს და წესებს. საკუთრების ექსპროპრიაციის წესების მიხედვით, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება ხორციელდება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ექსპროპრიაციის შემთხვევაში.

250. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გზების მშენებლობისთვის საჭირო ქონების ექსპროპრიაცია დასაშვებია საჯარო საჭიროებისათვის. ექსპროპრიაციის პროცესი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს. ექსპროპრიაცია ხორციელდება კომპენსაციის გადახდის გზით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ღირებულებას და იყოს სამართლიანი. საქართველოს სახელმწიფოს აქვს კონსტიტუციური უფლება, განახორციელოს საკუთრების შეძენა ექსპროპრიაციის გზით საკანონმდებლო კომპენსაციის გადახდის ნაცვლად (მუხლი 21).

I. საქართველოს სამოქალაქო საპროცედურო კოდექსი

251. საქართველოს სასამართლოები საქმეს იხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცედურო კოდექსით განსაზღვრული წესების თანახმად. საპროცედურო კანონის მოთხოვნები გამოიყენება სასამართლო პროცესის დროს, ცალკე საპროცედურო ღონისძიებების განხორციელების განმავლობაში, ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას.

252. საქართველოს სამოქალაქო საპროცედურო კოდექსი ასევე არეგულირებს იმ საქმეებს, როდესაც შეუძლებელია მოსარჩლის განსაზღვრა. ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს პროექტისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის მესაკუთრე არ ჩანს და შესაბამისად, მისი მიწის ნაკვეთის საკუთრება სამართლებრივი გზით ვერ მოიპოვება ე.ი. შეუძლებელია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება მიწის მესაკუთრესთან ან მას არ შეუძლია ხელი მოაწეროს რაიმე სხვა ტიპის დოკუმენტს.

253. ზემოთ ჩამოთვლილი კანონები და რეგულაციები იძლევა საკუთრების უფლების იურიდიული გამოყენების შემდეგ სამ მექანიზმს:

- საქმიანობის დაწყებამდე სათანადო კომპენსაციის გადახდით (შეთანხმების ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე) ექსპროპრიაციის გარეშე გასხვისების ზოლზე უფლების მოპოვება;

- ექსპროპრიაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიწაზე მუდმივი უფლების მოპოვებას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით;
- კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო უშიშროების ან შემთხვევების პრევენციის მიზნით მიწის მუდმივ უფლებათა მოპოვებას. ექსპროპრიაცია უნდა განხორციელდეს საპრეზიდენტო განკარგულების საფუძველზე ექსპროპრიაციის შესახებ დაზარალებულთათვის სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.

254. სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი მექანიზმები უზრუნველყოფენ ყველა მხარის კანონიერი ინტერესების სათანადოდ განხილვას და არსებული კანონმდებლობის სათანადოდ დაცვას.

დანართი 2 შეხვედრების ოქმი

ქვეშეთი (ლოტი 1 და ლოტი 2)

თარიღი: 14 მაისი, 2018

ადგილი: სოფ. ქვეშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტი

მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია

ფასილიტატორი (ებ) ი: არჩილ ჯორბენაძე – ADB-ის პროექტის კოორდინატორი და კონტრაქტების მონიტორინგის ხელმძღვანელი, ნინო მწურავიშვილი - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, რუსუდან ყულიაშვილი და ელენე მგალობლიშვილი შპს გამა კონსალტინგის სპეციალისტები, თენგიზ ბედოიძე - სოფ. ქვეშეთის გუბერნატორი და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

დამსწრეები: 16 ადამიანი საპროექტო სოფლებიდან

სქესი: 1 ქალი და 15 კაცი

კონსულტაციების ხელმძღვანელი: ელენე მგალობლიშვილი

დამხმარე: რუსუდან ყულიაშვილი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა შპს გამა კონსალტინგის წარმომადგენელმა, ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა საპროექტო ტერიტორიაზე და გვირაბის ადგილმდებარეობაზე, პროფილსა და პარამეტრებზე, ასევე მიწის შესყიდვის და განსახლების ძირითად პრინციპებზე, კომპენსაციის მირებაზე უფლებამოსილების და საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის თაობაზე.

განხილული საკითხების შეჯამება:

- (i) მიწის ლეგალიზაცია;
 - (ii) ადგილობრივი მოსახლეობის სალოცავების, ჯვრების, საფლავების, მემორიალების დაცვა;
 - (iii) გზის და გვირაბების ტექნიკური მახასიათებლები;
 - (iv) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები;
 - (v) მშენებლობით გამოწვეული ვიზრაცია და სახლების უსაფრთხოება;
 - (vi) სოფლებთან მისასვლელი გზები მშენებლობის პერიოდში; და
 - (vii) გზის მშენებლობით მიღებული სარგებელი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის;
- ქვემოთ მოცემულია მონაწილეების მიერ დასმული კითხვები / გამოთქმული მოსაზრებები და არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები:

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები

N	AP-ის სახელი	კომენტარი	პასუხი
1	ვალერიან წამალაიძე	რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ არ მაქვს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი?	საავტომობილო გზების დეპარტამენტი და საკონსულტაციო კომპანიები დაგეხმარებათ ნახაზების მოძიებასა და მათ რეგისტრაციაში.
2	ზვიად ქავთარაძე	მე მაქვს საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი სოფელ ხადაში, თუმცა მე არ მაქვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღიარების კომისიამ უარი თქვა ამ ქონების რეგისტრაციაზე იმის გამო, რომ ეს რეკრეაციული ზონაა.	გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი განცხადების ნომერი, რათა საჯარო რეესტრში მოვიძიოთ უარის თქმის მიზეზი. სამწუხაროდ, ამ პრობლემის შესახებ ინფორმაცია დღემდე არ მიგვიღია. ჩვენ გამოვიძიებთ ამ საკითხს და მოგაწვდით ინფორმაციას.
4	უმანგი ზახაიძე	თუ საპროექტო ზონა გადაკვეთს საფლავებსა და სალოცავებს, უმჯობესი იქნება სამშენებლო ზონის გადატანა.	სამარხების ტერიტორია არ არის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, უფრო მეტიც, სამშენებლო კომპანიის ინიციატივით მშენებლობის დროს მოეწყობა დამცავი კედელი ამ ტერიტორიის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.
5	მამუკა როსტიაშვილი	როგორია გზის პარამეტრები?	გზის საპროექტო სიგრძე შეადგენს 10.03 კმ-ს, საიდანაც 9,06 კმ გვირაბია. მისასვლელი გზის სიგანე შეადგენს 10 მ-ს.
6	მამუკა როსტიაშვილი	როგორია გვირაბის პარამეტრები?	სავალი გზა 3,5 მეტრია თითოეულ მხარეს, გვერდითა - 1,5 მ; ფეხით მოსიარულეთათვის - 0,75 მ. გარდა ამისა, დაგეგმილია საავარიო გვირაბის მოწყობა.
7	ელდარი ზახაიძე	როდის მოგვეცემა გზის მთლიანი პროექტის ნახვის საშუალება?	თქვენ აღნიშნულ პროექტს ნახავთ გზის სხვა მონაკვეთის მშენებლობის პროექტზე დანიშნული საჯარო განხილვის დროს.
8	დავით ზახაიძე	პროექტის ფარგლებში დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა?	დასაქმებისას ადგილობრივ მოსახლეობას უპირატესობა ენიჭება.
9	გიორგი წამალაიძე	რა სარგებელს მიიღებს მუნიციპალიტეტი გზის პროექტის განხორციელებით?	მოგეხსენებათ, რომ გზის აღნიშნული მონაკვეთი ზამთრის უმეტეს პერიოდში ზვავის რისკის გამო იკეტება. აღნიშნული გვირაბის მშენებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან კავშირს მთელი წლის განმავლობაში.
12	დავით ზახაიძე	უკვე გამოვლინდა სამშენებლო კომპანია?	ტენდერი ჯერ არ ჩატარებულა, შესაბამისად, სამშენებლო კომპანია არ არის ცნობილი ამ ეტაპზე.

15	გოჩა ზახაიძე	მე საკმაოდ ახლოს ვცხოვრობ საპროექტო ზონასთან. თუ მშენებლობა ზიანს მიაყენებს ჩემს სახლს, რა უნდა მოვიმოქმედო და ვის უნდა მივმართო?	თქვენ, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განაცხადი უნდა წარადგინოთ საავტომობილო გზების დეპარტამენტში და მოითხოვოთ ქონების ინვენტარიზაცია. თუ თქვენი ქონება დაზიანდება მიმდინარე სამუშაოების გამო, თქვენ მიიღებთ სათანადო კომპენსაციას.
16	ლევან წამალაიძე	რას იტყვით ვიბრაციის გავრცელების შესახებ, მიაყენებს თუ არა ის ზიანს უკვე ავარიულ სახლებს?	აღნიშნული საკითხის შესწავლა ხდება გზმ-ს ფარგლებში. ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება.
17	ნოდარი ბენიანიძე	რომელი გზა იქნება გამოყენებული სამშენებლო სამუშაოების დროს და არის თუ არა მოსალოდნელი საგზაო მოძრაობის შეფერხება სამშენებლო პროცესით?	სოფელთან დამაკავშირებელი ახალი გზა მოეწყობა. მოძრაობა არ იქნება შეზღუდული.
21	ნინო წამალაიძე	ვინ აფინანსებს აღნიშნული პროექტის მშენებლობას?	ADB-ი და EBRD-ი

ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვის დამსწრეთა სია

N	სახელი/გვარი	საკონტ. ინფ.	დასაქმების სტატუსი	სქესი
1	წამალაიძე ნინო		პენსიონერი	ქალი
2	ბენიანიძე ბადრი		"საქართველოს ტყის განვითარების ეროვნული სააგენტო"	კაცი
3	ბენიანიძე დავით		უმუშევარი	კაცი
4	ჯავახიშვილი მიხაილ		უმუშევარი	კაცი
5	წამალაიძე ვალერიან		პენსიონერი	კაცი
6	ბენიანიძე ნიკოლოზ		"გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	კაცი
7	ზახაიძე უშანგი		"გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	კაცი
8	ზახაიძე ელდარი		უმუშევარი	კაცი
9	ქავტარაძე ზვიადი		უმუშევარი	კაცი
10	წამალაიძე გიორგი		უმუშევარი	კაცი
11	ბენიანიძე ნოდარი		"საქართველოს სამხედრო გზა"	კაცი
12	როსტაიშვილი მამუკა		თვითდასაქმებული	კაცი
13	ზახაიძე დავით		თვითდასაქმებული	კაცი

14	ბენიანიძე გიორგი		"საქართველოს ტყის განვითარების ეროვნული სააგენტო"	კაცი
15	წამლაძე ლევანი		უმუშევარი	კაცი
16	ზახაიძე გოჩა		"საქართველოს ტყის განვითარების ეროვნული სააგენტო"	კაცი

ქვეშეთი-კობის გზის პროექტის საჯარო განხილვის ფოტო მასალა



ქვეშეთი FGDs (ლოტი2)

თარიღი: 6 ივლისი, 2018
ადგილი: სოფ. ქვეშეთი, ადმინისტრაციული შენობა
მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
ფასილიტატორი (ებ) ი: ემი სექსტონი (EBRD- ის კონსულტანტი) და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი

დამსწრები: 20 ადამიანი სოფ. ზაქათკარიდან, სოფ. ქვეშეთიდან და სოფ. მულერედან
სქესი: 12 ქალი და 8 კაცი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა შპს გამა კონსალტინგის წარმომადგენელმა, ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ფასილიტატორები და დეტალურად ისაუბრა შეხვედრის მიზანზე. პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე უფრო დეტალურად ისაუბრა ემი სექსტონმა.

განხილული საკითხების შეჯამება:

- (i) მიწის, კულტურების და შენობების ფასი;
- (ii) მიწის ლეგალიზაცია;
- (iii) სოფლებთან მისასვლელი გზები;
- (iv) სოფ. ქვეშეთში არსებული ჯვარი;
- (v) ცხოველებისთვის მიწისქვეშა გასასვლელები; და
- (vi) გზის მშენებლობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები.

განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის; არანებაყოფლობითი განსახლების საკითხების გადაჭრა მოხდება LAR-ის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე. საერთო ჯამში, მონაწილეები დადებითად აფასებენ პროექტს, თუმცა იმ მონაწილეებმა, რომელთა საკუთრება შესაძლოა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცეს, გამოხატეს წუხილი მიწის და სხვა აქტივების დაკარგვის თაობაზე.

მონაწილეებმა მონიშნეს მათ მიერ გამოყენებული სამოვრები და ტყეები, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ადგილები, როგორცაა წმ. გიორგის ჯვარი. მათ ასევე იმსჯელეს ისეთ სერვისების ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და საგზაო უსაფრთხოების განათლებაზე სკოლებში. მონაწილეების უმთავრესი საზრუნავი არის არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა მიწის რეგისტრაცია, კომპენსაცია და გზის პროექტის შეცვლით ზემოქმედების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ქვემოთ მოცემულია მონაწილეების მიერ დასმული კითხვები / გამოთქმული მოსაზრებები და არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები:

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ მოექცევა ზემოქმედების ქვეშ?	ეს დამოკიდებულია მიწის ნაკვეთის ზომაზე და ასევე იმაზე თუ მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის რა ნაწილი მოყვება ზემოქმედების ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის უმეტესი ნაწილი მოყვება ზემოქმედების ქვეშ და დანარჩენი ნაწილი გამოუსადეგარია, მოხდება მთლიანი ნაკვეთის შესყიდვა. იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილი ნაწილი გამოსადეგია და AP-ის არ სურს მისი გაყიდვა, მიწის დარჩენილი ნაწილის შესყიდვა არ მოხდება.
2	ჩვენ ვერ შევძელით მიწის დარეგისტრირება და უმეტესობა ჩვენგანს არ აქვს საჭირო	არა-ლეგალიზებადი მიწის მფლობელები მიიღებენ ყველა იმ კომპენსაციას რაც მიწასთან

	დოკუმენტაცია. როგორ ფიქრობთ აღნიშნული საკითხების გადაჭრას?	არ იქნება კავშირში, როგორცაა მაგალითად მოსავლის, ხეების და AP-ების მიერ აშენებული შენობების კომპენსაცია.
3	სოფ. ქვეშეთში არის ერთი ადგილი საიდანაც საქონელი პირდაპირ მიდის მდინარეზე არსებულ ხიდთან (სკოლის გვერძე არსებული გზა).	შემოვლითი გზა არ არის განსაზღვრული. თუმცა, ჯერჯერობით გზის საბოლოო პროექტი არ არის დამუშავებული.
4	მონაწილეებმა ისაუბრეს მიწის რეგისტრაციასთან და პატარა მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება დაეხმარება მათ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაში.	
	მოსახლებას უხარია პროექტის განხორციელება, თუმცა მათთვის მნიშვნელოვანია რომ პროექტი არ იქონიებს ზემოქმედებას სახლებზე და რომ გზის მშენებლობა იწარმოებს სახლებიდან მოშორებით, ისე რომ მათ არ მოუწევთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.	ფასილიტატორებმა მონაწილეებს აუღწერეს გზის ბუფერული ზონა. შესაძენი მიწის საერთო ფართობი ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული.
5	როგორ უზრუნველყოფთ სოფლებთან კავშირს?	საპროექტო მისასვლელი გზები ნაჩვენებია რუკაზე.
6	გზის მშენებლობის შემდეგ შევძლებთ თუ არა საძოვრების გამოყენებას?	კი, თქვენ შეძლებთ საძვრებით სარგებლობას.
7	სად იქნება ფუჭი ქანების სანაყარო?	ფუჭი ქანების სანაყაროსთვის ადგილები ჯერ კიდევ არ არის შერჩეული. თქვენი შემოთავაზებები სოფ. არახვეთის შემდეგ განიხილება.
8	რა არის მიწის, კულტურების, სახლების ფასები?	ნებისმიერი შესაძენი აქტივის ფასს განსაზღვრავს პროფესიონალი შემფასებელი. ეს იქნება შესყიდული აქტივის ჩანაცვლებითი ღირებულება.
9	როგორ მოხდება ლეგალიზებადი მიწის კომპენსაცია? რეგისტრაციამდე თუ რეგისტრაციის შემდეგ?	კომპენსაციის მისაღებად პირველ რიგში აუცილებელია მიწის რეგისტრაცია / ლეგალიზაცია. ჩვენი კანონი კრძალავს არარეგისტრირებული მიწისთვის კომპენსაციის გადახდას.
10	ჩვენ გვაქვს მიწა იქ სადაც დაგეგმილია ხიდის მშენებლობა. შევძლებთ ხიდის ქვეშ მიწის გამოყენებას ხიდის მშენებლობის შემდეგ?	
11	აქ ბევრი ადამიანია ვისაც სურს დასაქმება. მიეცემათ მათ დასაქმების შესაძლებლობა? სხვა პროექტებზე გუდაურში დასაქმეს არაადგილობრივები. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დასაქმდეს.	დიახ, უნდა შევადგინოთ დასაქმების მსურველი ადამიანების სია და მივცეთ კონტრაქტორს.



06.07.2018

PARTICIPANT LIST

Երևանի
համալսարանի
սոցիոլոգիական ինստիտուտ

NAME-SURNAME	AGE	SEX	BIRTH PLACE	PLACE OF RESIDENCE	OCCUPATION	RELATION TO THE HOUSEHOLD HEAD (e.g. husband/son/brother)
1. Գրիգոր Գրիգորյան	49	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
2. Գրիգոր Գրիգորյան	57	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
3. Գրիգոր Գրիգորյան	24	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
4. Գրիգոր Գրիգորյան	65	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
5. Գրիգոր Գրիգորյան	65	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
6. Գրիգոր Գրիգորյան	49	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
7. Գրիգոր Գրիգորյան	59	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
8. Գրիգոր Գրիգորյան	48	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
9. Գրիգոր Գրիգորյան	55	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
10. Գրիգոր Գրիգորյան	55	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
11. Գրիգոր Գրիգորյան	57	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
12. Գրիգոր Գրիգորյան	32	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
13. Գրիգոր Գրիգորյան	80	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
14. Գրիգոր Գրիգորյան	77	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար
15. Գրիգոր Գրիգորյան	84	ձրբահ	Երևան	Երևան	Գործարար	Գործարար

	keber, gajah	slur	lhr	adipati sanggah	lurah sanggah	astu sanggah	bangsawan sanggah
16.							
17.	malik jangkang	98	sempah	adipati	lurah	astu	bangsawan
18.	malik jangkang	32	sempah	adipati	lurah	astu	bangsawan
19.	gajah	56	sempah	adipati	lurah	astu	bangsawan
20.	gajah	67	sempah	adipati	lurah	astu	bangsawan
21.	gajah	58	sempah	adipati	lurah	astu	bangsawan
22.							
23.							
24.							
25.							
26.							
27.							
28.							
29.							
30.							
31.							
32.							
33.							

FGD ზაქათკარის, არახვეთის და ბედონის სოფლების მოსახლეობასთან (ლოტი 2)

თარიღი: 30 აგვისტო, 2018
 ადგილი: სოფ. ქვეშეთი, ადმინისტრაციული შენობა
 მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
 ფასილიტატორი (ებ) ი: არჩილ ჯორბენაძე (ADB პროექტის კოორდინატორი), ემი სექსტონი (EBRD- ის კონსულტანტი) და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
 სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და თენგიზ ბედოიძე - ქვეშეთის თემში დუშეთის მერის წარმომადგენელი
 დამსწრეები: 9 ადამიანი სოფ. ზაქათკარიდან, სოფ. არახვეთიდან და სოფ. ბედონიდან
 სქესი: 5 ქალი და 4 კაცი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა შპს გამა კონსალტინგის წარმომადგენელმა, ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ფასილიტატორები და დეტალურად ისაუბრა შეხვედრის მიზანზე. საპროექტო კონსულტანტმა, პილარ პასტორმა ისაუბრა პროექტზე და მის ტექნიკურ კომპონენტებზე, რის შემდეგაც პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე უფრო დეტალურად ისაუბრა ემი სექსტონმა.

განხილული საკითხების შეჯამება:

- (i) საცალფეხო და პირუტყვის გადასარეკი ხიდები
- (ii) მიწის ლეგალიზაცია;
- (iii) სოფ. ბედონთან არსებული ხიდის მდგომარეობა;
- (iv) მისასვლელი გზა სოფ. ბედონის გავლით;
- (v) წყლის რესურსები და სამოვრები;
- (vi) მიწის კომპენსაცია;
- (vii) მშენებლობის დროს მოსალოდნელი ზემოქმედება სახლებზე.

მონაწილეებმა მონიშნეს მათ მიერ გამოყენებული სამოვრები და ტყეები, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ადგილები. მათ ასევე იმსჯელეს ისეთ სერვისების ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; წყლის და გაზის მიწოდების სისტემებზე და მშენებლობის პროცესში აღნიშნული სერვისების უსაფრთხოებაზე; ტურისტულ ზონებზე და საგზაო უსაფრთხოების განათლებაზე სკოლებში. მონაწილეების უმთავრესი საზრუნავი არის არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა მიწის რეგისტრაცია, კომპენსაცია და გაზის პროექტის შეცვლით ზემოქმედების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ქვემოთ მოცემულია მონაწილეების მიერ დასმული კითხვები / გამოთქმული მოსაზრებები და არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები:

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	იქნება თუ არა საცალფეხო და პირუტყვის გადასარეკი გადასასვლელები სოფ. არახვეთთან, საიდანაც შევძლებთ პირუტყვის სამოვრებამდე მიყვანას?	დიახ, პროექტი ითვალისწინებს საცალფეხო ხიდების და პირუტყვის გადასარეკი გადასასვლელების მოწყობას.
2	როგორ მივუდგებით გაზის მეორე მხარეს არსებულ ჩვენ მიწის ნაკვეთებს?	გაზის პროექტით გათვალისწინებულია საცალფეხო გადასასვლელების და ასევე საქონლის გადასარეკად შესაფერისი გადასასვლელების მოწყობა.
3	მაქვს მიწის ნაკვეთი, რომელსაც ვერ ვარეგისტრირებ. როგორ მოხდება ჩემთვის კომპენსაციის გადახდა?	არა-ლეგალიზებადი მიწის მფლობელები მიიღებენ ყველა იმ კომპენსაციას რაც მიწასთან არ იქნება კავშირში, როგორცაა მაგალითად მოსავლის, ხეების და მასზე აშენებული შენობების კომპენსაცია.

4	რა მოხდება, თუ წყლის ან გზის მიწოდების სისტემები დაზიანებულია მშენებლობის დროს?	კონტრაქტორი პასუხისმგებელია აღნიშნულ სისტემებზე ნებისმიერი ზიანის მიყენებაზე.
5	სოფ. ბედონის მოსახლეობა შემფოთებას გამოთქვამს მშენებლობის დროს სახლების მდგომარეობაზე, რადგან როგორც მათ უთხრეს მისასვლელი გზა გაივლის მათ სოფელს. ჩვენი სახლები ძველია და აშენებულია ცემენტის გარეშე, და მშენებლობით გამოწვეული ვიზრაცია ზიანს მიაყენებს სახლებს. ვფიქრობთ, თუ მისასვლელი გზის გაყვანა მოხდება ჩვენი სოფლის შემოვლით მდინარის მხრიდან, ჩვენ არ შეგვექმნება მსგავსი პრობლემები.	ჩვენ ვიცით აღნიშნული პრობლემის შესახებ და განვიხილავთ შემოვლით გზას რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრობლემები.
6	ჩემი სახლი მდინარესთან ახლოს და გზიდან მოშორებით არის განთავსებული სოფ. ქვეშეთში. გზის მშენებლობის შემდეგ ჩემი სახლის გარშემო იქნება სამი გზა. რატომ მოხდა პროექტის ამ ალტერნატივის შერჩევა? ახალი გზის პირობებში გაუარესდება ჩემი და ჩემი მეზობლების ცხოვრების პირობები. საერთო ჯამში, ეს ეხება 12 ოჯახს. გთხოვთ, გაითვალისწინეთ ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ ასევე წერილი გავუგზავნეთ პრემიერ მინისტრს მოთხოვნით, თავიდან აირიდონ ჩვენი განსახლება. ალტერნატივის სახით გთავაზობთ გზის გადაწევას მდინარის მიმართულებით (აღნიშნული წინადადება დატანილია რუკაზე და ნაჩვენებია დამსწრეთათვის)	აღნიშნული პროექტის შერჩევა მოხდა 9 ალტერნატიულ ვარიანტს შორის. ჩვენ კვლავ გადავხედავთ პროექტს და შესაძლებლობის შემთხვევაში შევცვლით მას და მოვაწყობთ ბედონის მისასვლელ გზას. მდინარის მეორე ნაპირზე გზის მშენებლობა ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან ნიადაგი არ არის სტაბილური. ჩვენ კვლავ მოვინახულებთ საპროექტო ტერიტორიას და შეძლებისდაგვარად შევცვლით პროექტს და თავიდან ავიცილებთ ან მინიმუმამდე დავიყვანთ ზემოქმედებას კერძო მიწის ნაკვეთებზე და აქტივებზე.

FGD-ის ფოტომასალა



მონაწილეთა ჩამონათვალი

1980- 30.01.2018

PARTICIPANT LIST							
NO.	NAME-SURNAME სახელი-გვარი	AGE წელი	SEX სქესი	BIRTH PLACE დაბადების ადგილი	PLACE OF RESIDENCE აღმოსახლებადი ადგილი	OCCUPATION დასაწყობი	RELATION TO THE HOUSEHOLD HEAD სახლისთვის აღწერილი რგობის აღმოსახლ. მდ. მუდმივ. მცხოვ.
1.	ბარბაქაძე ანა	58	მდედ.	ახიქო.	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
2.	ბარბაქაძე რ. რ.	63	მდედ.	ახიქო.	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
3.	მუხომბარაძე ნაფი	65	პრ.	ტყ. ხეივ.	სახგვათ	პენსია	მეუღლე
4.	მამონაძე ნინო	59	მდედ.	ახიქო.	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
5.	ბარბაქაძე ნინო	80	მდედ.	ახიქო.	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
6.	გვამბაძე ნინო	47	მდედ.	სახგვათ	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
7.	ბარბაქაძე ნინო	46	მდედ.	სახგვათ	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
8.	ბარბაქაძე ნინო	54	მდედ.	სახგვათ	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
9.	ბარბაქაძე ნინო	52	მდედ.	სახგვათ	სახგვათ	მშენებელი	მეუღლე
10.							
11.							
12.							
13.							
14.							
15.							

ხადის ხეობა FGD (ლოტი 2)

თარიღი: 30 აგვისტო, 2018
ადგილი: სოფ. ბენიანი-ბეგონი (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი)
მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
ფასილიტატორი (ებ) ი: არჩილ ჯორბენაძე (ADB პროექტის კოორდინატორი), ემი სექსტონი (EBRD- ის კონსულტანტი) და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და თენგიზ ბედოიძე - ქვეშეთის თემში დუშეთის მერის წარმომადგენელი
დამსწრები: 19 ადამიანი სოფ. ზაქათკარიდან, სოფ. არახვეთიდან და სოფ. ბედონიდან
სქესი: 6 ქალი და 13 კაცი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა შპს გამა კონსალტინგის წარმომადგენელმა, ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ფასილიტატორები და დეტალურად ისაუბრა შეხვედრის მიზანზე. საპროექტო კონსულტანტმა, პილარ პასტორმა ისაუბრა პროექტზე და მის ტექნიკურ კომპონენტებზე, რის შემდეგაც პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე უფრო დეტალურად ისაუბრა ემი სექსტონმა.

განხილული საკითხების შეჯამება:

- (i) ახალი გზის ხელმისაწვდომობა სოფ. წკერეს მოსახლეობისთვის;
- (ii) მიწის ლეგალიზაცია;
- (iii) გზის მშენებლობის დროს შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება;
- (iv) წყლის რესურსები და სამოვრები;

მონაწილეებმა მონიშნეს მათ მიერ გამოყენებული სამოვრები და ტყეები, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ადგილები. მათ ასევე იმსჯელეს ისეთ სერვისების ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; წყლის და გაზის მიწოდების სისტემებზე და მშენებლობის პროცესში აღნიშნული სერვისების უსაფრთხოებაზე; ტურისტულ ზონებზე და საგზაო უსაფრთხოების განათლებაზე სკოლებში. მონაწილეების უმთავრესი საზრუნავი არის არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა მიწის რეგისტრაცია, კომპენსაცია და გზის პროექტის შეცვლით ზემოქმედების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ქვემოთ მოცემულია მონაწილეების მიერ დასმული კითხვები / გამოთქმული მოსაზრებები და არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები:

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	მშენებლობის დროს დაცული იქნება შენობების უსაფრთხოება სოფ. წკერეში?	დიახ. მშენებლობის დაწყებამდე მოხდება თქვენი სახლების მდგომარეობის შეფასება და აღრიცხვა. მშენებლობით გამოწვეული ნებისმიერი დაზიანება კომპენსირდება პროექტისთვის შემუშავებული საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცის, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების, და ADB-ის შესრულების მოთხოვნების შესაბამისად.
2	ჩვენ პრობლემები გვაქვს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. როგორ მოხდება კომპენსაციის გადახდა იმ შემთხვევაში თუ ვერ მოვახერხებთ მიწის რეგისტრაციას?	არა-ლეგალიზებადი მიწის მფლობელები მიიღებენ ყველა იმ კომპენსაციას რაც მიწასთან არ იქნება კავშირში. ნებისმიერი რამ, რაც მიწაზეა, მაგალიტად, თქვენს მიერ დარგული ხეხილი, კულტურები და ა.შ. კომპენსირდება ჩანაცვლების ღირებულებით.

3	როგორია გზის პარამეტრები? რამდენია გზის სიგანე?	ეს იქნება ორ-ხაზიანი გზა საერთო სიგანით 11 მ.
4	როგორ იქნება უზრუნველყოფილი ახალი გზის ხელმისაწვდომობა სოფ. წკერეს და სოფ. მულურის მოსახლეობისთვის? ზამთრის პერიოდში ისინი ვერ შეძლებენ ამ 3 კმ-იანი მისასვლელი ახალი გზით სარგებლობას.	ჩვენ ვერ ავაშენებთ მისასვლელ გზას ხიდთან და გვირაბთან ახლოს გზის უსაფრთხოების გამო. ერთადერთი ადგილი საიდანაც შესაძლოა უზრუნველყოთ გზის ხელმისაწვდომობა არის ფერმასთან ახლოს მდებარე ტერიტორია. ასევე იგეგმება თქვენი არსებული გზის რეაბილიტაციაც. ზამთრის პერიოდში გზის თოვლისგან გასაწმენდად ადგილობრივ ხელისუფლებას უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება.
5	რა იგეგმება არსებულ გზასთან დაკავშირებით?	გზა გაუმჯობესდება და გამარტივდება სოფლების ხელმისაწვდომობა და გზის თოვლისგან გაწმენდა.
6	გზის მშენებლობის შემდეგ უსაფრთხო იქნება საქონლის დატოვება სამოვრებზე? პირუტყვის უსაფრთხოების მიზნით მოეწყობა თუ არა ღობეები?	დიახ. პროექტით გათვალისწინებულია ღობეების მოწყობა გზის გადაკვეთის დროს ცხოველების უსაფრთხოებისთვის.
7	გზის ეს საპროექტო მარშრუტი საბოლოოა?	დიახ. მხოლოდ გარკვეული დეტალები დაემატება, როგორცაა მისასვლელი გზები.

დამსწრეთა სია

სადს ხეობა. 30.01.2018

PARTICIPANT LIST						
NAME-SURNAME სახელი-გვარი	AGE ასაკი	SEX სქესი	BIRTH PLACE დაბადების ადგილი	PLACE OF RESIDENCE სახიზრებელი ადგილი	OCCUPATION დასაწყება	RELATION TO THE HOUSEHOLD HEAD მთავარი კაცის/ოჯახის უფროსთან (მამა, მამული, შვილი)
1. მასიძე ზორბე	43	კაცი	ბსუჩხ	ბსუჩხ	ეზრტყავი	შვილი
2. მჭედე ვაჟაძე	42	სქალი	მჭედე	მჭედე	ეზრტყავი	შვილი
3. მასიძე ვაჟაძე	61	კაცი	მჭედე	მჭედე	ეზრტყავი	მამული
4. მასიძე ვაჟაძე	63	სქალი	მჭედე	მჭედე	ეზრტყავი	შვილი
5. მასიძე ვაჟაძე	43	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
6. მასიძე ვაჟაძე	36	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
7. მასიძე ვაჟაძე	51	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
8. მასიძე ვაჟაძე	62	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
9. მასიძე ვაჟაძე	29	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
10. მასიძე ვაჟაძე	53	სქალი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
11. მასიძე ვაჟაძე	22	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
12. მასიძე ვაჟაძე	15	სქალი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
13. მასიძე ვაჟაძე	40	სქალი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
14. მასიძე ვაჟაძე	50	კაცი	ბენიანი	ბენიანი	ეზრტყავი	შვილი
15. მასიძე ვაჟაძე						

695-

PARTICIPANT LIST						
NAME-SURNAME նախնա-զգան	AGE տարի	SEX կրթի	BIRTH PLACE գնազգնի ստղու	PLACE OF RESIDENCE նախնազգնի ստղու	OCCUPATION գնազգն	RELATION TO THE HOUSEHOLD HEAD Տնայտնի կրթի ողջուն սղուհուն զն, իսկու, իսկու
16. Կարեն Կարենի	41	Չգն	Կարեն	Կարեն	Կրթի	Տնայտնի
17. Կարեն Կարենի	19	Չգն	Կարեն	Կարեն	Կրթի	Տնայտնի
18. Կարեն Կարենի	19	Չգն	Կարեն	Կարեն	Կրթի	Տնայտնի
19. Կարեն Կարենի	14	Չգն	Կարեն	Կարեն	Կրթի	Տնայտնի
20. Կ. Կարենի	80	Չգն	Կարեն	Կարեն	Կրթի	Տնայտնի
21.						
22.						
23.						
24.						
25.						
26.						
27.						
28.						
29.						
30.						

FGD-ების ფოტომასალა



FGD სოფ. კობის და ალმასიანის მოსახლეობასთან (ლოტი1)

თარიღი: 30 აგვისტო, 2018
ადგილი: სოფ. ალმასიანი (ადმინისტრაციული შენობა)
მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
ფასილიტატორი (ებ) ი: არჩილ ჯორბენაძე (ADB პროექტის კოორდინატორი), ემი სექსტონი (EBRD- ის კონსულტანტი) და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და კობის თემში ყაზბეგის მერის წარმომადგენელი
დამსწრეები: 8 ადამიანი სოფ. კობიდან და ალმასიანიდან
სქესი: 3 ქალი და 5 კაცი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა შპს გამა კონსალტინგის წარმომადგენელმა, ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ფასილიტატორები და დეტალურად ისაუბრა შეხვედრის მიზანზე. საპროექტო კონსულტანტმა, პილარ პასტორმა ისაუბრა პროექტზე და მის ტექნიკურ კომპონენტებზე, რის შემდეგაც პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე უფრო დეტალურად ისაუბრა ემი სექსტონმა.

განხილული საკითხების შეჯამება:

- (i) ფუჭი ქანების სანაყარო;
- (ii) სოფ. კობში ჯვარი;
- (iii) დაღუპული ჯარისკაცის მემორიალი სოფ. კობში;
- (iv) გაზის მილსადენი;
- (v) წყლის რესურსები და საძოვრები;

მონაწილეებმა მონიშნეს მათ მიერ გამოყენებული საძოვრები და ტყეები, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ადგილები. მათ ასევე იმსჯელეს ისეთ სერვისების ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; წყლის და გაზის მიწოდების სისტემებზე და მშენებლობის პროცესში აღნიშნული სერვისების უსაფრთხოებაზე; აღნიშნულ ტერიტორიაზე ზემოქმედების ქვეშ მოექცევა მხოლოდ ერთი ადამიანი და შესაბამისად, მონაწილეები დაინტერესებული იყვნენ უფრო დროებითი ზემოქმედებით, როგორცაა ფუჭი ქანების სანაყარო და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მონუმენტების და ნაგებობების გადაადგილებით. ქვემოთ მოცემულია მონაწილეების მიერ დასმული კითხვები / გამოთქმული მოსაზრებები და არანებაყოფლობით განსახლებაასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები:

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	ჩვენ მხოლოდ ერთ პრობლემაზე გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ: პირველ რიგში, გვსურს დავრწმუნდეთ იმაში, რომ არავინ არ შეეხება ჯვარს და მეორე, თუ თქვენ აპირებთ გაზის მილსადენის გადატანას, არ გადაიტანოთ ის მდინარის მოპირდაპირე მხარეს. თუ ამას გავაკეთებთ, ჩვენ იქ ვერაფრის ამენებას ვეღარ შევძლებთ.	ჯვარზე არანაირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გაზის მილსადენის ადგილმდებარეობის ცვლილება არ იგეგმება. შესაძლოა მხოლოდ მცირე ცვლილებები, თუმცა ჩვენ არ გავცდებით არსებულ საზღვრებს.
2	როდის დაიწყება სამშენებლო სამუშაოები?	ჩვენ ვიმედოვნებთ რომ სამუშაოები დაიწყება 2019 წლის გვიან გაზაფხულზე.
3	უკვე გადაწყდა სად მოეწობა ფუჭი ქანების სანაყარო?	ჯერ არა. ამ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებთ და მივმართავთ გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილის შესათანხმებლად.
4	ჩვენ გთხოვთ რომ მაქსიმალურად აირიდოთ თავიდან წმინდა ჯვარზე ზემოქმედება, მაგრამ	იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება მემორიალის დროებითი ან მუდმივი გადატანა,

<p>რაც შეეხება მემორიალს, მე, როგორც დაღუპული ჯარისკაცის, რომელსაც ეკუთვნის მემორიალი, ოჯახის წევრს არ მაქვს პრობლემა მემორიალის დროებით გადატანასთან დაკავშირებით, ან მის პარკში გადატანასთან დაკავშირებით, სადაც უკვე არის მეორე ჯარისკაცის მემორიალი.</p>	<p>აუცილებლად გავივლით კონსულტაციას თქვენთან და მხოლოდ თქვენთან შეთანხმებით მივიღებთ გადაწყვეტილებას.</p>
--	---

მონაწილეთა ჩამონათვალი

კობი 31.08.2018

PARTICIPANT LIST						
NAME-SURNAME სახელი-გვარი	AGE ასაკი	SEX სქესი	BIRTH PLACE დაბადების ადგილი	PLACE OF RESIDENCE სახორცილელი ადგილი	OCCUPATION დასაწყობა	RELATION TO THE HOUSEHOLD HEAD ნათესაური კავშირი თავის უფროსთან (მე, მკვლედი, მკვლად)
1. ჩქიტიანი გივი	54	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. გ. ალბანი	მ.პ.ს. "კარბილი" მუშაობდა	მეუღლე და ძალი
2. ილია ჩუკუაძე	50	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. გ. ალბანი	ყაზბეგის საბრძოლო	
3. კობია კვიციანი	60	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. ალბანი	საშენობელი	
4. ვაი ბერიძე	60	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. ალბანი	სახორციელი	
5. ჯორჯი ვიციანი	65	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. ალბანი	სახორციელი	
6. მკვლედი ვიციანი	70	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. ალბანი	სახორციელი	
7. ვახტანგ ვიციანი	45	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. ალბანი	საბ. სამ. მ.პ.ს. ალბანი	
8. ვიციანი ვიციანი	56	მამაკაცი	ყაზბეგი	ს. გ. ალბანი	მ.პ.ს. მუშაობდა	
9.						
10.						
11.						
12.						
13.						
14.						
15.						

FGD-ის ფოტომასალა





კონსულტაციები სოფ. წკერეს მოსახლეობასთან (ლოტი 1)

თარიღი: 14 სექტემბერი, 2018
 დრო: 12:00 – 13:00
 ადგილი: სოფ. წკერე
 მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
 ფასილიტატორი (ებ) ი: დრაგიკა ვესელინოვიჩი, ADB-ის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
 სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და კობის თემში ყაზბეგის მერის წარმომადგენელი
 დამსწრეები: 4 ადამიანი სოფ. წკერედან
 სქესი: 3 ქალი და 1 კაცი

მიმოხილვა

სოფ. წკერეში სულ რამდენიმე სახლია და კიდევ უფრო ნაკლები მოსახლე. აღნიშნული სოფელი მდებარეობს 9 კმ-იანი გვირაბის შესასვლელ პორტალთან. მოსახლეობასთან დისკუსია გაიმართა დევნილის სახლის გარეთ. სამიდან ორი ქალი მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში. სოფლის დანარჩენი მოსახლეობა აქ მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის. ყველა მათგანი დადებითად აფასებს პროექტს და იმედოვნებს რომ გზა ნამდვილად აშენდება. მარტოხელა ქალბატონმა, რომელიც ამ სოფლის უხუცესი მაცხოვრებელია, თქვა რომ უკვე 60 წელია პირდებიან ამ გზის აშენებას და აღარც კი ჯერა რომ ის ნამდვილად აშენდება. ქალების თქმით ისინი მოხარულებიც კი იქნებოდნენ მათი მიწების შესყიდვით, რის შემდეგაც ისინი შეძლებდნენ უკეთესი საცხოვრებელი ადგილის ყიდვას, სადაც ცხოვრება უფრო მარტივია.

ერთ-ერთი ქალის მეუღლე სათხილამურო სეზონის პერიოდში მუშაობს გუდაურში. ორმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მათ მგლების ეშინიათ და რომ მარტო ყოფნა და სამყაროსგან მოწყვეტილი ყოფნა თითქმის 7 თვის განმავლობაში ძალზედ რთულია. მათ მოეწონებადოათ აქ ცხოვრება, თუ გარშემო მათ გარდა ბევრი ადამიანი იცხოვრებს. მათ დიდი იმედი აქვთ, რომ გზის აშენების მერე უფრო მეტი ადამიანი იცხოვრებს სოფელში. ზამთრის პერიოდში ძალიან დიდი თოვლი იცის და მოთხილამურეები ხშირად მათ სახურავებს ახტებიან.

ცოტა ხნის შემდეგ, საუბარს შემოუერთდა ლტოლვილი კაცი, ტარიელ ზახაიძე. მას ადარდებდა შესყიდული მიწის კალკულაციის საკითხი. მას აქვს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 1,370 მ2 რეგისტრირებული მიწა და 700 მ2 არარეგისტრირებული მიწა, რომელსაც ის იყენებს რაც თავი ახსოვს მას მერე. ის ეცადა მიწის დაკანონებას, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მისი დოკუმენტაცია არასრულია; თუმცა, ვერავინ უთხრა თუ რა დოკუმენტაცია აკლია.

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	ქალბატონი, ამ სოფლის უხუცესი მოსახლე: თქვა რომ უკვე 60 წელია პირდებიან ამ გზის აშენებას და აღარც კი ჯერა რომ ის ნამდვილად აშენდება. ქალების თქმით ისინი მოხარულებიც კი იქნებოდნენ მათი მიწების შესყიდვით, რის შემდეგაც ისინი შეძლებდნენ უკეთესი	მოხარულები ვართ, რომ თქვენ მხარს უჭერთ პროექტს. ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად ნამდვილად აშენდება გზა.

	საცხოვრებელი ადგილის ყიდვას, სადაც ცხოვრება უფრო მარტივია.	
2	ორი ქალბატონი: მათ აღნიშნეს, რომ ეშინიათ მგლების და რომ მარტო ყოფნა და თითქმის შვიდი თვე წელიწადში დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტილი ყოფნა ძალიან რთულია. ისინი სიამოვნებით იცხოვრებდნენ აქ სხვა ადამიანებთან ერთად და იმედოვნებენ რომ სწორედ ასეც იქნება გზის მშენებლობის შემდეგ. ზამთრის პერიოდში ძალიან დიდი თოვლი იცის და მოთხილამურეები ხშირად მათი სახლების სახურავებზე გადადიან.	
3	ერთადერთი კაცი: მისი უმთავრესი პრობლემა შესასყიდი მიწის გაანგარიშებაა. მას აქვს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული რეგისტრირებული 1,370 მ2 მიწის ფართობი და არარეგისტრირებული 700 მ2 მიწის ფართობი, რომელსაც ის იყენებს რაც თავი ახსოვს მას მერე. ის ეცადა მიწის დაკანონებას, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მისი დოკუმენტაცია არასრულია; თუმცა, ვერავინ უთხრა თუ რა დოკუმენტაცია აკლია.	გამა კონსალტინგი გაარკვევს რა დოკუმენტაცია არის საჭირო თქვენს შემთხვევაში. თქვენ გაქვთ ელენეს საკონტაქტო ტელეფონი და მას თქვენთვის ინფორმაცია ექნება ორშაბათს.





შემაჯამებელი ინფორმაცია

ეს იყო პატარა ჯგუფის დისკუსია სოფ. წკერეს სამ მუდმივ და 1 არამუდმივ მოსახლესთან. მონაწილეთა თქმით ისინი მოახარული იქნებიან გზის და გვირაბის პროექტის განხორციელებით, რადგან ეს დაეხმარება მათ ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან კომუნიკაციაში და მათი ცხოვრება ნაკლებ იზოლირებული იქნება ზამთრის პერიოდში.

მონაწილეთა ჩამონათვალი არ არის ხელმისაწვდომი

სოფ. ბენიანის და სოფ. ბეგონის მოსახლეობასთან კონსულტაცია (ლოტი 2)

თარიღი: 14 სექტემბერი, 2018

დრო: 14:00 – 16:00

ადგილი: სოფ. ბენიანი და სოფ. ბეგონი (ლოტი 2)

მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია

ფასილიტატორი (ებ) ი: დრაგიკა ვესელინოვიჩი, ADB-ის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი

სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და კობის თემში ყაზბეგის მერის წარმომადგენელი

დამსწრეები: 10 ადამიანი სოფ. ბენიანი და სოფ. ბეგონიდან

სქესი: 4 ქალი და 6 კაცი

მიმოხილვა

აღნიშნულ სოფლებში ცხოვრობს 10 შინამეურნეობა; თუმცა, ზამთრის პერიოდში ქალები მიდიან სოფ. ქვეშეთში ან გუდაურში, საიდანაც ბავშვების სკოლაში ტარება გაცილებით მარტივია და ასევე ხელმისაწვდომია სამედიცინო და სხვა საჭირო დაწესებულებები. სოფლის მოსახლე კაცების უმეტესობა მუშაობს გუდაურის სათხილამურო კურორტზე. მხოლოდ რამდენიმე რჩება სოფელში პირუტყვის მოსავლელად. ზამთრის პერიოდში, სოფლის მოსახლეობა პერიოდულად სტუმრობენ საკუთარ სახლებს. მათ უწევთ 9 კმ გზის ფეხით გავლა ძირითადი გზიდან სოფლამდე.

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	გზა გადის ჩემი მიწის შუაში. ვკარგავ ხელმისაწვდომობას მიწის სხვა ნაწილებთან. მე მინდა იმ მიწის გამოყენება, როგორ უზრუნველყოფთ მიწის დანარჩენ ნაწილებთან ხელმისაწვდომობას?	ჩვენ უნდა გადავამოწმოთ, თუ რამდენად ითვალისწინებს პროექტი ამ ადგილას შემოვლითი გზის მოწყობას. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევიძინოთ დარჩენილი მიწაც.
2	პრობლემა მაქვს მიწის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. არქივის გარკვეული ნაწილი დაიწვა და შესაბამისად არ არსებობს დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მიწა ჩვენ გვეკუთვნის. ხოლო ისინი, ვისაც აქვთ დოკუმენტაცია ცდილობენ დაამტკიცონ რომ ჩვენი მიწა მათ ეკუთვნის.	იციტ თუ არა იმისა შესახებ, რომ შეგიძლიათ მიწის ლეგალიზაცია იმ შემთხვევაში თუ მეზობლებიც დაადასტურებენ რომ მიწა თქვენ ეკუთვნის? თქვენს პრობლემას განსახილველად გადავცემთ სამინისტროს და გზების დეპარტამენტს.
3	უკვე 1 წელია ვცდილობ მიწის დარეგისტრირებას. ხელისუფლების წარმომადგენლები ითხოვენ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც იციან რომ ვერ წარმოვადგენთ.	თქვენს პრობლემას განსახილველად გადავცემთ გზების დეპარტამენტს.
4	ჩვენი წინაპრები თავიანთი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ამ მიწას. ამიტომაც არ გვინდა მისი გაყიდვა. ჩვენთვის ამ მიწას სხვა დატვირთვა აქვს. თუ ჩვენს მტავრობას სურს მისი მირება, ჩვენ უნდა მივიღოთ საკმარისი კომპენსაცია, ისე რომ შევძლოთ სხვა შესაბამისი მიწის შესყიდვა სადაც შევძლებთ ჩვენი შვილების გაზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერაფერს დავუტოვებთ მომავალ თაობას.	
5	ჩვენ შემოსავალი თივის გაყიდვიდან გვაქვს. მე ვვლობ სამ ნაკვეთს საერთო ფართობით 6,000 მ2. გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ ექცევა ჩემი მიწის 3,000 მ2 ფართობი, რაც იმას ნიშნავს რომ ჩემი შემოსავალი სამუდამოდ ნახევრდება.	თქვენი დანაკარგი კომპენსირებული იქნება.
6	ხელისუფლება არ არეგისტრირებს აქ ახალ მიწებს, რადგან ეს არის რეკრეაციული ზონა და რეკრეაციული ზონაში მდებარე მიწა გაცილებით ძვირი ღირს. იმ შემთხვევაში, ტუ ხელისუფლება დაარეგისტრირებს ჩვენ მიწებს, მაშინ მათ მოუწევთ	ჩვენ ჩავიწერთ თქვენს შენიშვნას და განსახილველად გადავცემთ გზების დეპარტამენტს.

	უფრო მეტის გადახდა. ამიტომაც მთავრობას არ სურს ჩვენი მიწების რეგისტრაცია.	
7	ახალგაზრდა ქალი: ცუდად ვარ სუფთა ჰაერისგან. მე მჭირდება გზა, იმისათვის რომ შევძლო აქ ცხოვრება.	
8	ახალგაზრდა კაცი: მე გუდაურში ვმუშაობ. მანქანა მყავს, მაგრამ არ მაქვს გზა.	




სოფ. ბენიანის და სოფ. ბეგონის კონსულტაციებში მონაწილეები

შემაჯამებელი ინფორმაცია

განხილულ იქნა ისეთი საკიტხები, როგორც კომპენსაციაზე უფლებამოსილება, მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები, ახალი გზის პროექტის უარყოფითი და დადებითი მხარები. შეხვედრის ფარგლებში განხორციელდა შესასყიდი მიწის ვიზიტი.

მონაწილეთა ჩამონათვალი:



სოფ. ქვეშეთის მოსახლეობასთან ვიზიტი (ლოტი 2)

თარიღი: 15 სექტემბერი, 2018

დრო: 11:00 – 14:00

ადგილი: სოფ. ქვეშეთი

მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია

ფასილიტატორი (ებ) ი: დრაგიკა ვესელინოვიჩი, ADB-ის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი

სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და კობის თემში ყაზბეგის მერის წარმომადგენელი

დამსწრეები: 25 ადამიანი სოფ. ქვეშეთიდან

სქესი: 5 ქალი და 20 კაცი

მიმოხილვა

სოფელ ქვეშეთში მცხოვრები დევნილები მიწვეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ოფისში სოციალურ-ეკონომიკური კვლევის (SES) მიზნით. დაახლოებით 25-30 ადამიანმა შეავსო კითხვარი. აქვე გაიმართა არაფორმალური დისკუსიები. აქ მყოფი ყველა მოსახლე ინფორმირებული იყო RD-ის მიერ 26-27 სექტემბერს დაგეგმილი კონსულტაციის შესახებ, რომლის დროსაც განიხილებოდა ქვეშეთის მისასვლელი გზის პროექტში შეტანილი ცვლილებები. AP-ების მიერ გამოთქმული აზრები და წინადადებები მოცელია ქვემოთ ცხრილში.

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	ამბობთ, რომ ჩვენს მოსასმენად მოხვედით? მაშინ მოგვისმინეთ, ჩვენ თქვენთვის ბევრი რამ გვაქვს სათქმელი.	ჩვენ აქ ვართ, იმისათვის რომ თქვენ მოგვისმინოთ. ჩვენ აქ დავრჩებით მანამ სანამ არ გავივლით ყველა საკითხს თქვენთან ერთად.
2	ანგარიშებში წაკითხული და მოსმენილი ისტორიები არ არის სინამდვილეში ჩვენი ისტორიები. ტქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ მივიღებთ კომპენსაციას ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწების და აქტივების სანაცვლოდ. უბრალოდ გვითხარით, სად შეიძლება აქ ვიყიდოთ მიწა, რომელზეც ავაშენებთ სახლებს? აქ არსად იყიდება მიწა. ჩვენ ვერც კი ვარეგისტრირებთ ჩვენ საკუთარ მიწას. არ გვინდა ამ სოფლიდან წასვლა.	
3	ჩვენ არ გვჭირდება უფრო მეტი ფული. ჩვენ გვინდა ჩვენ სახლებში და ჩვენ მიწაზე ცხოვრება.	
4	ჩვენ მოვამზადეთ გზის ტექნიკური ალტერნატივა მდინარის მეორე ნაპირზე მშენებლობის. სამინისტრომ არც კი გადახედა. ვიცით, რომ გარკვეულ ადგილებში ნიადაგი არ არის მშენებლობისთვის შესაფერისი და როგორც გვითხრეს აღნიშნული ალტერნატივა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გვითხარით, რამდენი ღირს ჩვენი სიცოცხლე?	რამდენადა ვიცი, ეს ალტერნატივა სამინისტროს მიერ განხილული 9 ალტერნატივიდან ერთერთია. ინჟინრების მტკიცებით გზის ამ ნაწილის განხილვა ტექნიკურად შეუძლებელია. როგორც ვიცი, თქვენც ფლობთ ამ ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პრობლემას კვლავ განვიხილავთ გზების დეპარტამენტთან.
5	არავინ ფიქრობს და ზრუნავს ჩვენზე. ჩვენ არ გვჭირდება ეს გზა. უბრალოდ დაგვანებეთ თავი. არსებული გზა საკამარისია და დაგტოვეთ, თუ არ აპირებთ ჩვენი წინადადების განხილვას.	
6	დაგვდალეთ. ყოველ ჯერზე მოდიან ახალი ადამიანები და გვისვავენ ერთიდაიგივე კითხვებს და მიდიან, ამასობაში არაფერი იცვლება. დავირალებთ და ჩვენ არ გვინდა ჩვენი მიწების დასახლების გაყიდვა.	ვწუხვარ ამას რომ ვისმენ. ჩვენ კიდევ ბევრი სვადასხვა კვლევა უნდა ჩავატაროთ - ტექნიკური, გეოლოგიური, გარემოსდაცვითი, სოციალური, გენდერული და ა.შ. ამიტომ გვიწევს მუდმივად თქვენთან საუბარი, თქვენი

		ინფორმირება და თქვენი მოსაზრებების და შენიშვნების მოსმენა.
7	ჩვენ აქ ჩვენისამოთხე გვაქვს, რომელსაც ტქვენ გვვინადგურებთ. ახალი გზა გამოიწვევს ჰაერის დაბინძურებას, ხმაურს, ბზარებს ჩვენი სახლების კედლებზე, ჩვენ აღარ გვექნება ეზოები, მდინარის ხედი, ჩვენ იმდენი მიწაც კი აღარ დაგვრჩება სახლის გარეთ, რომ ფეხსაცმელები დავალაგოთ. რაში მჭირდება სახლი, ტუ დავკარგავ ეზოს, სიმშვიდეს და მდინარის ხედს?	იმ შემთხვევაში თუ ვეღარ შეძლებთ სახლში ცხოვრებას, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ სახლის შესყიდვაც.
8	ჩვენ ვაქირავებთ ოთახებს და ეზოებს ტურისტებზე, რომლებიც კარვებით მოდიან. ისინი სახლდებიან მდინარის ნაპირზე ჩვენი ხეების ქვეშ და უსმენენ მდინარის ხმაურს. ეს ჩვენი შემოსავალია. გზის აშენებით ჩვენ გვანადგურებთ. ჩვენ არ ვართ გზის წინააღმდეგი, ჩვენ წინააღმდეგი ვართ გზის მშენებლობის ჩვენი ფანჯრების ქვეშ და კარების წინ. გთხოვთ, დატოვეთ მდინარე ჩვენ მხარეს და ააშენეთ გზა მდინარის მეორე მხარეს.	უკვე აგისხენით, რომ მდინარის მეორე ნაპირზე გზის მშენებლობის ვარიანტი უკვე განვიხილეთ და როგორც დადგინდა ეს ტექნიკურად შეუძლებელია. მდინარის მეორე ნაპირზე ნიადაგი შეუფერებელია გზის მშენებლობისთვის.
9	ჩემი სახლი 150 წელზე მეტის არის და ეს 70 წლის. მშენებლობის დროს ეს სახლები ვერ გაუძლებს ვიბრაციას. რაში გვჭირდება თქვენი ფული თუ მოვკვდებით?	ადამიანების უსაფრთხოება უმთავრესი საზრუნავია. თუ ეს ერთადერთი საკითხია, რომელიც გაშფოთებთ, მაშინ გარწმუნებთ რომ გზის ეს ნაწილი ვიბრაციის გარეშე აშენდება, ისე რომ დაცული იქნება სახლების და ადამიანების უსაფრთხოების ყველა ნორმა. მშენებლობის დაწყებამდე შეფასდება თქვენი სახლების მდგომარეობა. ნებისმიერი ბზარი აღირიცხება. მირბულ იქნება შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა ვიბრაციის გარეშე მშენებლობა, შერემონტება მშენებლობის დაწყებამდე, სრული შესყიდვა საჭიროების შემტხვევაში, ან ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელსაც ინჟინრები საჭიროდ მიიჩნევენ. შემარბილებელი ღონისძიებები დამოკიდებულია თქვენი სახლის მდგომარეობაზე.
10	ჩვენი წინაპრები, დიდი ბაბუები ცხოვრობდნენ ამ ძველ სახლებში. ვერანაირი ჩანაცვლებითი ღირებულება ვერ მოახდენს ამის კომპენსაციას. არ არსებობს სახლი, რომელიც მიღირს ამის სანაცვლოდ.	
11	ჩვენი სიცოცხლე შეწყდა, უმეტესობა ჩვენგანი ამას ვერ გადაიტანს. ჩვენ ვცხოვრობდით აქ, ჩვენ მოვკვდებით აქ.	
12	თუ თქვენ და ADB-ი ნამდვილად ზრუნავთ ჩვენზე, მაშინ მოგვისმინეთ და დაგვეხმარეთ. ჩვენ არ ვართ გზის წინააღმდეგი, უბრალოდ ნუ გაიყვანთ გზას ჩვენი ფანჯრების ქვეშ.	თქვენი წუხილის შესახებ ვაცნობებთ გზების დეპარტამენტს და საპროექტო კომპანიას. სისინი კვალვ განახორციელებენ საპროექტო ტერიტორიის ვიზიტს და ნახავენ რამდენად შესაძლებელია ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმინზაცია.
13	დაგვღალეთ თქვენი ლაპარაკიტ. არავინ ზრუნავს ჩვენზე და ჩვენი სიტყვები არ გაღელვებთ. არ გვჭირდება თქვენი კომპენსაცია.	ვწუხვარ ამას რომ ვისმენ. ჩვენ უნდა გესაუბროთ და მოგისმინოთ, და მოგაწოდოტ სრული ინფორმაცია პროექტის შესახებ.
14	გთხოვთ, გააკეთეთ ისე რომ სამინისტრომ განიხილოს ჩვენი წინადადება. ჩვენ არ ვართ სულელელები, რომ დაგვკმაყოფილდეთ მათ მარტივ პასუხებს, როგორცაა - მდინარის მეორე ნაპირზე გზის მშენებლობა შეუძლებელია გეოლოგიური პირობების გამო. ჩვენ უფრო მეტი ვიცით. უცხოელმა პროექტანტებმა არ იციან ჩვენ შესახებ არაფერი და არც ჩვენი ცხოვრება ადარდებთ. რატომ არის ტქვენი პროექტანტი გასაიდუმლოებული? მე ეს რუკები ჩემმა მეგობარმა მომცა. თქვენს მიერ ნაჩვენებ რუკებზე ჩვენ და ჩვენი სახლები არ ვარსებობთ.	თქვენი მთავრობამ და საპროექტო კომპანიამ განიხილა 9 სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტილება ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის ადამიანებზე და მათ ქონებაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმინზაციის თვალსაზრისით. ისინი ხელმძღვანელობდნენ ყველაზე ბოლო ვერსიით, სადაც გათვალისწინებული იყო

		ყველა ეს ფაქტორი. შემდეგი კონსულტაციისთვის, RD-ი წარმოგიდგენთ ბოლო ვერსიას და თქვენ მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას. ჩვენ განვიხილავთ ყველა შესაძლო ცვლილებას პროექტში და ზემოქმედების ტავიდან არიდების ან მინიმიზაციის ყველა შესაძლებლობას.
15	ჩვენმა მთავრობამ შეწყვიტა ლეგალიზებადი მიწის ლეგალიზება, რადგან გზის მსენებლობის შემდეგ მიწის ფასი საკმაოდ გაიზარდება. ისინი წავგვართმევენ მიწას ახლა და გაყიდვიდან მერე უფრო ძვირად ტურიზმის განვითარების მიზნით. ეს ხომ უსამართლობაა, ეს ფაქტიურად ჩვენი მოკვლის ტოლფასია.	RD-ი არ შეისყიდის იმაზე მეტ მიწას ვიდრე ეს გზის მშენებლობისთვის არის საჭირო.
16	თქვენ უნდა ნახოთ ჩვენი სახლები და თქვენი თვალთ ნახოთ სადა აპირებენ ისინი გზის მშენებლობას.	AP-ების თქვონით ჩვენ უკვე მოვინახულეთ სამი ადგილი.

		
სოფ. ქვეშეთის მოსახლეობასთან კონსულტაცია	სოფ. ქვეშეთის მოსახლე	მოსახლის სახლის წინა ეზო, სადაც უნდა აშენდეს გზა
		
მდინარის პირას ეზო, რომლის შესყიდვაც აუცილებელია გზის მშენებლობისთვის	სოფ. ქვეშეთის გაბრაზებული მოსახლეობა	სოფ. ქვეშეთის უძველესი სახლი

შემაჯამებელი ინფორმაცია

მონაწილეები საკმაოდ უარყოფითად არიან განწყობილი პროექტის მიმართ. ზოგიერთმა მათგანმა თქვა რომ ისინი ინფორმირებულნი არიან ყველა საჭირო ინფორმაციით, ზოგიერთი მათგანი კი არ არის ინფორმირებული. სულ მცირე ორ DP-ი ძალიან გაბრაზებულია საპროექტო გადაწყვეტილებით, რადგან მიიჩნევენ რომ მათი აზრი სრულიად უგულვებელყოფილია. პროექტის მხარდაჭერთა უმეტესობამ აზრი ვერ გამოთქვა და დისკუსიის დრო დომინირებდა ძირითადად უარყოფითი შეფასებები.

მონაწილეთა სია არ არის ხელმისაწვდომი

სოფ. ზაქათკარის მოსახლეობასთან კონსულტაციები (ლოტი 2)

თარიღი: 15 სექტემბერი, 2018
დრო: 16:00 – 18:00
ადგილი: სოფ. ზაქათკარი
მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაცია
ფასილიტატორი (ებ) ი: დრაგიკა ვესელინოვიჩი, ADB-ის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
სხვა მონაწილეები: პილარ პასტორი (IDOM); სოფო გიგაური (გამა) და კობის თემში ყაზბეგის მერის წარმომადგენელი
დამსწრები: 6 ადამიანი სოფ. ქვეშეთიდან
სქესი: 2 ქალი და 4 კაცი

მიმოხილვა

სოფ. ზაქათკარში კონსულტაციას დაესწრო 6 ადამიანი, კონსულტაცია ჩატარდა გზის პირას. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეთა მიერ SES-ის კითხვარის შევსება. ეს ასევე იყო ინფორმაციის გაზიარების და პროექტთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაგების შესაძლებლობა.

No	კითხვები / შენიშვნები	ფასილიტატორების პასუხები
1	ასაკოვანმა ქალმა, რომლის მიწაც ნაწილობრივ ექცევა ზემოქმედების ქვეშ, აღნიშნა, რომ თუ მისი სახლი მოექცევა ზემოქმედების ქვეშ, ის არ დატოვებს სახლს და რომ ის მოხუცია და მოკვდება საკუთარ სახლში.	ჩვენს მას ავუხსენით, რომ მისი სახლი არ მოექცევა ზემოქმედების ქვეშ. ჩვენ მოვინახულეთ მისი სახლი და ვჩვენეთ მას გზის საძვრები, რომელიც სულ მცირე 50-70 მ-ის დაშორებით არის მისი სახლიდან.
2	ერთ-ერთმა ლტოლვილმა აღნიშნა რომ გზა კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს ეგრეთ წოდებულ ტურისტებს, რომლებიც დასახლებიან მათ მიწებზე და აღარ წავლენ მათი ქვეყნიდან. მას არ უნდა რომ ასე მოხდეს.	
3	ოფლის მაცხოვრებელი: მან დაჟინებით მოითხოვა რომ მოგვენახულებინა მისი სახლი, რომელიც 120 წელზე მეტი ხნისაა. გზა დაახლოებით 30 მ-ში გაივლის მისი სახლიდან. ის შიშობს რომ მშენებლობის დროს სახლი დაინგრევა. მან ასევე აღნიშნა რომ არავინ მივიდა მისი სახლის სანახავდ, რომ დაერწმუნებინათ ის რომ მისი სახლის უსაფრთხოება დაცული იქნება.	ბტ. ზუქაიძეს შეუძლია გამა კონსალტინგის ოფის ეწვიოს ნებისმიერ დროს და გადახედოს პროექტს. RD- განახორციელებს მეტ კონსულტაციებს.
4	სხვა მონაწილეებმა აღნიშნეს რომ კამყოფილი არიან გზის პროექტით, რადგან მათი სახლების შესყიდვა არ იქნება საჭირო. მათი თქმით გზა გაუმარტივებს მათ ცხოვრებას, სკოლების და სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობას და მისცემს მათ სოფელში მუდმივად დასახლების სტიმულს.	



SES-ის კითხვარების შესავსებად მოსული მოსახლეობა



ზ. ზაქარიძის სახლი, გზიდან დაახლოებით 30 მ-ში



SES-ს კითხვარების შევსება: ინფორმაციის გაზიარება

სოფ. მლეთას მოსახლეობასთან კონსულტაციები

თარიღი: 9 იანვარი, 2019
 ადგილი: ქვემო მლეთა (სკოლის შენობა).
 მიზანი: მოსახლეობასთან კონსულტაციები
 ფასილიტატორი (ებ) ი: მიხეილ უჯმაჯურიძე (სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების განყოფილების უფროსი RDMRD) და ელენე მგალობლიშვილი, გამა კონსალტინგი
 სხვა მონაწილეები: ნინო მწურავიშვილი (სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების განყოფილების უფროსი, RDMRD), არჩილ ჯორბენაძე (ADB პროექტის კოორდინატორი), გიორგი ხოდელი (ADB-ის კონსულტანტი განსახლების საკითხში), მარიკა გენგაშვილი (ADB-ის კომუნიკაციის სპეციალისტი), სოფო გიგაური (გამა კონსალტინგი) და თენგიზი ბედოიძე - დუშეთის წარმომადგენელი და ქვეშეთის თემის მერი.
 დამსწრეები: 27 ადამიანი
 სქესი: 3 ქალი და 24 კაცი

მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა ელენე მგალობლიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ფასილიტატორები და შეხვედრის მიზანი, აღწერა პროექტი და ასევე მოსახლეობას გააცნო უფლებამოსილებათა მატრიცა და საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი.

შეხვედრაზე განხილულ საკითხთა შეჯამება

- (i) მიწის რეგისტრაცია
- (ii) შენობების უსაფრთხოება გზის მშენებლობის პროცესში

შეხვედრაზე განხილულ იქნა მიწის რეგისტრაციის საკითხები, მათ შორის აღიარების კომისიის საქმიანობა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიხეილ უჯმაჯურიძემ დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა, განუმარტა მიწის ლეგალიზაციისა და რეგისტრაციის პროცესი და მონაწილეებს სთხოვა, ინდივიდუალურად დაუკავშირდნენ RD-ს წარმომადგენლებს რეგისტრაციის პროცესში.

შეხვედრის დასაწყისში დამსწრეებს გადაეცათ პროექტის საინფორმაციო ბუკლეტები.

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგი ამინდის გამო ვერ დაესწრო შეხვედრას, ბუკლეტები გადაეცა ქვეშეთის მერის წარმომადგენელს დარჩენილი მოსახლეობისთვის გადასაცემად.

სახელი გვარი	სოფელი	კითხვა	პასუხი
გოჭა ლაგვილავა	ქვეშეთი	ცვლილება თუ არის პროექტში რაიმე და თუ არის დაზუსტებული პროექტი რომ გვაჩვენოთ? სახლებიდან დაშორება რამდენია? ასევე გვანტერებს გადაკვეთები თუ არის დაზუსტებული.	პროექტი არის საბოლოო და აღარ შეიცვლება. ყველაფერი არის უკვე დადგენილი და გაგეგნობათ სათითაოდ. მიიღებთ ამომწურავ პასუხებს.
ზურაბ ბურდული(ვენერა ზაქაიძეს სახელით ისაუბრა)	ზაქატკარი	კომპენსაცია რამდენი იქნება? და როდისთვის?	კომპენსაცია ინდივიდუალურია და ყველას გაგეგნობათ სათითაოდ. როგორც კი ნაკვეთები დარეგისტრირდება გამოსყიდვაც მაშინ მოხდება.

გოჭა ლაგვილავა	ქვეშეთი	ბევრი ნაკვეთია გაუფორმებელი და ბევრიც პროცესშია, გავიგეთ ჭორის დონეზე, რომ დეპარტამენტმა სთხოვა აღიარებით კომისიას, რომ გაწელონ პროცესი, რამდენად სიმართლეა? ასევე გვინტერესებს რეკრეაციულ ზონებზე არქივი არის დამწვარი რაც ჩვენი ბრალი არ არის, შესაბამისად არც დოკუმენტებია, ამ შემთხვევაში რა ხდება?	რაც შეეხება პროცესის გაჭიანურებას, ეს გახლავთ ტყუილი, სინამდვილეში პირიქით არის, ჩვენი მიზანია რაც შეიძლება დაჩქარდეს პროცესი. თუ რაიმე სახის დოკუმენტი არსებობს უნდა აღიარდეს, რაც შეიძლება სწრაფად. რაც შეეხება დოკუმენტების არარსებობას, აღიარებით კომისიაში შემოვიდა რამდენიმე უფრო გაადვილებული კანონი, რაც იმედი გვაქვს რომ უფრო გაადვილებს პროცედურებს. როცა ყველაფერი კანონს ეთანადება პროცესიც უფრო მარტივი ხდება.
ვასილ ბურდული	არახვეთი	საბუთი მაქვს მიღება ჩაბარების და აღიარებითმა კომისიამ მაინც უარი მითხრა გაფორმებაზე და რატომ? საჯარო რეესტრში არის ყველაფერი. ასევე ფასებზე გვინტერესებს და პროექტის მშენებლობის შემდეგ ჩემი სახლი რა მდგომარეობაში იქნება, გზის ქვევით ან ზევით რომ დარჩეს რა მეშველება?	მოგვაწოდეთ თქვენი ინფორმაცია საგზაო დეპარტამენტს, ჩვენ გვყავს სპეციალური სამსახური, რომელსაც წვდომა აქვს საჯარო რეესტრზე ყველაფერს გავარკვევთ და შეგებმიანებით. კომპენსაცია დადგინდება და გაგეცნობათ ინდივიდუალურად. თქვენს სახლთან დაკავშირებული საკითხი საჭიროებს ინდივიდუალურად განხილვას, დამირეკეთ და ერთად გავიაროთ, დაგეხმარებით.
გოჭა ლაგვილავა	ქვეშეთი	კანონი არ იძლევა იმ ყველაფრის საშუალებას რაც ჩვენ გვინდა, რომ გაკეთდეს ნაკვეთებთან მიმართებაში და რა მექანიზმი გაქვთ ამ პრობლემების მოსაგვარებლად? ძალიან გაგვეწელო ყველაფერი და უკვე ყველა ფიქრობს რომ მიზანმიმართულია ეს ყოველივე.	როგორც გავიგეთ ეს ცრუ ინფორმაცია აღიარებითი კომისიის შესახებ, მაშინვე მივიღეთ ზომები. მაშინვე დავრეკე თქვენს მერთან, 1 თვის წინ იყო დაახლოებით ეს ყველაფერი და პრობლემა გარკვეულია, პროცესი მიმდინარეობს. მე ვერ შეგპირდებით რა მოხდება, მაგრამ მზად ვართ ყველანაირად დაგეხმაროთ რითიც შევძლებთ. ყველაფერი უნდა გაანალიზდეს და გადაიდგმება დადებითი ნაბიჯები. ვისაც რა პრობლემა გაქვთ მომწოდეთ ყველანაირი საბუთი, საჯარო რეესტრთან გვაქვს წვდომა, გავარკვევთ ყველაფერს და ჩვენი კანონიერი ჩარევით ვეცდებით განვიხილოთ უარყოფილი პასუხები.
გოჭა ლაგვილავა	ქვეშეთი	თქვენს მიერ მოტანილი ბუკლეტები არის სტანდარტული და უფრო ვრცლად სად ვნახოთ ინფორმაცია?	ბუკლეტებში წერია ძირითადი საკვანძო საკითხები, განსახლების გეგმაში კი უფრო დაწვრილებით გაეცნობით ინფორმაციას, თითოეულ თქვენთაგანს განსახლების სპეციალისტი შეგხვდებათ და განიხილება დაწვრილებით.
ლევან ბურდული	არახვეთი	რა სტადიაშია ტენდერი, როდის დაიწყება პროექტი? ასევე როდის დაიწყება კომპენსაციის გადახდა, როდისაა პროექტის დასრულების ვადა?	ტენდერზე მიმდინარეობს პროცედურები, განსახლებებზე და შესყიდვებზე სამუშაოები დაიწყება იანვრის ბოლოდნ-თებერვლის დასაწყისიდან. თვითონ პოექტი 2019 წლის გაზაფხული-ზაფხულიდან დაიწყება და დასრულების სავარაუდო დრო გახლავთ 2021 წელი.
რატი სუნტიძე	ჯალმიანი	მთლიანი მიწა ვერ დავირეგისტრირე, მთლიანის კომპენსაციას მივიღებ თუ მხოლოდ რაც დავირეგისტრირე იმას? თუ დამეხმარებით რამეში? მიწის გაფორმებებზე რავენათ ჩვენით გავაკეთოთ თუ თქვენ დაგელოდოთ?	თუ კანონიერია ყველაფერი და საბუთი არსებობს უნდა მოხდეს მისი აღიარება, ჯერ განიხილავს საჯარო რეესტრი დაახლოებით 20 სამუშაო დღის ვადაში. შემდეგ გადაეცემა საქმე აღიარებით კომისიას, ხოლო თუ კიდევ ვერ მოხერხდება პრობლემის გადაწყვეტა ბოლო საფეხური გახლავთ სასამართლო.

			რაც შეეხება მიწის გაფორმების პროცესს, დაგველოდეთ და ჩვენ მოგაწვდით ნახაზებს და დაგეხმარებით ყველაფერში.
ზურაბ ბურდული	ზაქათკარი	ფასანაურის მონაკვეთზე არის რამე ახალი? თუ არის დაზუსტებული გვანტერესებს.	ეს საკითხი უნდა გავიაროთ საპროექტოსთან ერთად და იმკვირიდან გვეცოდინება, შეგიძლიათ დაგვიეკოთ და გეტყვით.
ზურაბ მურღული(დანიელი)	კაიშაური	როცა აღწერა ხდებოდა ამინდი იყო ცუდი, რის გამოც მე ვერ დავესწარი, ხოლო ჩემს ნაკვეთზე ნარგაობები არის გამორჩენილი აღწერის დროს, რით დამეხმარებით?	ამ საკითხს აუცილებლად მოვაგვარებთ და დაგიკავშირდებით.
ლევან წამლაიძე	ქვეშეთი	დასაქმების საკითხი როგორ იქნება? და მიწების კომპენსაცია რა პრინციპით ხდება?	რაც შეეხება დასაქმებას ადგილობრივი მოსახლეობა იქნება დასაქმებული. მიწა ფასდება საბაზრო ფასის მიხედვით, მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეფასებაც ინდივიდუალურია.
გიორგი ბენიაიძე	ბეგონი	დიდველზე მაქვს სახლი, სადაც ისედაც არის მეწყრული ზონა, იქ თუ მძიმე ტექნიკა ივლის ჩემი სახლი დაზიანდება, რით დამეხმარებით?	ბეგონზე მხოლოდ მშენებლობის პროცესში მოხდება ტექნიკის მოძრაობა ისიც ჭალაზე და არა სოფლის გზაზე, თუ რაიმე დაზიანდება ის აუცილებლად იქნება ანაზღაურებული.

დამსწრეთა სია

ქვემო კობის საკუთრების გზა
EVESHETI - KOBIROAD
დამსწრეთა სია / List of Attendees

09.11.2019

N	გარი, სახელი Full Name	ფორმების ქვე- მიწვევითაა AP (1. კო 2 არა) (1. Yes 2.No)	სახორბულო ადგილი Place of living	ტელეფონის ნომერი Phone Number	სურსათი Signature
1	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		
2	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		
3	ილია ბერიძე m	1	საბურთაქო		
4	ნინო ბერიძე f	1	საბურთაქო		
5	სოსო ბერიძე m	1	საბურთაქო		
6	ნინო ბერიძე f	1	საბურთაქო		
7	ნინო ბერიძე f	1	საბურთაქო		
8	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		
9	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		
10	ვახტანგ ბერიძე m	2	ADB		
11	ვახტანგ ბერიძე m	2	ABB		
12	ვახტანგ ბერიძე m	2	GAMMA		
13	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		
14	ვახტანგ ბერიძე m	1	საბურთაქო		

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზა
 KVESHETI - KOBİ ROAD
 დამსწრეთა სია / List of Attendees

09/10/2019

N	ფული სახელი Full Name	ზუსტობების ქვეშ მონაწილეობის პირი AP (1. კი 2. არა) (1. Yes 2.No)	სახლობრივი ადგილი Place of living	ტელეფონის ნომერი Phone Number	ხელმოწერა Signature
15.	სული სოსოძე m	1	ჭიათურები		L. სული
16.	ივანე ბახევიძე m	1	ახვანი		ი. ბახევიძე
17.	გაბრიელ ბახევიძე m	1	ახვანი		გ. ბახევიძე
18.	თინათინ ბახევიძე f	1	ჭყაბუაძე		თ. ბახევიძე
19.	ვანუჯა ჯანაშიძე m	1	ჭყაბუაძე		ვ. ჯანაშიძე
20.	შანი ჯანაშიძე m	1	ჭყაბუაძე		შ. ჯანაშიძე
21.	მეჩი ჯანაშიძე m	1	სოფ. სოფ.		მ. ჯანაშიძე
22.	ეკლავი ჯანაშიძე m	1	სოფ. სოფ.		ე. ჯანაშიძე
23.	დავით ჯანაშიძე m	1	სოფ. სოფ.		დ. ჯანაშიძე
24.	სოსო ბერიძე m	1	სოფ. სოფ.		ს. ბერიძე
25.	ივანე ბერიძე m	2.	ჭყაბუაძე		ი. ბერიძე
26.	გიორგი ბერიძე m	1	ბერიძე		გ. ბერიძე
27.	გიორგი სოსოძე m	2.	ჭყაბუაძე		გ. სოსოძე
28.					

2

ფოტომასალა



დანართი 3 პროექტის საინფორმაციო ბუკლეტი

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზა - ლოტი 1 და ლოტი 2

საინფორმაციო ბუკლეტი

შესავალი


წინამდებარე საინფორმაციო ბუკლეტის მიზანს წარმოადგენს, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკომპენსაციო ღონისძიებების გაცნობას.

პროექტი ქვეყნის უმთავრესი გზების მოდერნიზაციის, საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) მიერ. პროგრამის მიზანია ქვეყნის მთავარი მაგისტრალების მოდერნიზაცია, მეზობელ ქვეყნებთან სატრანსპორტო მოძრაობისა და ტვირთების გადაზიდვის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პირველი ლოტი მოიცავს წკერე-კობის მონაკვეთს, რომელიც წარმოდგენილია 9 კილომეტრიანი გვირაბის სახით. რაც შეეხება მეორე ლოტს, იგი მოიცავს ქვეშეთი-წკერეს 12.7 კილომეტრიან მონაკვეთს.

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა ეფუძნება როგორც საქართველოში მოქმედ კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების - აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პოლიტიკას.

პროექტის განლაგების სქემა



პროექტისთვის შემუშავებული განსახლების პოლიტიკით ნაკისრი ვალდებულებები

პროექტისთვის შემუშავებულ იქნა განსახლების პოლიტიკა რათა: (ა) მოიცვას ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი განურჩევლად მათი ლეგალური სტატუსისა მიწაზე; (ბ) დაკარგული აქტივებისთვის გასცეს კომპენსაცია ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით; და (გ) აღადგინოს ან გააძლიეროს ყველა კატეგორიის AP-ის შემოსავლის წყარო. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები / პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას მიწისა და სხვა აქტივებისთვის სრული ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით ქონების ჩამორთმევის დროს არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. დამატებითი ზომები მიიღება მშენებლობის პერიოდში დარღვევების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად. ფიზიკური და ეკონომიკური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები მიიღებენ კუთვნილ კომპენსაციას, ადგილმონაცვლეობის დახმარებას და შემწეობებს შემდეგი სახელმძღვანელო მითითებების და პოლიტიკის შესაბამისად,

რომლებიც წარმოადგენენ მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის, მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით საქარელოში მოქმედი კანონების და ADB-ის SPS 2009 ნაწილს:

- მიწის შესყიდვასთან და სხვა არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედებები თავიდან იქნება აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი პროექტის ყველა შესაძლო ალტერნატიული ვარიანტის შესწავლით;
- იქ, სადაც ზემოქმედება გარდაუვალია, AP-ის ცხოვრების სტანდარტი გაუმჯობესდება ან მინიმუმ პროექტის განხორციელებამდე არსებულ პირობებს დაუბრუნდება.
- მიწის შესყიდვა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე რამდენადაც შესაძლებელია. ექსპროპრიაციის პროცესი დაიწყება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მოლაპარაკების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდება.
- მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი პირები მიიღებენ სპეციალურ შემწეობას.
- არაკანონიერი AP-ები (მაგ: არალეგალური მცხოვრები, რეგისტრაციის საბუთის არმქონე AP-ები) მიწის კომპენსაციის ნაცვლად მიიღებენ საარსებო წყაროს კომპენსაციას და მიწის დანაკარგის გარდა ყველა სახის ზარალის სრულ კომპენსაციას.
- ლეგალიზაციას დაქვემდებარებული AP-ები (AP-ები, რომლებიც ფლობენ მესაკუთრეობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და იმყოფებიან ფორმალიზების პროცესში, ასევე AP-ები, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი, თუმცა გააჩნიათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ან საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი) მიიღებენ ლეგალიზებას და სრულ კომპენსაციას მიწის დანაკარგზე.
- უზრუნველყოფილი იქნება შემოსავლების აღდგენისა და რეაბილიტაციის კომპენსაცია.
- საბოლოო LARP-ი ხელმისაწვდომი იქნება AP-ებისთვის ქართულ ენაზე.
- კომპენსაციის გადახდა, ადგილმონაცვლეობის დახმარება, რეაბილიტაციის ღონისძიებები და წინამდებარე LARP-ით განსაზღვრული ტარიფები სრულად განხორციელდება მანამ, სანამ კონტრაქტორი დაიწყებს მიწის ფიზიკურ შესყიდვას და ასევე ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
- კომპენსაციის გაცემა მოხდება წინამდებარე LARP- ში განსაზღვრული ტარიფებით, თუმცა გარკვეული ცვლილებები შესაძლებელია მოხდეს დისკუსიის საფუძველზე ხელშეკრულების ხელმოწერამდე.
- საჩივრების განხილვა მოხდება არსებული საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის საშუალებით.
- იმ პროექტებისთვის, რომელთა განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ფართომასშტაბიანი იძულებითი განსახლება, უნდა მომზადდეს მიწის შესყიდვა და განსახლების გეგმა და ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის. სასურველია, რომ მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა მოიცავდეს ADB- ის უსაფრთხოების პოლიტიკის ანგარიშში (SPS, 2009) განსაზღვრულ ელემენტებს.
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სათანადოდ ჩართვა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს მიწაზე დაფუძნებულ განსახლების სტრატეგიებს იმ დევნილებთან მიმართებაში, რომელთა საარსებო წყარო მიწასთან არის დაკავშირებული.
- ტრანზიტულ/გარდამავალ პერიოდში (გადაადგილებასა და საარსებო წყაროს აღდგენას შორის) დახმარების უზრუნველყოფა.
- მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მომზადებისას, კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და მათ თემებთან, მათთვის წინასწარ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. კონსულტაციების შემდეგ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უნდა მიეცეთ ახსნა-განმარტებები მათთვის გასაგები ფორმით, მანერითა და ენით.

კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება და საკუთრების უფლება

პროექტის ფარგლებში კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

- ყველა პირი, რომელთაც დაკარგეს საკუთრებაში ან მართლობაში სარგებლობაში არსებული მიწა, ასევე ლეგალიზებადი ან კანონიერი სტატუსის გარეშე არსებული მიწები;
- მოიჯარე ან სანახევრო მფლობელობაში არსებული მიწები, მიუხედავად მათი რეგისტრაციის სტატუსისა;
- მიწაზე არსებული ნაგებობების, ნათესების, მრავალწლიანი ნარგავების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა აქტივების მფლობელები;
- ზემოქმედების ქვეშ არსებული პირები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და სამუშაო ადგილს.

პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულება განხორციელდება კომპენსაციაზე უფლებამოსილების და საკუთრების უფლების მატრიცის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პოლიტიკის საფუძველზე.

კომპენსაციის მიღების უფლებამოსილებათა მატრიცა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პზქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
მიწა			
სასოფლო-სამეურნეო მიწის მიწის სამუდამოდ დაკარგვა, გართულებული წვდომა ან დაზიანება.	პზქმ პირები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწას მიუხედავად ზემოქმედების სიმწვავისა	რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით	პზქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით, არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. თუ მიწის ნაკვეთის რომელიმე დარჩენილი ნაწილი გამოსაყენებლად გამოუსადეგარი ხდება, ამ სახის დარჩენილი ნაწილი დაექვემდებარება შესყიდვას მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე.
		ლეგალიზებადი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (პზქმ პირები, რომელთა განაცხადი ლეგალიზაციის მიღებაზე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებით მოსარგებლე პზქმ პირები, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ მიწით და საკარმიდამო მიწის მახლობლად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო	აღნიშნული პზქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პზქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების/ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		<p>მიწის ნაკვეთს ან საკარმიდამო ნაკვეთს).</p> <p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები</p>	<p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთის მფლობელები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით აქტიურად კულტივირებული მიწის ნაკვეთისთვის, ხოლო არაკულტივირებული / გამოუყენებელი მიწის ნაკვეთისთვის - 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.</p>
		სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე	დაკარგული მოსავლიდან მიღებული შემოსავლის სრული კომპენსაცია x იჯარის დარჩენილი წლები (4 წლამდე), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულებით. იჯარის შემთხვევაში, მიწის მესაკუთრეს არ გადაეცემა მოსავლის კომპენსაცია, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციის გზით, მოიჯარეს დახმარებას გაუწევს ჩანაცვლებითი იჯარის მოძიებაში.
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	პუქმ პირი, რომელიც კარგავს კომერციული დანიშნულების / საკარმიდამო მიწას	<p>რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/ლეგალური: სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით</p> <p>ლეგალიზებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: (ლეგალიზებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)</p> <p>არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები:</p>	<p>ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.</p> <p>აღნიშნული პუქმ პირების საკუთრების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეესტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და პუქმ პირები მიიღებენ ფულად კომპენსაციას ადგილმონაცვლეობის სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.</p> <p>პუქმ არალეგალიზებული პირები, რომლებიც კარგავენ მათ მფლობელობაში არსებულ ერთადერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც წარმოადგენს პუქმ შინამეურნეობის</p>

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		(რეგისტრაციის/ მიწათსარგებლობის დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე პირები)	შემოსავლის ძირითად წყაროს, კომპენსაციის სახით მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. აღნიშნული შეეხება მხოლოდ ფიზიკურ განსახლებას დაქვემდებარებულ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი.
დროებითი ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე	N/A	N/A	მიწის ნაკვეთზე დროებითი ზემოქმედების კომპენსაცია მოხდება ზემოქმედების პერიოდში მიწის ნაკვეთის პროდუქტიული ღირებულების გათვალისწინებით და შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოხდება მის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა.
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები / აქტივები		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა შინამეურნეობა კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/ თვითნებურად შეჭრილი პირები)	ფულადი კომპენსაცია შენობის / ნაგებობების დაკარგვის სანაცვლოდ სრული ჩანაცვლების ღირებულებით, ტრანზაქციის და ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით.
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის/საზოგადოებრივი საკუთრების რესურსების დანაკარგი			
საზოგადოებრივი საკუთრების დანაკარგი	საზოგადოებრივი/საჯარო აქტივები	საზოგადოება/სახელმწიფო	დაკარგული რესურსის / აქტივის აღდგენა საზოგადოებასთან კონსულტაციების გზით და მათი ფუნქციების აღდგენა
შემოსავლის და საარსებო წყაროს დანაკარგი			
ნათესები	დათესილ კულტურებზე ზემოქმედება ან დასათესი კულტურებიდან მისაღები შემოსავლის დაკარგვა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და თვითნებურად შეჭრილი პირები)	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით, რომლის ოდენობა დაგეგმილი მოსავლის საერთო საბაზრო ღირებულებას უტოლდება.
ხეები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეები	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის	გაიცემა კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო ღირებულების საფუძველზე ხეების ტიპის, ასაკის და ნაყოფიერების მიხედვით. (ხის მოსალოდნელი მოსავალი გამრავლებული მსგავსი

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის/პირების/შინამეურნეობის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		ლეგალიზება და თვითნებურად შეჭრილი პირები)	პროდუქტიულობის ხის გაზრდისთვის საჭირო (წლებზე).
ბიზნესი/დასაქმება	ბიზნესის/სამუშაოს დაკარგვა	პროექტის ზემოქმედების ქვემოთ მოქცეული ყველა პირი მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზება და თვითნებურად შეჭრილი პირები)	<p>მესაკუთრე:</p> <p>(i) (მუდმივი ზემოქმედება) 1 წლის სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია, ან შემოსავლის მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევებში, თუ ზემოქმედების ქვემოთ მოქცეულ პირებს გადახდილი აქვთ ფიქსირებული გადასახადი, ისინი მიიღებენ კომპენსაციას 12 თვიანი საარსებო მინიმუმის ოდენობით.</p> <p>(ii) (დროებითი ზემოქმედება) ბიზნესის გაჩერების თვეების სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია. შეფასება კეთდება საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის მიხედვით.</p> <p>მუდმივი მუშაკი/დასაქმებული პირი: დაკარგული 3 თვის ხელფასის ანაზღაურება, ან საგადასახადო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, ერთჯერადი შემწეობა 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული ოფიციალური დოკუმენტების წარმოდგენა. მაგალითად, ხელფასის ცნობა, ბუღალტრული / ფინანსური აღიწვავა/ანგარიში.</p>
დახმარებები			
მწვავე ზემოქმედებები	ფიზიკური განსახლება ან პროდუქტიული აქტივების 10% -ზე მეტის დაკარგვა	მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი: დამატებით 1 მოსავლის კომპენსაცია, რაც მოიცავს ზემოქმედების ქვემოთ მყოფი მიწიდან მიღებული ერთი წლის მოსავალს ან სხვა სახის შემოსავალს: დამატებითი კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
საარსებო წყაროს აღდგენა	AP-ები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% -ზე მეტს	მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: მწვავე ზემოქმედების ქვემოთ მყოფი ყველა შინამეურნეობისთვის გაიცემა კომპენსაცია ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწაზე მოყვანილი ყველა ტიპის კულტურების (თივის ჩათვლით) და ხეების 2 წლის მოსავლის (გადამოწმებული საბაზრო ღირებულებით) ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა 3 თვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია,

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუკმ შინამეურნეობის კატეგორია პირების/	საკომპენსაციო უფლებამოსილება
	AP-ები, რომლებიც კარგავენ არა სასოფლო-სამეურნეო აქტივების 10% -ზე მეტს.	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, თვითნებურად შეჭრილი პირების ჩათვლით	მის ნაცვლად მოხდება 3 თვის საარსებო მინიმუმის გადახდა. არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროს აღდგენა: საარსებო წყაროს აღდგენა მოიცავს 3 თვის საარსებო მინიმუმის კომპენსაციის სახით გადახდას.
გადაადგილება/ ადგილმონაცვლეობა	სატრანსპორტო / ადგილმონაცვლეობის ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადგილმონაცვლე შინამეურნეობა	დახმარება ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად გადასვლის პერიოდში. (200 ლარი ტრანსპორტირების ხარჯი + 3 თვის საარსებო მინიმუმი).
მოწყვლადობის შემწეობა		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, მარტოხელა დედებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით გაძლიერებული ოჯახები, ან ლტოლვილი/იძულებით გადაადგილებული ოჯახები.	3 თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტური ერთჯერადი კომპენსაცია და პრიორიტეტი პროექტთან დაკავშირებულ სფეროებში დასასაქმებლად. დამატებითი ასევე გაიცემა ადგილმონაცვლეობის / ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარი დახმარება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკურ საკითხებს, გადაადგილების დაგეგმვას, ჩანაცვლებითი საცხოვრებელი ადგილის მოძიებას და ა.შ.
გაუთვალისწინებელი ზემოქმედება მშენებლობის პროცესში, მათ შორის დროებითი ზემოქმედებები და ზემოქმედებები საარსებო წყაროებზე.	ზემოქმედების არეალის ფარგლებს გარეთ ან განთვსების ზოლს გარეთ არსებულ ქონებაზე ან აქტივებზე ზემოქმედება მშენებლობის პროცესში	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი.	ზემოქმედების იდენტიფიცირების შემდეგ კომპენსაციის შეფასება და გადახდა უნდა მოხდეს SPS 2009 და EBRD PR 5-ის მოთხოვნების საფუძველზე.
ფუჭი ქანების სანაყაროსთან და სამშენებლო ბანაკებთან დაკავშირებული ზემოქმედებები	დროებითი ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც იყენებენ პროექტის ფარგლებში არსებულ საძოვრებს	ნებისმიერი დროებითი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ფუჭი ქანების სანაყაროების ან სამშენებლო ბანაკების მოწყობით, მიწის ნაკვეთის გამოყენების საკითხი

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუკმ შინამეურნეობის კატეგორია	პირების/ საკომპენსაციო უფლებამოსილება
	მუდმივი ზემოქმედება		დარეგულირდება კონტრაქტორსა და მიწის მესაკუთრეს შორის შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერი მუდმივი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია გამოუსადეგარი მასალის ან გზის არსებული ნაწილების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ნარჩენების საბოლოო განთავსებით, სათანადოდ კომპენსირდება LARP-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, თივისა და საძოვრების დაკარგვის სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება და გაიცემა სათანადო დახმარება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი

გასაჩივრების მექანიზმი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს აძლევს საშუალებას გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ საქმიანობა, რომელიც მათი ქონების ან შემოსავლის წყაროს დროებით ან მუდმივ დაკარგვას გამოიწვევს და მოითხოვონ შესაბამისი კომპენსაცია. კონსულტაციების, კვლევის და კომპენსირების პერიოდში ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები სრულად იქნებიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების და საჩივრების დაკმაყოფილების შესახებ ზეპირი ან წერილობითი სახით. ყურადღება გამახვილდება უფრო მეტად საჩივრების პრევენციაზე ვიდრე მათ დაკმაყოფილებაზე. ამის მიღწევა შესაძლებელია მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) პროექტის სათანადო შემუშავებით და მისი განხორციელებით, რაც მიიღწევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სრული ჩართულობით და მათთან კონსულტაციით, ასევე შესაბამისი კომუნიკაციით და თანამშრომლობით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს, აღმასრულებელ ორგანოებსა და ზოგადად ადგილობრივ მთავრობებს შორის. საჩივრები დაკმაყოფილების პროცესი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

გასაჩივრების მექანიზმი მოიცავს მუნიციპალურ დონეზე ჩამოყალიბებულ პროექტთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სისტემებს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არსებულ მუდმივ სისტემას. საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი (GRCE) შექმნილია მუნიციპალურ დონეზე როგორც სპეციფიკური ინსტრუმენტი და, იგი მოქმედია პროექტის განხორციელების სრული პერიოდის მანძილზე. საჩივრებზე რეაგირების კომისია (GRCN) არის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არსებული არაფორმალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვას, გადაწყვეტას და აღრიცხვას.

საჩივრებზე რეაგირების კომისია (GRCN) შეიქმნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით, როგორც მუდმივმოქმედი არაფორმალური სტრუქტურა, მასში ჩართულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის პერსონალი ყველა დეპარტამენტიდან და ისინი მუშაობენ მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხებზე და საჩივრების გადაწყვეტაზე. კომისიის შემადგენლობაში არიან ხელმძღვანელი პირები, უსაფრთხოების ან LAR-ის ორგანოები, იურიდიული, PR და სხვა დეპარტამენტები (დამოკიდებულია განმახორციელებელი სააგენტოს (IA) სპეციფიკურ სტრუქტურაზე. საჩივრებზე რეაგირების კომისია საქმეში ერთვება საჩივრების გადაწყვეტი პროცესის მე-2 ეტაპზე. როგორც ბრძანებაშია ნათქვამი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არა-სამთავრობო ორგანიზაციებს, აუდიტორებს, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და სხვა ნებისმიერ პირს შეუძლია შეუძლია ჩაერთოს კომისიის მუშაობაში როგორც წევრს.

საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი (GRCE) არის არაფორმალური საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს გასაჩივრების პროცესს 1 ეტაპზე. ეს არაფორმალური ორგანო ჩამოყალიბდება სათემო დონეზე თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის ხელმძღვანელობა). GRCE შემადგენლობაში შედიან მუნიციპალური LAR გუნდის წარმომადგენლები და ადგილობრივი თემები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი მუნიციპალური LAR გუნდში კოორდინირებას გაუწევს GRCE-ის ფორმირებას. ის პასუხისმგებელი იქნება GRC-ის ქმედებებზე და შეხვედრების ორგანიზებაზე (უფლებით აღჭურვილი პირი).

საჭიროების შემთხვევაში, GRCE შეიქმნება სათემო დონეზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც იქნება შემდეგი 7 წევრი:

(i)	განმახორციელებელი სააგენტოს (IA) განსახლების უწყების წარმომადგენელი	რწმუნებული, საკონტაქტო პირი
(ii)	რაიონის LAR გუნდის წარმომადგენელი	წევრი მდივანი
(iii)	მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლის დონეზე)	წევრი
(iv)	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირთა წარმომადგენელი	წევრი
(v)	არა-სამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	წევრი
(vi)	სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორის წარმომადგენელი	წევრი
(vii)	საზედამხედველო კონსულტანტების LAR-ის სპეციალისტი	წევრი

განმახორციელებელი სააგენტოს (IA) განსახლების უწყების წარმომადგენელი კოორდინირებას უწევს კომიტეტის საქმიანობას და ამავდროულად, არის საკონტაქტო პირი, რომელიც აგროვებს საჩივრებს და ამუშავებს საჩივრების ჟურნალს. ადგილობრივი მთავრობები მუნიციპალურ დონეზე, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი, საზედამხედველო კომპანია (ინჟინერი), ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებულნი არიან საკონტაქტო პირის შესახებ და მისი საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ხსენებული დაინტერესებული მხარეების ოფისებში.

საკონტაქტო პირი აგროვებს და აღრიცხავს საჩივრებს, კომიტეტის წევრებს და საავტომობილო გზების დეპარტამენტს აწვდის ინფორმაციას პრობლემის არსთან დაკავშირებით, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს რთავს საჩივრების განხილვის პროცესში, საჩივრების გადაწყვეტის 1 ეტაპზე კოორდინაციას უწევს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან მოლაპარაკებების პროცესს. საკონტაქტო პირი ამზადებს შეხვედრების ოქმებს და უზრუნველყოფს ხელმოწერებს. თუ საჩივარი გადაწყდა პირველივე ეტაპზე, საკონტაქტო პირი ჟურნალში აკეთებს ჩანაწერს საჩივრის დახურვის თაობაზე და აღნიშნულის შესახებ წერილობითი სახით აუწყებს RDMRDI-ის ხელმძღვანელობას. თუ საჩივრები ვერ დაკმაყოფილდა GRC-ის გადაწყვეტილებით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მე-2 ეტაპი. ასეთ შემთხვევაში საკონტაქტო პირი ეხმარება ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ოფიციალური საჩივრის შეტანაში (მოსარჩელე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლებების და ვალდებულებების შესახებ, გასაჩივრების წესების და პროცედურების, გასაჩივრების ფორმატის, საჩივრის წარდგენის ვადების შესახებ).

ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. ეს შესაძლებელია საინფორმაციო კამპანიების განხორციელებით, ბროშურების დარიგებით (მაგ: საკომუნიკაციო გეგმა), ყველა ძირითადი საკითხის განახლებით და მათთან მუდმივი კომუნიკაციის შენარჩუნება, გასაჩივრების გამარტივების მიზნით შესაბამისი ფორმების გაცნობა.

საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი

საფეხური	პროცესი
საფეხური 1	საჩივარი არაფორმალურად განიხილება საჩივრების განხილვისკომიტეტში, რომელიც მიმართავს ყველა საჭირო ზომას სადავო საკითხის მოსაგვარებლად.
საფეხური 2	<ul style="list-style-type: none"> • თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოლაპარაკების დონეზე ვერ ხერხდება, გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი დაეხმარება საჩივრის ავტორს ოფიციალურად წარადგინოს განცხადება დეპარტამენტში. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა საჩივარი უნდა წარადგინონ ადგილობრივ დონეზე, რომლებმაც უნდა წარადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ, მათ პრეტენზიას. • საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი/მდივანი შეისწავლის საჩივრებს და მოამზადებს შესაბამის დოკუმენტს კომიტეტისთვის წარსადგენად. საქმის ოფიციალური მოსმენა კომიტეტში დაინიშნება კომიტეტის მდივნის მიერ მითითებულ დღეს კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრთან და საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთან შეთანხმებით. • მოსმენის დღეს საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი გამოცხადდება გამგეობაში და საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტს წარმოუდგენს დოკუმენტებს, რომელიც ამყარებს მის პრეტენზიას. წევრი მდივანი ჩაიწერს მოსმენაზე გამოთქმულ განცხადებებს საჩივრის შესახებ და დოკუმენტურად ჩაინიშნავს ყველა ინფორმაციას; • მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირს და მასზე ხელს აწერენ საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის სხვა წევრებიც. მოხდება საქმის მასალების განახლება, ხოლო გადაწყვეტილება გადაეცემა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. <p>საჩივრის განხილვის ეს ეტაპი უნდა დასრულდეს 4 კვირის განმავლობაში.</p>
საფეხური 3	თუ საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შემდეგი საფეხურია საჩივრის წარდგენა ეროვნულ დონეზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტისადმი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში. მომჩივანებმა უნდა წარმოადგინონ მათი საჩივრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომიტეტი განიხილავს საჩივრების განხილვის კომისიის ჩანაწერებს და გადაწყვეტილებას გადაუგზავნის ზემოქმედების ქვეშ პირს, საჩივრის მიღებიდან 4 კვირის განმავლობაში.
საფეხური 4	თუ საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი უკმაყოფილოა საბოლოო გადაწყვეტილებით, მას შეუძლია დავა გააგრძელოს სასამართლოში. ეს საჩივრები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ კომპენსაციის ოდენობას, არამედ სხვა საკითხებსაც, მაგ. კონტრაქტორის მიერ მათი თანხმობის გარეშე მათი მიწის ნაკვეთის დაკავების საკითხს, საკუთრების დაზიანების ფაქტს, მიწის გამოყენების შეზღუდვას, გარემოსდაცვით საკითხებს, როგორცაა კონტრაქტორის სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული მტვერი და ა.შ.

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საავტომობილო გზების დეპარტამენტი

გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - აკაკი მშვიდლობაძე Tel: +995 599454941

საჩივრის წარდგენის ფორმა

#	
სახელი, გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ, მიუთითოთ კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა (ფოსტა, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	<input type="checkbox"/> ფოსტა: გთხოვთ მიუთითოთ საფოსტო მისამართი: _____ _____ <input type="checkbox"/> ტელეფონი: _____ <input type="checkbox"/> ელ.ფოსტა: _____
კომუნიკაციისთვის სასურველი ენა	<input type="checkbox"/> ქართული <input type="checkbox"/> ინგლისური <input type="checkbox"/> რუსული
ადწერეთ საჩივარი რასთან დაკავშირებით გაქვთ პრეტენზია? რას ეხება საჩივარი?	
მოლაპარაკების თარიღი	მოლაპარაკებების შედეგი:
რა უდევს საფუძვლად თქვენს საჩივარს?	
ხელმოწერა: _____ თარიღი: _____	

დანართი 4 შეფასების მეთოდოლოგია

1. მიწის შეფასება

მიწათმესაკუთრების მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა შეფასების საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული (IVS-2013 მეცხრე გამოცემა) ერთ-ერთი საბაზისო მიდგომა - **შემოსავლების მეთოდი**.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის ვერ იქნა გამოყენებული საბაზრო მეთოდი, რადგან ინფორმაცია გაყიდვებისა და გამოცხადებების შესახებ შესაფასებელ ტერიტორიებზე არ არსებობს. ტრანზაქციები, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები არ მომხდარა და არც განცხადებები არსებობს გაყიდვებზე. ანუ აღნიშნულ ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ წკერესა მის მიმდებარედ ხეობაში მიწის ბაზარი არ არსებობს. ამასთან, შესაფასებელ დისლოკაციაში მიწების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენება წარმოადგენს კარტოფილის მოყვანა და თივის დამზადება, რაც რეალურადაც დამკვიდრებული პრაქტიკაა ამ ტერიტორიებისთვის.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიწის ღირებულების დადგენის ერთადერთ შესაძლო მეთოდს წარმოადგენს შეფასების საერთაშორისო სტანდარტით დაგენილი **შემოსავლების მეთოდი**.

ამ მეთოდის გამოყენებისას შემფასებლები განსაზღვრავენ უძრავი ქონების ფლობიდან მიღებულ მიმდინარე ღირებულებას მომავალი შემოსავლების მეშვეობით.

ეს მეთოდი, როგორც სხვა მეთოდები მოითხოვს ფართო საბაზრო გამოკვლევებს. სპეციფიკურ მონაცემებს, რომელსაც შეისწავლის შემფასებელი: უძრავი ქონებიდან მოსალოდნელი საერთო შემოსავალი, საერთო შემოსავლის მოსალოდნელი დანაკარგები ობიექტის დაუტვირთველობის, მოსალოდნელი ყოველწლიური საექსპლუატაციო დანახარჯები.

შემოსავლების და ხარჯების დადგენის შემდეგ, მათი ნაკადები იძლევიან სუფთა საოპერაციო შემოსავლის სიდიდეს, რომელიც შემდგომში კაპიტალიზაციის პროცესში გარდაისახება მიმდინარე ღირებულებად. კაპიტალიზაციის ნორმა და ფაქტორი, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის კაპიტალიზაციისათვის მიიღება ანალოგიური შესადარისი უძრავი ქონების ობიექტების ექსპლუატაციის და შემოსავლის მისაღები განაკვეთების გამოკვლევის საფუძველზე.

მეთოდები

შემოსავლების კაპიტალიზაციის მიხედვით მიდგომის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ორი მეთოდის საშუალებით, კერძოდ:

- პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი /Direct Capitalisation/; და
- ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი /Discounted cash flow analysis/.

პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი

მეთოდი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია შეფასდეს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მომავალი შემოსავლების მეშვეობით.

გამოთვლის ფორმულა $MV = NOI/Ro$, სადაც MV – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, NOI - სუფთა საოპერაციო შემოსავალი, Ro - კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

პროცედურა მეთოდის გამოყენებისას შემფასებელი ახორციელებს ქმედებების შემდეგ თანამიმდევრობას:

ნაბიჯი 1. აფასებს ერთი წლის განმავლობაში პოტენციური მთლიანი შემოსავალს (კმშ) (კმშ = მთლიანი შემოსავალი / ფართობი X საბაზრო ქირა/ + სხვა შემოსავალი);

ნაბიჯი 2. აფასებს ეფექტურ მთლიან შემოსავალს (ემშ=კმშ-ვაკანსიები და დანაკარგები ქირის ამოუღებლობიდან);

ნაბიჯი 3. ადგენს მოსალოდნელ ხარჯებს და რეზერვებს;

ნაბიჯი 4. ანგარიშობს სუფთა საოპერაციო შემოსავალს ($NOI=ემშ-ხარჯები$);

ნაბიჯი 5. ადგენს კაპიტალიზაციის კოეფიციენტს (Ro);

ნაბიჯი 6. ადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, სუფთა საოპერაციო შემოსავლის კაპიტალიზაციის კოეფიციენტზე გაყოფის გზით (NOI/Ro).

დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზი (მეთოდი)

მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების (დფნ) ანალიზი, წარმოადგენს მკაფიო დაშვებებზე დაფუძნებულ ფინანსური მოდელირების ტექნიკას, რომლებიც ეფუძნება ქონების ან ბიზნესის პერსპექტივაში განსახილველ შემოსავლებს და ხარჯებს და გამოიყენება, როგორც მისაღები ინსტრუმენტი შემოსავლების მიხედვით მიდგომის ჩარჩოებში.

gamoTvlis formula $MV = \sum NOI_1 / (1+i)^1 + FV / (1+i)^n$

sadac:

MV – საბაზრო ღირებულება;

NOI_1 – არის სუფთა საოპერაციო შემოსავალი თითოეული (¹) პერიოდისათვის;

FV – პერიოდის ბოლოს ობიექტის გაყიდვის (რევერსიის) ღირებულება;

i – დისკონტირების განაკვეთი;

n – ფლობის პერიოდი;

¹ – თითოეული პერიოდის აღნიშვნა (ნომერი).

2. მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების გამოთვლა გაყიდვების შედარების მეთოდით.

შესაფასებელი მიწის ნაკვეთები განთავსებულია ყაზბეგის რაიონი, სოფელები კობისა და წკერეს ადმინისტრაციულ საზღვრებში. ისინი სტრუქტურით, ნაყოფიერებით არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შესაბამისად, მიწის დაყოფა განხორციელდა ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფებად. კერძოდ:

ტიპი I – მიწის ნაკვეთები საკარმიდამო დანიშნულებით;

ტიპი II – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

ზემოაღნიშნული ორი ტიპის მიწის ნაკვეთიდან შემოსავლების მიდგომით ღირებულების განსაზღვრა ყველაზე მისაღებად ჩაითვალა მეორე ტიპისთვის. შესაფასებელი დისლოკაციის უდიდესი ნაწილი უკავია მთა-მდელოს კორდიან და პრიმიტიულ ნიადაგებს. ნიადაგი ტყის საფარს მოკლებულია. მთა მდელოს კორდიანი ნიადაგი ვრცელდება ზღვის დონიდან 1100 - 2600 მ-მდე. შესაბამისად შესაფასებელ დისლოკაციაში ყველაზე გავრცელებულ და მაღალშემოსავლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს კარტოფილი და მიწის სათიბად გამოყენება, რომელთაგან წლის განმავლობაში მისაღები შესაძლო შემოსავალი იქნა აღებული უცვლელ საპროგნოზო შემოსავლად. აქედან, 0.50 ჰა-ზე კარტოფილი და 0.50 ჰა-ზე თივა.

“დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზი წარმოადგენს ფინანსური მოდელირების ხერხს, რომელიც ეფუძნება ცალსახა დაშვებებს ქონების ან სამეურნეო სუბიექტის საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯების შესახებ.”

ჩვენს მიერ განხილული ფინანსური მოდელირების ძირითადი პარამეტრები:

საპროგნოზო პერიოდი:

9 წელი;

რევერსიის თარიღი:

მე-10 წელი;

შემოსავლის ოდენობა წლების მიხედვით:

უცვლელი;

წლიური შემოსავლების ოდენობა:

სპეციალისტების, მფლობელების გამოკითხვის, სხვადასხვა წყაროების ანალიზისა და ინსპექტირების შედეგების მონაცემების შეჯერების საფუძველზე დადგინდა 1 ჰა-ზე შესაძლო მოსავლიანობა და საბითუმო ფასები კარტოფილზე და თივაზე შესაფასებელ დისლოკაციაში. რაც ეფუძნება კულტურების მოსავლიანობისა და საბაზრო ღირებულებების შესახებ მონაცემებს. კერძოდ 0.50 ჰა-ზე მოსალოდნელი მოსავალი კარტოფილზე შეადგენს 13 ტონას, ხოლო საშუალო ფასი 1 კგ-ზე - 0.70 ლარს. 0.50 ჰა-ზე მოსალოდნელი შემოსავალი თივაზე შეადგენს 900 ლარს (150 პრესი - 1 ცალი 6 ლარი). შესაბამისად 1 ჰა-ზე მთლიანი შემოსავალი შეადგენს 10000 ლარს

დანაკარგები მოსავლის მიუღებლობიდან

მოცემული მეთოდის მიზნებისათვის იგულისხმება, რომ არ არსებობს მოსავლის მიუღებლობის პრობლემები.

გასავლები:

შემფასებლის მიერ შემოსავლებზე გამოკლებულ იქნა მხოლოდ გადასახადი მიწაზე რაც აღნიშნულ რაიონში 1 ჰა სახნავ მიწაზე შეადგენს 61.0 ლარს.

ხარჯები:

ნიადაგის მომზადების, სათესლე მასალისა და სხვა ხარჯებისთვის განისაზღვრა 1 კა-ზე 2500 ლარის ხარჯი.

დისკონტირების განაკვეთი (კოეფიციენტი):

შემფასებელის მიერ დისკონტირების კოეფიციენტი გაანგარიშებულ იქნა კუმულატიური მოწყობის მეთოდის გამოყენებით.

კუმულატიური ტექნიკის მიხედვით, კაპიტალიზაციის განაკვეთის შეფასება ხორციელდება ურისკო განაკვეთისა და გარკვეული რისკ-ფაქტორების შეკრების გზით, როგორცაა მაკროეკონომიკური რისკები (ქვეყნის რისკი), უძრავი ქონების რისკები და ქონების სპეციფიკური რისკები.

კუმულატიური ტექნიკის მიდგომით, განაკვეთი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ურისკო განაკვეთი (Risk-free rate /inculicivw of country-specific risk) +
- უძრავ ქონებაში ინვესტირების რისკის პრემია (Real estate risk premium) +
- ლიკვიდურობის რისკის პრემია (Liquidity risk premium) +
- უძრავ ქონებაში რისკის პრემია (Property-specific risk premium).

ქვემოთ მოცემულია კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გაანგარიშება:

ცხრილი №3. კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გაანგარიშება

რისკის ტიპი	განაკვეთი
ურისკო განაკვეთი (Risk-free rate /inculicive of country-specific risk)	9%
უძრავ ქონებაში ინვესტირების რისკის პრემია (Real estate risk premium)	1%
ლიკვიდურობის რისკის პრემია (Liquidity risk premium)	4%
უძრავ ქონებაში რისკი პრემია (Property-specific risk premium)	5%
კაპიტალიზაციის განაკვეთი:	19%

ღირებულების შეფასება

პერიოდი	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
პოტენციური მოლიანი შემოსავალი	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000
ვაკანსიები და ქირის ამოუღებლობა										
დანაკარგები	-	0	0	0	0	0	0	0	0	0
მოსავლის მიუღებლობის კოეფიციენტი (%)	-	0	0	0	0	0	0	0	0	0
ეფექტური მოელი შემოსავალი	=	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000
გასაფლავი										
საოპერაციო ხარჯები და რეზერვები		2500	2500	2500	2500	2500	2500	2500	2500	2500
საოპერაციო ხარჯები (%)	-									

რეზერვები (%)	-	-						-	-	-	-	-
მუდმივი ხარჯები	-											
ქონების გადასახადი და მიწის გადასახადი	-	61	61	61	61	61	61	61	61	61	61	61
სულ გასაფლავები:	=	2561	2561	2561	2561	2561	2561	2561	2561	2561	2561	2561
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	=	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0	7439,0
დისკონტირების კოეფიციენტი (განაკვეთი)		19%	19%	19%	19%	19%	19%	19%	19%	19%	19%	
დისკონტირებული წმინდა საოპერაციო შემოსავალი		6251,3	6251,3	6251,3	6251,3	6251,3	5253,2	4414,4	3709,6	3117,3		
რევერსიის ღირებულება												49593,33
რევერსიის დისკონტირებული ღირებულება												8708,71
საბაზრო ღირებულება		56459,5										
საბაზრო ღირებულება (დამრ)		56000										

ამდენად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან, ტიპი II – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 1 ჰექტარისთვის განისაზღვრა 56000.0 ლარით. შესაბამისად 1კვ.მ.-ის კომპენსაციის ღირებულება შეადგენს 5.60 (ხუთი და 60) ლარს, რომელიც წარმოადგენს საბაზისოს სხვა ტიპის ნაკვეთების ღირებულების დასადგენად.

საბაზისო ფასი განისაზღვრა II ტიპის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან მიმართებაში. აღნიშნული მონაცემების მიხედვით დადგინდა თანაფარდობა გაანგარიშებულ ფასსა და I ტიპის მიწის ფასებს შორის.

განმასხვავებელი კოეფიციენტების დადგენა მოხდა ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნა-მიწოდების პირობების და ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით, რისთვისაც შესწავლილი იქნა მეზობელ რაიონში, კერძოდ დუშეთის რაიონში არსებული უძრავი ქონების ბაზრის მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა ბაზარზე არსებულ შეთავაზებებს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ გარიგებების მონაცემებს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით დადგინდა თანაფარდობა გაანგარიშებულ ფასსა და დანარჩენი ნაკვეთის ფასს შორის.

ცხრილი

№1

მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო თანხების გაანგარიშება ტიპების და დანიშნულების მიხედვით				
ტიპი	ნაკვეთის დანიშნულება	1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბა-ზისო ღირებუ-ლება, ლარი	კორექტირების კოეფიციენტი	1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო

				ღირებულება ლარი
I	მიწის ნაკვეთები საკარმიდამო დანიშნულებით	5,60	1.5	8.40
II	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები		1.0	5.60

შენიშვნა

- ცხრილში მოყვანილია მხოლოდ იმ დანიშნულების და გამოყენების ნაკვეთების დასახელება, რომლებიც ხვდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ.
- ყველა სახეობის მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო ღირებულების გაანგარიშებისას ცხრილში გამოყენებულია კორექტირების კოეფიციენტი რომელზედაც მრავლდება 1 კვ.მ. საკომპენსაციო საბაზისო ღირებულება.
- კორექტირების კოეფიციენტი დადგენილია ბაზრის მონაცემების შესწავლის საფუძველზე და ითვალისწინებს დღეისათვის არსებულ მოთხოვნა-მიწოდების პირობებს, დანიშნულებას, გამოყენებას და სხვა.
- მიღებული შედეგები ყველგან დამრგვალებულია.

2. შენობების შეფასება

შენობა-ნაგებობების შეფასება მოხდა დანახარჯების ჩანაცვლების მეთოდით, შესაბამისი შენობის მშენებლობისთვის საჭირო პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით, საბაზრო ღირებულებით - ანუ, მსგავსი პარამეტრების შენობის მშენებლობისთვის საჭირო ხარჯები. ამორტიზაციის გამოკლების გარეშე. გამოყენებული იქნა შემდეგი პარამეტრები პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების დასადგენად, ინდივიდუალური შემთხვევებისთვის:

პირდაპირი ხარჯები:

- (ი) მასალების ღირებულება;
- (იი) სამშენებლო ხარჯები;
- (იიი) მუშახელის ანაზღაურება;
- (ივ) მშენებლის მოგება და ზედნაღები ხარჯები;
- (ვ) სატრანსპორტო ხარჯები;
- (ვი) და სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისათვის გასაწევი სხვა ხარჯები.

ირიბი დანახარჯები:

- პროფესიონალური მომსახურების ხარჯები:
 1. არქიტექტორის/დიზაინერის (ინჟინერის) მომსახურების ხარჯები;
 2. იურიდიული მომსახურების ხარჯები;
 3. სხვა ხარჯები.
- ხარჯები ნებართვებზე:

- სადაზღვევო ხარჯები;
- სხვა ხარჯები.

a. პირდაპირი ხარჯები მოიცავს::

- (vii) მუშახელის ანაზღაურება;
- (viii) სამშენებლო მასალების ყიდვა;
- (ix) მოსამზადებელი სამუშაოების ხარჯები;
- (x) ტექნიკის ქიარობა ან ყიდვა;
- (xi) კონსტრუქტორის მოგება და ზედნადები;
- (xii) მშენებლობის / რემონტის დროს უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად გაღებული ხარჯები;
- (xiii) დროებითი ნაგებობების მოწყობის ხარჯები;
- (xiv) დროებითი კომუნიკაციები (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და ა.შ.);
- (xv) საწყობის ხარჯები;
- (xvi) ტრანსპორტის ხარჯები;
- (xvii) სხვა ხარჯები

ხარაპირდაპირი ხარჯები მოიცავს:

- (i) პროფესიონალური მომსახურების ხარჯები:
 1. არქიტექტურის/დიზაინის მომსახურების ხარჯები;
 2. ინჟინერის მომსახურების ხარჯები;
 3. იურიდიული მომსახურების ხარჯები;
 4. შემფასებლის მომსახურების ხარჯები;
 5. სხვა ხარჯები
- (ii) ნებართვების მოპოვებისთვის გაღებული ხარჯები;
- (iii) დაზღვევა;
- (iv) დაფინანსება %;
- (v) მშენებელი კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის შესრულების გარანტია;
- (vi) სხვა ხარჯები

3. ერთწლიანი კულტურების შეფასების მეთოდი

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების კომპენსაციის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა დაკარგული შემოსავლის განსაზღვრის მეთოდი, რაც გამოითვლება კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მონაცემებისა და 1 კგ-ის საბაზრო ღირებულების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ერთწლიანი კულტურების პროდუქტიულობის შესახებ მონაცემები მოპოვებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებისაგან და აგროტექნიკური მეცნიერების მიერ მომზადებული წყაროებიდან და დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ცხრილი A 1: ერთწლიანი კულტურების კომპენსაციის ტარიფების მაგალითი

კულტურები	ერთეული	პროდუქტიულობა 1ჰა-ზე	1 ერთეულის საბაზრო ღირებულებას, ლარი	1 ჰექტარზე კულტურის კომპენსაციის ფასი (ლარი)
კარტოფილი	ტონა	26	600	15600
კომბოსტო	ტონა	22	300	6600
ლობიო	კგ	800	5	4000
ნიორი	კგ	1600	5	8000
სხვა ბოსტნეული	-	-	-	5000

4. ხეხილის შეფასების მეთოდი

თითოეული სახეობის საკომპენსაციო ღირებულება დამოკიდებულია ნარგავის ასაკზე, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მისგან მისაღებ მოსალოდნელ მოსავლიანობაზე, ერთეული მოსავლის ღირებულებაზე, ასანაზღაურებელი წლების რაოდენობაზე, ნერგის ღირებულებაზე და მოსავლის მისაღებად გასაწევი სავარაუდო ხარჯების ოდენობაზე, რომელიც სახეობებიდან გამომდინარე მერყეობს სრულად მისაღები თანხების 15-დან 30 პროცენტამდე. მონაცემები მოსავლიანობაზე, ხარჯებზე და ა.შ. აღებულია სამეცნიერო ნაშრომებიდან, ინტერნეტიდან, დარგის სპეციალისტებიდან და გათვალისწინებულია სხვადასხვა სახეობების ნარგავების რეაქციებზე რეგიონის კლიმატური პირობებთან მიმართებაში.

ქვემოთ მოყვანილია საკომპენსაციო ღირებულების გაანგარიშების მაგალითი:

ცხრილი A 2: ხეხის კომპენსაცია

მცენარეები	ასაკობრივი ჯგუფი	ნერგის ღირ-ბა, ლარი	მოსავლის ერთ. ფასი, ლარი	საკომპენსაციო წლების რ-ბა	სრული მოსავლიანობა წლიში,აგ	მოსავლის კომპენსაცია წ-ში (ლარი)	ზრდასრული მრავალწლიანი ნარგავის სრული კომპენსაცია თა ღირებულების	როდენობა	კომპენსაცია
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მსხალი	ნარგავი (<5)	4	1,2	5	7	8,4	33	0	0
	5-10	4	1,2	7	20	24,0	122	0	0
	11-20	4	1,2	7	70	84,0	416	5	2080
	21+	4	1,2	7	45	54,0	269	0	0
ვაშლი	ნარგავი (<5)	4	1	5	5	5,0	22	0	0
	5-10	4	1	6	25	25,0	109	0	0
	11-20	4	1	6	70	70,0	298	1	298
	21+	4	1	6	40	40,0	172	0	0

ქლიავი	ნარგავი (<5)	4	0,8	5	8	6,4	26	0	0
	5-10	4	0,8	5	15	12,0	46	0	0
	11-20	4	0,8	5	30	24,0	88	6	528
	21+	4	0,8	5	20	16,0	60	0	0
სულ								12	2906

დანართი 5 სიტუაციური რუკა

